

ՀՐԴՆԻՄԱՆ ԵՎ ԵՐԿՐԱՆԻՄԱՆ
ՀՐԴՆՈՒՄՆ ԵՆԻՇՅԱԾՈՒ



პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში

(პოლიტიკის დოკუმენტები, კანონმდებლობა და პრაქტიკა)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2016



კვლევა მომზადებულია პროექტის ფარგლებში „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის საქმიანობაში“.

პროექტს აფინანსებს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პროგრამა „მატრა“. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საელჩოს პოზიციას. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა გუნდი.

კვლევის ავტორები:

მარიამ მხატვარი
ქეთევან კუკავა
ანი ნასრაშვილი
გურამ იმნაძე

კვლევის მეხუთე ნაწილის ავტორები:

იაგო კაჭკაჭიშვილი
გიორგი ლოლაშვილი

კვლევის ხელმძღვანელი:

სოფო ვერძეული

კვლევის რედაქტორი:

ნინო კალატოზიშვილი

მთარგმნელი:

ნათია გელაშვილი

დიზაინერი:

გურამ მურადოვი

გარეკანი:

სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი:

300

ISBN 978-9941-0-9100-1

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი.აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო

ტელ: 2 23 37 06

ელ-ფოსტა: humanrightsemc@gmail.com

www.emc.org.ge

www.facebook.com/RIGHTSEMC

ნაწილი 1: კვლევის შესახებ.....	6
თავი 1: შესავალი	6
თავი 2: ძირითადი მიგნებები და ტენდენციები	7
თავი 3: კვლევის მეთოდოლოგია	10
3.1. ფორმალური ტექსტების ანალიზი.....	13
3.2. საპოლიციო პრაქტიკის კვლევა.....	15
3.3. განწყობების კვლევა	16
3.4. დისკურსის ანალიზი	17
თავი 4. მონიტორინგის მიმდინარეობა და ძირითადი დაბრკოლებები კვლევის განხორციელებისას.....	22
თავი 5: კვლევის დაწყებისას და შემდგომში არსებული ვითარების აღწერა....	23
ნაწილი 2: პოლიტიკის დოკუმენტები	33
თავი 1: პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა	33
თავი 2: ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.....	34
თავი 3: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.....	35
თავი 4: შეჯამება.....	37
ნაწილი 3: საკადრო პოლიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში.....	40
თავი 1: სამსახურში მიღება.....	40
თავი 2: დაწინაურება და თანამდებობრივი გადაადგილება.....	43
თავი 3: პოლიციის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობა ...	44
თავი 4: თანამდებობიდან გათავისუფლება	56
თავი 6: წახალისების მექანიზმები და მატერიალური გარანტიები.....	62
თავი 7: შეჯამება.....	65

ნაწილი 4: პრობლემური საპოლიციო ინსტრუმენტები.....	67
თავი 1: შესავალი	67
თავი 2: იძულებით ნარკოლოგიურ შემონმებაზე არამიზნობრივად გადაყვანა	69
თავი 3: თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების მოტივით ადმინისტრაციული დაკავება	74
თავი 4: სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოძრაობის ხელის შეშლის მოტივით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა	80
თავი 5: წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფართოდ განმარტება	84
თავი 6: შეჯამება და რეკომენდაციები	93
ნაწილი 5: პოლიციის პოლიტიზირებულობის კვლევა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის საფუძველზე.....	99
თავი 1: პოლიტიკური და იურიდიული კონტექსტი	99
თავი 2: კონკრეტული საქმეების ანალიზი	101
თავი 3: შემაჯამებელი დასკვნა	123

თავი 1: შესავალი

წარმოდგენილი კვლევით „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ განაგრძობს სამართალდამცავ სისტემაში ინსტიტუციური პრობლემების იდენტიფიცირებას და ანალიზს, რაც ხელს უშლის ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული ეფექტიანი საპოლიციო სისტემის შექმნას. კვლევის მიზანია, შექმნას საბაზისო დოკუმენტი პოლიციის ორგანოებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის საკითხზე, რაც ბოლო წლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ პოლიტიკების შესახებ არსებული ეჭვები ქმნის უნდობლობას და ნიჰილიზმს პოლიციის სტრუქტურებისა და მათი საქმიანობის მიმართ, რაც, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ სისტემაზე, დემოკრატიულ პროცესებსა და პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობაზე უარყოფითად აისახება.

ბოლო წლებში გატარებული ცალკეული რეფორმების მიუხედავად, პოლიციის სისტემის სრული დეპოლიტიზება ვერ ხერხდება, რასაც მოცემული კვლევის შედეგებიც ადასტურებს. არსებული ვითარება დიდწილად პრობლემის არალიარებიდან გამომდინარეობს, რაც ხელს უშლის გარდამტეხი რეფორმების დღის წესრიგში დაყენებას. ასევე, პოლიციის დეპოლიტიზება ხშირად დაყვანილია მხოლოდ ამ უწყების ხელმძღვანელი პირების (ან ხელისუფლებაში მყოფი მმართველი გუნდის) კეთილ ნებად, რომ არ გამოიყენონ პოლიცია თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც პრობლემის არასწორად და ზედმეტად დავინროვებაა და პოლიტიკების განმაპირობებელ მთელ რიგ ინსტიტუციურ საფუძვლებს ყურადღების მიღმა ტოვებს.

ბოლო პერიოდში გატარებული ინსტიტუციური ცვლილებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2015 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროსგან უსაფრთხოების სამსახურების გამოყოფა, თუმცა ეს რეფორმა არ იყო სისტემური ხასიათის და არასაკმარისი აღმოჩნდა ახლად ჩამოყალიბებულ უწყებებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მისაღწევად და საზოგადოებაში ასეთი აღქმის შესაქმნელად¹.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, შექმნას ერთგვარი ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც ახსნილი და დასაბუთებული იქნება კვლევის ავტორების პოზიცია პოლიციის სისტემაში პოლიტიკების რისკის არსებობასა და გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. პარტიული პოლიტიკისგან დისტანცირებული სახელმწიფო აპარატის შექმნა, განსაკუთრებით კი სამართალდამცავ სისტემაში ოპერაციული დამოუკიდებლობის კულტურის ჩამოყალიბება ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება პოლიტიკურ ნებას და გადანყვეტილებას, თუმცა აღნიშნული ნება, პირველ რიგში, სწორედ ინსტიტუციური რეფორმების ინიცირებასა და სრულყოფილად განხორციელებაში უნდა იყოს გამოხატული.

1. <https://emc.org.ge/2015/05/05/emc-is-shefasebebi-shss-s-reformaze/>

წარმოდგენილი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მყიფე და არასტაბილური ვითარება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მიმართულებით სწორედ პოლიციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სიმცირეს, ორგანიზაციული მოწყობის პრობლემებს, გაუმართავ საკადრო პოლიტიკას, პრობლემური საპოლიციო ინსტრუმენტების შენარჩუნებასა და პოლიციელთა თვითნებობის მიმართ რეაგირების არაეფექტიან მექანიზმებს უკავშირდება. პროექტის გუნდი იმედს იტოვებს, რომ კვლევაში წარმოდგენილ მიგნებებსა და სისტემურ რეკომენდაციებს გაიზიარებს ხელისუფლება და თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო, რაც ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი რეფორმის დაგეგმვის საფუძველი გახდება.

წარმოდგენილი კვლევა განახორციელა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტთან“ თანამშრომლობითა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პროგრამა „მატრას“ ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის გუნდი გამოხატავს მადლიერებას პარტნიორი და დონორი ორგანიზაციის, ასევე პროექტში ჩართული ყველა პირის მიმართ.

თავი 2: ძირითადი მიგნებები და ტენდენციები

დღეს პოლიცია აღჭურვილია არაერთი სამართლებრივი ბერკეტით, რომელიც უშვებს თვითნებობის შესაძლებლობას და არ ექვემდებარება ადეკვატურ კონტროლს. ამავდროულად, როგორც წესი, კონკრეტული ღონისძიებების ადრესატები არ არიან აღჭურვილნი სრულყოფილი უფლებრივი გარანტიებით. იმ ფონზე, როდესაც პოლიციის სისტემა მკვეთრად ცენტრალიზებულია და რიგი ორგანიზაციული მოწყობის პრობლემების გამო მალალია სამსახურის პოლიტიკების რისკი (მაგალითად, საკადრო პოლიტიკით მანიპულირების გზით ინდივიდუალურ პოლიციელებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა), ასეთი პრობლემური საპოლიციო ინსტრუმენტების არსებობა კიდევ უფრო ზრდის მათი პოლიტიკური მიზნებით გამოყენების საფრთხეს. ცალკეულ ინსტრუმენტებზე კვლევის შესაბამის თავებში დეტალურად იქნება ყურადღება გამახვილებული, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც არ ექვემდებარება ადეკვატურ შიდა თუ გარე კონტროლს და რომელიც სამართალდამცავს აძლევს თვითნებობის ან ძალაუფლების კანონგარეშე მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას, არის არა მარტო ხისტი საპოლიციო იარაღი, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტიც, რადგან, როგორც აღინიშნა, პოლიციის სისტემაში არასაკმარისია პარტიული პოლიტიკისგან გამიჯვნისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის კულტურა, რაც ხელმძღვანელი პირების საჯარო პოზიციონირებაშიც ხშირად გამოიხატება.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პერიოდში უშუალოდ პოლიციის მხრიდან არ დაფიქსირებულა პოლიტიკური ოპოზიციის, პარტიების ლიდერების, მათი

წარმომადგენლების მისამართით უხეში და არაპროპორციული ძალის გამოყენების სისტემური პრობლემა. ასევე, მონიტორინგის პროცესში არ აღნიშნულა აშკარად არაპროპორციული და უხეში ძალის გამოყენებით დაკავებისა და პოლიტიკური ოპოზიციის მიერ ორგანიზებული აქცია-მანიფესტაციის შეწყვეტის შემთხვევები, თუმცა ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ კვლევის პერიოდი არ გამოირჩეოდა პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული აქციების სიხშირით.

განსხვავებით პოლიტიკური ჯგუფებისგან, პოლიცია დემონსტრაციულად რეპრესიული ჩანდა სამოქალაქო აქტივისტებისა და, ზოგადად, აქტივისტთა ჯგუფების მიმართ. განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც აქტივისტები ხელისუფლების პოლიტიკას ან/და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებთან დაკავშირებულ მოვლენებს აპროტესტებდნენ.

მნიშვნელოვან უარყოფით ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიციის ინერტულობა ცალკეული პირების/კერძო ჯგუფების მხრიდან პროვოცირებული/ინიცირებული და განხორციელებული ძალადობების აღკვეთისას, მათ შორის, პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ. ცალკეულ შემთხვევებში, აღნიშნული აგრესიული ჯგუფების მოქმედება მკვეთრად ორგანიზებულ და არასპონტანურ ხასიათს ატარებდა. ამ პირობებში კიდევ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებდა პოლიციის არასაკმარისი ეფექტიანობა ძალადობრივი ფაქტების აღკვეთის, გამოძიებისა და სამართლებრივი რეაგირების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ სამართალდამცავების მხრიდან პოლიტიკური ჯგუფების (პოლიტიკური ოპოზიციის) მიმართ პირდაპირი ძალადობის ტენდენცია არ გამოკვეთილა, კერძო და ლოკალური ძალადობის ფაქტებზე არასაკმარისი რეაგირება და მათი შემდგომი გავრცელება მნიშვნელოვნად აზიანებდა პოლიტიკურ გარემოს და პროცესებს ქვეყანაში და ქმნიდა ერთგვარი სახეცვლილი „პოლიტიკური ძალადობის“ ელფერს.

ამდენად, მონიტორინგის ფარგლებში შეგვიძლია, შემდეგ ძირითად ტენდენციებზე ვისაუბროთ:

- კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა უშუალოდ პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ოპოზიციის, მათი ლიდერებისა და აქტიური წევრების მიმართ ძალადობის სისტემური პრობლემა;
- მონიტორინგის პროცესში არ აღნიშნულა პოლიტიკური ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქტივობაში (აქცია/მანიფესტაციასა და სხვა) უხეში ძალის გამოყენებით პოლიციის ჩარევისა და მისი აღკვეთის ფაქტები;
- კვლევამ გამოავლინა პოლიციის მხრიდან მკვეთრად რეპრესიული საპოლიციო ძალის გამოყენება ინდივიდუალური აქტივისტების/საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ;

- კვლევამ ასევე აჩვენა პოლიციის ინერტულობა და არაეფექტიანობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ ძალადობისას. როგორც წესი, ძალადობა კერძო პირების მხრიდან იყო გამოვლენილი და ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზებულობის შთაბეჭდილებას ტოვებდა;

კვლევამ ასევე გამოკვეთა ის საპოლიციო ინსტრუმენტებიც, რომლებიც შინაარსითა და ფორმით პრობლემურ სამართლებრივ მექანიზმებს წარმოადგენს და პოლიციის ხელში თვითნებობისა და უფლებამოსილების გადამეტების რისკს ქმნის. როგორც კვლევის ფარგლებში ათი საქმის ანალიზმა აჩვენა, ასეთი საპოლიციო ინსტრუმენტებია:

- ნარკოტისტირებაზე პირების თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაყვანა;
- ადმინისტრაციული დაკავების დაბალი სტანდარტებით გამოყენება;
- წვრილმანი ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობის ფართოდ განმარტება და სხვა;

კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ხარვეზიანი საკადრო პოლიტიკა, რაც გამოიხატება სამინისტროს პოლიტიკურ ხელმძღვანელის – შინაგან საქმეთა მინისტრის ფაქტობრივად შეუზღუდავ უფლებამოსილებაში, საკადრო საკითხების გადაჭრისას, რითაც იქმნება პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან ამ ბერკეტებით მანიპულირების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, დაუხვეწავი და გაუმჭვირვალე საკადრო პოლიტიკა, რომელიც ასევე ემყარება ბუნდოვან ნორმებს და სადაც ასევე დიდია მინისტრის კომპეტენცია, ნოყიერ ნიადაგს ამზადებს პოლიციელებზე ზეგავლენის მოსახდენად. კვლევამ გამოკვეთა, რომ განსაკუთრებით პრობლემურია შიდა დისციპლინირების მექანიზმის (შსს-ს გენერალური ინსპექციის) არასაკმარისი დამოუკიდებლობა, ასევე შს სამინისტროს მოსამსახურეთა მოსამსახურეში მიღების, თანამდებობრივი დანიშნულებისა და გადაყვანის მექანიზმის, პრემირების სისტემის არასაკმარისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია და ამ პროცესში მინისტრის ფართო უფლებამოსილება.

კვლევაში წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი მიუთითებს, რომ მოცემულ ეტაპზეც ხელისუფლებას არ აქვს ნათელი ხედვა პოლიციის ფუნქციური ავტონომიის მისაღწევად და პოლიტიკური ზეგავლენის რისკის შესამცირებლად.

კვლევის ფარგლებში დისკურსის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელები პოლიციის დეპოლიტიზაციაში ძირითადად პოლიციის, როგორც სამთავრობო რესურსის, პარტიულ-პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაზე უარის თქმას გულისხმობენ, თუმცა ცხადია, რომ პოლიციის რესურსის პარტიული ინტერესებისათვის გამოყენებაზე უარის დეკლარირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფაქტობრივ დონეზე პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას, რადგან აღნიშნული პრინციპი არაა გამყარებული შესაბამისი ინსტიტუციური გარანტიებით. ამავდროულად, კვლევის ფარგლებში განხილულმა რამდენიმე საქმემ აჩვენა, რომ პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები პოზიციონირებენ, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული ფიგურები.

თავი 3: კვლევის მეთოდოლოგია

პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კვლევა რთული და კომპლექსური საკითხია. იმისათვის, რომ სრულყოფილად ყოფილიყო შესწავლილი და გაანალიზებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხი, პროექტის გუნდმა განსაზღვრა დაკვირვების/მონიტორინგის ოთხი ძირითადი მიმართულება:

- ფორმალური ტექსტების ანალიზი;
- საპოლიციო პრაქტიკის კვლევა;
- განწყობების კვლევა;
- საჯარო პოზიციონირების ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში პროექტის გუნდს აქტიურად უჭერდა მხარს მკვლევარი სოციოლოგი. მისივე დახმარებით განისაზღვრა აღნიშნული მიმართულებებით კვლევისთვის საჭირო ინსტრუმენტები და მექანიზმები.

პოლიტიკური ნეიტრალიტეტის განსაზღვრება

პოლიციის პოლიტიკების უნივერსალური და ამომწურავი დეფინიცია ან ნორმატიული განსაზღვრება მოქმედ სამართლებრივ სივრცეში ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, პროექტის გუნდმა შეიმუშავა ის ძირითადი მახასიათებლები/ინდიკატორები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება პოლიციის ქმედებაში პოლიტიკების ნიშნებზე საუბარი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდი, პროექტის მიზნებისთვის, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს განმარტავს, როგორც ფუნქციური დამოუკიდებლობის მექანიზმს, რაც გულისხმობს პოლიციის კომპეტენციის ფარგლებში გადანყვეტილების / მოქმედების მიღებას / განხორციელებას სხვა პირებისგან დამოუკიდებლად და მათი ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

ფუნქციური დამოუკიდებლობა შესაძლოა, მოიცავდეს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებისგან დამოუკიდებლობას. შიდა ფაქტორებში მნიშვნელოვანია ინდივიდუალური პოლიციელის საქმიანობის დაცვა მისი უწყებრივი ხელმძღვანელობისგან, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურის, მითითებების მიცემის გამართული სისტემის გზით. გარე ფაქტორებისთვის კი საყურადღებოა პოლიციის სისტემის გარედან მომდინარე შესაძლო საფრთხეები. ცხადია, დამოუკიდებლობა არ ათავისუფლებს პოლიციელს ვალდებულებისგან, დაემორჩილოს პროცესუალურ მოთხოვნებს ან როგორც გამომძიებელმა იმოქმედოს პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ.

ცალკეულ პრაქტიკულ შემთხვევებზე კონკრეტული პოლიციელის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შემონახვისას ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი:

- არის თუ არა პოლიციელის მხრიდან ვალდებულებების უგულვებელყოფა და
- შესაძლოა თუ არა, აღნიშნული განპირობებული იყოს პოლიტიკური მოტივებით.

კანონმდებლობის დარღვევა (ვალდებულებების უგულვებელყოფა) შესაძლოა აღინიშნებოდეს მაშინ, როდესაც პოლიცია არ ასრულებს/უარს ამბობს თავისი კანონისმიერი ვალდებულების შესრულებაზე. ვალდებულების შეუსრულებლობა/დარღვევა შესაძლოა გამოიხატოს როგორც **მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში**, აგრეთვე, კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობაში, ან ამ უფლებამოსილების გადამეტებაში.

ამდენად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევაზე საუბრისას საჭიროა, აღინიშნებოდეს სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფა / დარღვევა. ამავე კონტექსტში გასათვალისწინებელია ისეთი გარემოებებიც, როდესაც სამართალდამცავი ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ზედმინევენით ზუსტად ასრულებს კანონის მოთხოვნებს და იყენებს კონკრეტული ტიპის შემზღუდველ ღონისძიებებს, მაგრამ სხვა მსგავს შემთხვევებში მიმართავს სხვა, არსებითად განსხვავებულ ზომებს და განსხვავებულ პრაქტიკას. ასეთ ვითარებაში შესაძლოა, იკვეთებოდეს სამართალდამცავთა ე.წ. ორმაგი სტანდარტებით მოქმედება.

რაც შეეხება პოლიტიკურ მოტივებს, იმისათვის, რომ პოლიციელის კონკრეტული მოქმედება/უმოქმედობა შეფასდეს პოლიტიკური მიკერძობების თვალსაზრისით, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს პოლიტიკების ძირითადი ინდიკატორებიდან ერთ-ერთი მაინც, რაც მიუთითებს მოქმედების შესაძლო პოლიტიკურ მოტივებზე.

ცხადია, ქმედების პოლიტიკურ მოტივებზე ერთმნიშვნელოვანი მტკიცება შეუძლებელია. ამდენად, ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმები პროექტის ჯგუფისთვის წარმოადგენს მხოლოდ ინდიკატორებს, რომლებიც პოლიტიკური მოტივების სავარაუდო არსებობაზე მიუთითებს. ამასთან, მოყვანილი ინდიკატორებიდან რაც უფრო მეტია ერთდროულად წარმოდგენილი, მით მეტია პოლიტიკების რისკი კონკრეტულ საქმეში.

პოლიციის პოლიტიკების ინდიკატორები

ვინაიდან პოლიციის პოლიტიკების უნივერსალური და ამომწურავი დეფინიცია ან ნორმატიული განსაზღვრება მოქმედ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს, პროექტის გუნდმა ჩამოაყალიბა ის ფაქტორები, რომელთა არსებობაც შესაძლოა კონკრეტულ საქმეებში პოლიტიკურ ნიშანზე მიუთითებდეს. პროექტის გუნდი პოლიტიკური მოტივების შეფასებისას ეყრდნობა და მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

• **ობიექტი** – იგულისხმება პოლიციის ქმედების (მოქმედება/უმოქმედობა) ადრესატი. მაგალითად, პოლიციელის მხრიდან განხორციელებული კანონდარღვევის, ძალადობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან ზოგადად, უფლებამოსილების გადამეტების ობიექტი. ადრესატზე საუბრისას მნიშვნელოვანია კონკრეტული პირის პოლიტიკური აქტივობის ხარისხის განსაზღვრა – ამ დროს მხედველობაში მიიღება არის თუ არა ის რომელიმე პოლიტიკური გუნდის წევრი, ან აქტივისტი, ან აფილირებული რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან. ასევე, აქვს თუ არა მას კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან/მის ლიდერთან/წარმომადგენელთან ნათესაური თუ სხვა ტიპის კავშირი, რაც შეიძლება ამ პირით დაინტერესების მიზეზი ყოფილიყო;

• **აქტივობა** – იგულისხმება პოლიციელის მხრიდან ძალადობის, ძალაუფლების გადამეტების, ან ზოგადად, გამოყენებული უფლებამოსილების ადრესატის აქტივობა (თუკი ასეთი არსებობს), ამ აქტივობის პოლიტიკური შინაარსი და ძალა. მაგალითად, მის მიერ გამოხატული პროტესტი, დემონსტრაცია, პერფორმანსი თუ მოქმედება. ასევე მხედველობაში მიიღება, მსგავსი აქტივობა რამდენად არის მიმართული (პირდაპირ ან არაპირდაპირ) რომელიმე პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ ან მხარდასაჭერად, რაც შეიძლება ამ პირით დაინტერესების მიზეზი ყოფილიყო;

• **გამოხატვა** – უშუალოდ ქმედების დროს პოლიციელის მიერ გამოყენებული ენა/ტერმინოლოგია, პოლიციის მიერ ვერბალური შეტევა/თავდასხმა ან სიმპატიის გამოხატვა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის/ლიდერის მიმართ;

• **საჯარო განცხადებები** – იგულისხმება პოლიტიკური თანამდებობის პირების, მაღალი რანგის საჯარო მოხელეების ან სხვა გავლენიანი/პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შეფასებები კონკრეტულ საზოგადოებრივ მოვლენასთან/ფაქტთან დაკავშირებით. მსგავსი საჯარო განცხადებები შესაძლოა, წინ უსწრებდეს პოლიციის ქმედებას ან, ასევე შესაძლებელია, მოსდევდეს მას;

• **ორმაგი სტანდარტი** – პოლიციის განსხვავებული/არაერთგვაროვანი ქცევა იდენტური მოვლენების დროს. ასევე პირიქით, სრულიად განსხვავებულ კონტექსტში პოლიციის ერთგვაროვანი მოქმედება, რაც არ შეესაბამება კონტექსტს. ორმაგი სტანდარტის არსებობაზე შეიძლება საუბარი, თუკი მომხდარი შემთხვევის ანალოგიურ ვითარებაში პოლიციას აქვს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა/პრაქტიკა, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში იყენებს განსხვავებულ მიდგომას. თავის მხრივ, პოლიციელის მსგავსი მოქმედება შეიძლება განპირობებული იყოს ზემოაღნიშნული ოთხი ფაქტორიდან ერთის, ან რამდენიმეს არსებობით.

3.1. ფორმალური ტექსტების ანალიზი

1.1. პოლიტიკის დოკუმენტები და ნორმატიული სივრცის კვლევა

პროექტის გუნდმა სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვის გაანალიზებისა და პოლიციის ინსტიტუციური მოწყობის მიმართულებით დაგეგმილი რეფორმების ანალიზის მიზნით შეისწავლა ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი:

- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016-2020 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

დამატებით, პროექტის გუნდმა შეისწავლა ნორმატიული სივრცე, რომელმაც კომპლექსურად უნდა წარმოაჩინოს პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხი.

მონიტორინგის სხვა მიმართულებებისაგან განსხვავებით, ნორმატიული სივრცის ანალიზის მიზანია, პროექტის გუნდმა შეისწავლოს ის სამართლებრივი საფუძვლები, რაც პოლიციის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს აქვს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში.

ამასთან, პროექტის გუნდის მიზანია, არა მხოლოდ აღწეროს სამართლებრივი რეალობა, არამედ დასაბუთებულად აჩვენოს, რამდენად სრულყოფილი, ეფექტიანი და გამოსადეგია არსებული რეალობა, რამდენად ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს ის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კონცეფციას, პრინციპებს, მოთხოვნებს.

გარდა ამისა, პროექტის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ნორმატიული მასალის აღწერა და ანალიზი, არამედ შემოწმება, რამდენად ესადაგება და იზიარებს საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომელიც პოლიციის ფუნქციური დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სფეროში არსებობს.

პროექტის გუნდმა ნორმატიული სივრცის კვლევის მიზნით, დაამუშავა და გაანალიზა საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი ძირითადი აქტები, რომლებიც შეიცავს პოლიციის სისტემის მარეგულირებელ დებულებებს, რაც პოლიციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, შიდა მოწყობასა და მართვას, ასევე საკადრო პოლიტიკას შეეხება.

1.2. შიდაუნებრივი აქტების შესწავლა

ნორმატიული რეალობის ანალიზისთვის ასევე შესწავლილია ის შიდაუნებრივი აქტები, რომლებიც კონკრეტული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენებას ემსახურება. მსგავსი ანალიზი პროექტის გუნდს დაეხმარა, შეეფასებინა

არსებული სამართლებრივი რეგულირებების რეალური, ნორმატიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პროექტის გუნდმა დამატებით საჭირო მასალის მოძიების მიზნით მიმართა შესაბამის უწყებებს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

პროექტის გუნდის მიერ გამოთხოვილი და გაანალიზებული მასალა მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება) შემდეგ საკითხებს:

- სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს კადრების გადაადგილებებსა და ადამიანური რესურსების მართვაზე, სამინისტროს სისტემაში;
- თანამშრომელთა დანინაურებისა და დაქვეითების შესახებ მიღებულ აქტებს, მიზეზებსა და დასაბუთებას;
- დისციპლინური სამართალწარმოების მასალებს, დევნის საფუძვლებს, პასუხისმგებლობის ზომებსა და ზოგად სტატისტიკურ მაჩვენებლებს;
- კონკრეტული საპოლიციო ღონისძიებების მარეგულირებელ შიდა მითითებებსა და ინსტრუქციებს;

1.3. საპოლიციო სფეროში არსებულ რეკომენდაციებთან შედარება

პოლიციის ეთიკის კოდექსი და პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაანალიზდა საპოლიციო სფეროში არსებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების ფონზე.

პროექტის გუნდმა თავი მოუყარა ყველა აქტუალურ და რელევანტურ მასალას, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციების ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ავტორიტეტულ წყაროებს წარმოადგენს საპოლიციო სამართლის დარგში.

საქართველოს საპოლიციო სისტემაში მოქმედი კანონმდებლობა შეფასდა შემდეგ დოკუმენტებთან მიმართებით:

- ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიციის საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპებზე;
- პოლიციელთა ეთიკის ევროპული კოდექსი, რომელიც შემუშავებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის ფორმით;
- მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლების მონიტორინგის მეთოდოლოგია;
- ეუთოს მიერ მომზადებული, ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების გაიდლაინი სამართალდამცავი ორგანოებისთვის;

- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებები პოლიციელთა წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტიანი განხილვის შესახებ და სხვა;

3.2. საპოლიციო პრაქტიკის კვლევა

საპოლიციო ღონისძიებების უშუალოდ პრაქტიკაში აღსრულების პროცესის კვლევა წარმართა ორი მიმართულებით:

- საჯარო შეკრებების/დემონსტრაციებისას პოლიციის ქცევა;
- ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენებით კონკრეტული პირების დაკავების/დაპატიმრების პრაქტიკა;

პროექტის გუნდმა აღნიშნული ორი ტიპის შემთხვევების შესწავლისას არჩევანი შეაჩერა იმ საქმეებზე, სადაც სავარაუდოდ იკვეთებოდა პოლიტიზების ძირითადი კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე გარემოების არსებობა.

პოლიციელისა და მოქალაქის ყოველდღიური ურთიერთკავშირის სიმრავლისა და კვლევის შეზღუდული რესურსის გათვალისწინებით, როგორც დემონსტრაციების, ისე ნარკოტიკულ დანაშაულზე რეაგირების შემთხვევებზე დაკვირვება მოხდა შერჩევის პრინციპით – მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო შესაძლო პოლიტიკური ფონის არსებობა, რაც (თავის მხრივ, შესწავლისას) სრულად იყო შემონიშნული ზემოთ განსაზღვრული 5 კრიტერიუმის მიხედვით.

ცხადია, პროექტის გუნდის რესურსები გამორიცხავდა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის ყველა შესაძლო ფაქტის მოძიებას და შესწავლას. ასევე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო კვლევაში მოყვანილი და აღწერილი საქმეების მსგავსი ყველა სხვა შემთხვევის ანალიზი, სადაც ასევე შესაძლოა აღინიშნებოდა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

პრაქტიკის კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები:

პროექტის გუნდმა აღნიშნული ორი მიმართულებით პრაქტიკის კვლევა განახორციელა შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- **(შესაძლო) დაზარალებულების ინტერვიუები** – დაზარალებულებისგან ინტერვიუების აღება მოხდება წინასწარ შედგენილი ფორმალიზებული ინტერვიუს სახელმძღვანელოს მიხედვით. დაზარალებულად მიიჩნევა არა მხოლოდ ფორმალური სტატუსის მქონე პირი, არამედ ნებისმიერ ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელზეც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ შესაძლოა, პოლიციის პოლიტიზებული მოქმედების მსხვერპლია;

- **მედიაში გავრცელებული ფოტო-აუდიო-ვიდეომასალა** – ამ ტიპის მასალა გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ იძლეოდა მისი ავტორის იდენტიფიცირებისა და თავად მასალის შინაარსის სანდოობის გადამოწმების შესაძლებლობას. ამავედროულად, მასალაში მოყვანილი გარემოებები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნეოდა დამაჯერებლად, თუკი ისინი სხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციითაც დასტურდებოდა;
- **შეკრება-მანიფესტაციების დაკვირვება/აღწერა** – ამ მიმართულების ძირითადი ინსტრუმენტი შეიქმნა გარე ექსპერტის მონაწილეობით, რომელმაც მოამზადა „დაკვირვების სახელმძღვანელო“ (გაიდი). გაიდში წარმოდგენილია როგორც ზოგადად მანიფესტაციის აღწერასა და მის მსვლელობაზე ინფორმაცია, ისე უშუალოდ სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის მიმდინარე პროცესები, პოლიციის ინტერვენცია დემონსტრაციაში, მათ მიერ მიღებული შემზღუდავი ზომები და ა.შ.
- **ნარკოტიკული დანაშაულის საქმეების მონიტორინგი** – მსგავსი საქმეების შესწავლის ფარგლებში გაანალიზდა პროექტის გუნდისთვის ხელმისაწვდომი მასალები. ასევე, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, წინასწარ შედგენილი კითხვარით გამოიკითხნენ საქმის მონაწილე პირები;
- **დისციპლინური საქმის წარმოების მასალების შესწავლა/ანალიზი** – პროექტის გუნდმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა პოლიციელების მიერ შესაძლო გადაცდომის ფაქტზე დაწყებული შიდა სამსახურებრივი დისციპლინური წარმოების შესახებ ინფორმაცია;
- **სისხლის სამართლის საქმის წარმოების მასალების შესწავლა/ანალიზი** – პროექტის გუნდმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია პოლიციელის მიერ შესაძლო პოლიტიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ;

3.3. განწყობების კვლევა

პოლიციელების პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია არა მარტო მათ უშუალო ქმედებასა და საჯარო სივრცეში პოზიციონირებაზე დაკვირვება, არამედ რიგით თანამშრომელთა განწყობების შესწავლაც. კერძოდ, როგორია მათი დამოკიდებულება დაკისრებულ ფუნქციამოვალეობებზე; რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ თავიანთ საზოგადოებრივ როლს; როგორ ესმით თვითონ თანამშრომლებს ზემდგომი თანამდებობის პირებსა თუ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან სუბორდინაცია.

ასევე მნიშვნელოვანია სამართალდამცავების დამოკიდებულება მართლწესრიგსა და კანონის უზენაესობასთან. ბუნებრივია მათი თვითიდენტიფიცირება

საზოგადოებრივი წესრიგის გარანტირებად, მაგრამ საინტერესოა, თავად მათთვის რამდენად მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობა და თუნდაც მნიშვნელოვან, რთულ დანაშაულთან ბრძოლისას კანონის ნორმების პატივისცემა ხომ არ ინაცვლებს უკან პლანზე.

სწორედ ამიტომ, პროექტის გუნდმა პროექტის საწყისი ეტაპიდანვე დაგეგმა განწყობების კვლევა, რისთვისაც სპეციალურად მომზადდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. სწორედ ამ კითხვარის გამოყენებით პოლიციის შემთხვევით შერჩეული თანამშრომლების ანკეტირების შემდეგ პროექტის გუნდის მხრიდან უნდა მომხდარიყო პოლიციელების განწყობების ანალიზი. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა კვლევაში ამ ფორმით მონაწილეობაზე, რამაც შეუძლებელი გახადა პოლიციელებთან ინტერვიუები.

3.4. დისკურსის ანალიზი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა პოლიციის მაღალი თანამდებობის პირების მონათხრობის შესწავლა სხვადასხვა შემთხვევასთან ან საკითხთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ დადგენილიყო, რამდენადაა მათი დისკურსი პოლიტიკურად ნეიტრალური. საკვლევად შეირჩა ისეთი შემთხვევები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის, მნიშვნელობის ან სხვა კონტექსტის გამო სცდებოდა პოლიციის ინსტიტუციურ სივრცეს და პოლიტიკურ და სოციალურ სივრცეში განიხილებოდა. ასეთი შემთხვევები კარგი საშუალებაა იმის საკვლევად, თუ რამდენად ცდებიან შსს-ს თანამდებობის პირები თავიანთ კომპეტენციასა და იმ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელსაც კანონი და ეთიკის კოდექსი უდგენს და რამდენად ერთვებიან საკითხის პოლიტიკურ განხილვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა მიზნად ისახავდა დისკურსის შესწავლას მაკრო დონეზე, რაც გულისხმობს იერარქიული სტრუქტურის მქონე ინსტიტუციის უმაღლეს შრეს (მინისტრებსა და მოადგილეებს), რომელიც აწარმოებს დისკურსს. თუმცა დისკურსის კვლავწარმოება ხდება მიკრო დონეზეც, უფრო დაბალი საფეხურების წარმომადგენლების მიერ.

დისკურსის ანალიზისას კვლევისათვის გამოყენებული იყო კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიდგომა (Critical Discourse Analysis), რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, სტრუქტურული უთანასწორობის გამოსავლენად და მეორე მხრივ, რეალობაში ამ უთანასწორობის გავლენის საჩვენებლად. კრიტიკული დისკურსის ანალიზი (შემოკლებით – CDA) შესაძლებელია როგორც სტრუქტურირებული სახელმძღვანელოს გამოყენებით, ისე მის გარეშეც. ამ კვლევის შემთხვევაში, გამოყენებულია ცნობილი ბრიტანელი მკვლევრის, ნორმან ფეიერკლოუს მიდგომა, რომელიც გულისხმობს ნახევრად სტრუქტურირებულ სამუშაო ჩარჩოს და ანალიზის სამ ძირითად ეტაპს – აღწერის, ინტერპრეტაციულს და ახსნის.

ანალიზის ამ სამი ეტაპის შესწავლის საგნები სქემაზე:

წარმოების სოციალური პირობები
წარმოების პროცესი
ტექსტი
ინტერპრეტაციის პროცესი
ინტერპრეტაციის სოციალური პირობები კონტექსტი

აღწერითი ეტაპი გულისხმობს მხოლოდ ტექსტის ფარგლებში მოქმედებას, მის ფორმალურ ანალიზს.

ინტერპრეტაციული ეტაპი გულისხმობს ტექსტისა და სოციალური ინტერაქციის მიმართების ანალიზს. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ინტერპრეტაციის პროცესში იგულისხმება ინტერაქციული პროცესი, რომლის დროსაც მასში ჩართული მონაწილეები ტექსტის ინტერპრეტაციას ახდენენ და არა ინტერპრეტაციის ეტაპი, როდესაც ინტერპრეტატორი უკვე მკვლევარია. წარმოების პროცესში იგულისხმება ტექსტის ჩამოყალიბების პროცესი. როგორც წარმოებაზე, ისე ინტერპრეტაციაზეც გავლენას ახდენს მონაწილის რესურსები (**Members' Resources**, შემოკლებით – **MR**). ეს ცნება აერთიანებს ინტერაქციის მონაწილეთა ენობრივ შესაძლებლობებს, თვითგამოხატვას, რწმენას, ღირებულებებს, ცოდნას და ა.შ.

ახსნითი ეტაპი უკვე იკვლევს ინტერაქციისა და კონტექსტის ურთიერთობას – ტექსტის წარმოებისა და ინტერპრეტაციის სოციალურ დეტერმინანტებს/პირობებს და ამ ყველაფრის სოციალურ ეფექტს. სოციალური პირობები შეიძლება დაიყოს სამ დონედ – მიმდინარე სოციალური გარემო, რომელშიც ხდება ინტერაქცია, სოციალური ინსტიტუციის დონე, რომელიც ქმნის უფრო ვრცელ სქემას დისკურსის საწარმოებლად და ამ ორივეს მომცველი საზოგადოებრივი დონე.

მონაწილის რესურსები (**MR**), რომლებიც ტექსტის წარმოებისა და ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება, ერთი მხრივ, შემეცნებითია, რადგან მათ გონებაშია თავმოყრილი და, მეორე მხრივ, სოციალურიც – მათი ფორმირება ხდება სოციალური ურთიერთობების, განაწილებისა და უთანასწორობის გავლენით.

აღწერითი ეტაპი გულისხმობს ანალიზში სხვადასხვა საზრისეული ერთეულის შემოტანას. ეს ერთეულებია ტექსტის (ფართო გაგებით) გამოცდილებითი, ურთიერთობრივი, გამომხატველობითი და კავშირებითი ღირებულებები, რომლებიც ახდენს ტექსტის ლექსიკური და გრამატიკული ელემენტების ანალიზს. ფეირკლოუს მიერ შემუშავებული სამუშაო ჩარჩო ამ ელემენტებს შესაბამისი კითხვებით

შეისწავლის. მაგალითად:

რა გამოცდილებითი ღირებულება აქვთ სიტყვებს?

გამოცდილებით ღირებულებაში იგულისხმება ის გამოცდილება და ცოდნა ბუნებრივი თუ სოციალური სამყაროსი, რომელსაც დებულების ავტორი ატარებს.

პირველი კითხვის ქვეკითხვებია:

- (ქცევის ან მოვლენის) კლასიფიკაციის რა სქემა გამოიყენება;
- არის თუ არა ტექსტში ჩართული იდეოლოგია;
- ხდება თუ არა „rewording“ ან „overwording“ (პერიფრაზი და რეფრენი)
- იდეოლოგიურად რა არსებითი მნიშვნელობათა ურთიერთობაა სიტყვებში (სინონიმი, ანტონიმი, ჰიპონიმი)

რა ურთიერთობრივი ღირებულება აქვთ სიტყვებს?

ურთიერთობრივ ღირებულებაში იგულისხმება ის მინიშნებები სოციალურ ურთიერთობებზე, რაც ამ სიტყვებშია.

არის თუ არა მათში ევფემისტური გამოხატვა?

არის თუ არა ისინი ნათლად გამოხატული როგორც ფორმალური ან არაფორმალური?

რა გამომხატველობითი ღირებულება აქვს სიტყვებს?

გამომხატველობით ღირებულებებში იგულისხმება მინიშნებები სიტყვის მწარმოებლის მიერ იმ რეალობის შეფასებაზე, რომელთან მიმართებითაც მოქმედებს.


მიმართება ამ ღირებულებებსა და სოციალურ ელემენტებს შორის შემდეგნაირია:

- გამოცდილებითი ღირებულებები → ცოდნა, რწმენა
- ურთიერთობრივი ღირებულებები → სოციალური ურთიერთობები
- გამომხატველობითი ღირებულებები → სოციალური იდენტობა

გამოცდილება კავშირშია შინაარსთან, ურთიერთობა კომუნიკაციის მონაწილეთა პოზიციონირებასთან, ხოლო გამოხატვა – თავად სუბიექტთან.

სამუშაო ჩარჩოში ასევე ფართოდ გამოიყენება გრამატიკული კითხვები, რაც მონაწილის გამოხატვის სტრუქტურას სწავლობს და ლოგიკის შემსწავლელი კითხვები, რომლებიც სწავლობს როგორც ლოგიკას წინადადებების შიგნით, ასევე, ტექსტურ და ინტერტექსტურ დონეზე.

ინტერპრეტაციული ანალიზი დაყოფილია 6 ელემენტად, რომლებიც ანალიზის პროცესში შესაძლებელია ასევე გამოვიყენოთ, როგორც საზრისეული ერთეულები:



პირველი ორი ელემენტი (**სოციალური წესრიგი და ინტერაქციული ისტორია**) არის კონტექსტის ინტერპრეტაცია, ხოლო დანარჩენი ოთხი – ტექსტის შუაში მოთავსებული სფეროებით აღნიშნულია ის რესურსები, რომლებიც ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება. ისრებით აღნიშნულია მიმართება ელემენტებს შორის.

გამონათქვამის ზედაპირი – აქ იგულისხმება გამონათქვამის (ფართო გაგებით) ჩამოყალიბება ენის ცოდნის შესაბამისად. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მონაწილე გარკვეული ნიშნების (ფონემური ან გრაფიკული) გამოყენებით, ქმნის აღქმად ინფორმაციას.

გამონათქვამის მნიშვნელობა – მონაწილის რესურსების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტი. სემანტიკურში იგულისხმება მონაწილის უნარი, გამოიყენოს სიტყვათა მნიშვნელობები კომბინირებულად, საერთო მნიშვნელობის შესაქმნელად. პრაგმატიკულში იგულისხმება სასაუბრო აქტები, რომლებშიც გამონათქვამები გამოიყენება. სასაუბრო აქტებია, მაგალითისთვის, განცხადება, პირობის მიცემა, გაფრთხილება, დაშინება, რჩევა და ა.შ.

2. ამ კატეგორიაში იგულისხმება ინტერპრეტაციული ანალიზისთვის განკუთვნილი ცვლადები

ლოკალური კავშირი – ეს არის კავშირები, რომლებიც დამყარებულია ტექსტის შიგნით. იგულისხმება როგორც ფორმალური კავშირი (რომლებსაც აღწერილი ეტაპი ანალიზებს), ასევე, იმპლიციტურ ვარაუდებსა და იდეოლოგიაზე აგებული კავშირები გამონათქვამებს შორის.


ტექსტის სტრუქტურა და საკითხი – ეს ელემენტი გულისხმობს ერთი მხრივ, ტექსტის ერთიანობას და იმ პატერნებს, რომლებიც ამ ერთიანობას განსაზღვრავს (მაგალითად, სატელეფონო საუბრისას მონაწილე იყენებს განსხვავებულ სტრუქტურას, ვიდრე პირისპირ საუბრისას), ხოლო მეორე მხრივ, იმ შემაჯამებელ დებულებას, რომლის განცხადებაც ტექსტის მიზანია და რომელიც ინტერაქციის დანარჩენ მონაწილეებს გონებაში უნდა დარჩეთ.

ჩამოთვლილი ცვლადები ტექსტის ანალიზისას შესაბამის კითხვებად ფორმულირდება.

ინტერპრეტაციული ეტაპის დროს ზედაპირზე ამოდის ის ვარაუდები, დასკვნები და ჭეშმარიტებები, რაც მონაწილეთათვის იმპლიციტურია და წარმოადგენს როგორც მათი რესურსების, ისე დისკურსის ნაწილს. ამ დასკვნებისა და ვარაუდების შიგნით ჩადებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების, უთანასწორობისა თუ იდეოლოგიური შინაარსების ანალიზი უკვე ახსნითი ეტაპის ნაწილია.

ახსნითი ეტაპი მიზნად ისახავს როგორც დისკურსის სოციალური ფაქტორების, პროცესების, სტრუქტურების გამოვლენას, რომლებიც მის თავისებურებებს განსაზღვრავს, ისე უკუკავშირსაც – იმ სოციალური ეფექტების გამოვლენას, რომლებიც დისკურსის წარმოების შედეგია.

ცვლადები, რომლებიც ახსნით ეტაპზე შემოდის, სქემაზე შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც უკვე აღინიშნა, სიტუაციური დეტერმინანტი/ეფექტი არის მიმდინარე სიტუაციის გავლენა/ეფექტი. ინსტიტუციური დეტერმინანტი/ეფექტი არის უფრო ფართო შრე, რომელიც ინსტიტუციურ სქემაზე გავლენას (ან პირიქით), გულისხმობს, ხოლო სოციალური დეტერმინანტები/ეფექტები არის ზოგადსაზოგადოებრივი შრის³ გავლენა/ან გავლენა მასზე.

ახსნითი ეტაპი ეძებს შემდეგ კითხვებზე პასუხს: რომელი ძალაუფლებრივი ურთიერთობები აძლევს ფორმას დისკურსს სიტუაციურ, ინსტიტუციურ და

3. იგულისხმება საზოგადოება, როგორც ერთიანი სოციალური სისტემა და არა ცალკეული სოციალური ელემენტი

სოციეტალურ დონეზე; მონანილის რესურსების რა ნაწილია იდეოლოგიური ელემენტები; როგორ ეფექტებს ახდენს დისკურსი სიტუაციურ, ინსტიტუციურ და სოციეტალურ დონეზე?

მოცემული სახელმძღვანელო და მისი ცვლადები შესაძლოა, გამოიყენებოდეს სრულად, ან ნაწილობრივ. ეს განპირობებულია სასაუბრო აქტებზე, სქემებსა და ტექსტის ფორმებზე, რომლებსაც ანალიზისათვის გამოიყენებთ.

ასევე, მკვლევარმა შეიძლება, აირჩიოს ორი სტრატეგია: პირველი – მიჰყვეს ტექსტის მიერ შემოთავაზებულ ეტაპობრივ ანალიზს და მეორე – მიჰყვეს თავად ტექსტის სტრუქტურას და ანალიზის სხვადასხვა დონიდან შესაფერისი ცვლადები გამოიყენოს.

თავი 4. მონიტორინგის მიმდინარეობა და ძირითადი დაბრკოლებები კვლევის განხორციელებისას

პოლიციის მონიტორინგი წარმოებდა თბილისსა და კახეთში. საპოლიციო პრაქტიკაზე დაკვირვება მოიცავდა 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდს (არჩევნების ოფიციალურად გამოცხადება). სწორედ ამ ხნის განმავლობაში განვითარებული მოვლენები და დაფიქსირებული ფაქტებია შესული კვლევის შესაბამის თავებში. მსგავსი მეთოდოლოგია ცხადია, გამოირიცხავდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის ყველა შესაძლო საქმის დოკუმენტირებას და შესწავლას. ამდენად, წარმოდგენილი კვლევის შედეგები სწორედ ამ მეთოდოლოგიური შეზღუდვების ფონზე იკითხება. ამასთან, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ეს არის პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხის კვლევის პირველი მცდელობა და არ არსებობს წინა პერიოდში მსგავსი მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევა, რაც შედეგების შედარების საშუალებას მოგვცემდა. ამდენად, კვლევის გუნდი მოკლებულია შესაძლებლობას, წარმოადგინოს შედარებითი ანალიზი ან რეტროსპექტული ხედვა ვითარების გაუმჯობესების ან გაუარესების შესახებ, თუმცა კვლევის მეთოდოლოგიასა და შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე საპოლიციო სისტემაში მწვავედ დგას პოლიტიკების რისკი, რაც კვლევაში აღწერილ ინსტიტუციურ მიზეზებს უკავშირდება. ამასთან, კვლევის შეზღუდული მანდატიდან და რესურსებიდან გამომდინარე, ცალკე აღებული შესწავლილი საქმეები ვერ განდება პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის განზოგადებული სურათის მაჩვენებელი. ის უნდა განიხილებოდეს იმ პრობლემებთან ერთად, რომელზეც კვლევის სხვადასხვა თავშია საუბარი.

კვლევის მიმდინარეობისას განსხვავებული ტიპის დაბრკოლებები წარმოიშვა ავტორების წინაშე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდმა ვერ მოახერხა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების, პოლიციის თანამშრომელთა განწყობების კვლევა. როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით შემუშავდა სპეციალური

კითხვარი; ამასთანავე, კვლევის ავტორებს ჰქონდათ კომუნიკაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან, რათა ორივე მხარის რესურსების ეფექტიანად გამოყენებით მომხდარიყო შემთხვევით შერჩეულ პოლიციელთა ანკეტირება. სამწუხაროდ, ავტორებმა სამინისტროს მხრიდან ვერ მიიღეს თანხმობა ამ მიმართულებით კვლევის რომელიმე (მათთვის სასურველი) ფორმით წარმართვაზე.

მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა შესაბამისი ოფიციალური მასალის/დოკუმენტაციის მიღება როგორც სხვადასხვა საჯარო უწყებიდან, ისე კერძო პირებისგან. კერძოდ, ვერ მოხერხდა ყველა შესასწავლ/შესწავლილ საქმეზე სასამართლო/ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად მოგროვება. საქმის მასალებზე გარეშე პირების წვდომა შეზღუდულია, ასევე გართულებულია სასამართლოდან კონკრეტულ პიროვნებებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესიც, პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით. ამდენად, საქმის მასალების შეგროვების ერთადერთ რეალურ საშუალებას თავად „დაზარალებულებსა“ და მათ ადვოკატებთან კომუნიკაცია წარმოადგენდა. სამწუხაროდ, პრაქტიკულად არც ერთი საქმის მონაწილე პირებსა და ადვოკატებს საქმის მასალები სრულად არ გააჩნდათ და ამდენად ვერ მოახერხეს პროექტის გუნდისთვის მათი გადაცემა. კვლევაში მოყვანილი გარემოებები და შეფასებები, როგორც წესი, ეყრდნობა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ანალიზს, დაზარალებულებისა და სხვა გამოკითხული პირების ინტერვიუებს, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სანდო წყაროების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და მედია მონიტორინგის შედეგად მიღებულ მასალებს.

ასევე ვერ ხერხდებოდა საჯარო უწყებებიდან სტატისტიკური თუ სხვა ტიპის საჯარო ინფორმაციის დროული მიღება. ამ მიმართულებით ასევე რთული აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობა/ურთიერთობა, რადგან ვადის გადაცილების პარალელურად, სამინისტრო ხშირ შემთხვევაში საერთოდ უარს აცხადებდა გამოთხოვილი ინფორმაციის გადმოცემაზე. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინირების საქმის მასალები, თანამდებობის პირთა მიმართ გამოყენებული წახალისების ფორმები და ფინანსური წახალისების ოდენობები, საკადრო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და სხვა.

თავი 5: კვლევის დაწყებისას და შემდგომში არსებული ვითარების აღწერა

მოცემული თავი მიმოიხილავს იმ ზოგად ინსტიტუციურ, საკანონმდებლო და ფაქტობრივ რეალობას, რომელშიც კვლევის ინიცირება და განხორციელება მოხდა. კონკრეტული საქმეების სამართლებრივი შეფასებისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციურ-საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვის გარდა, მნიშვნელოვანია იმ ზოგადი კონტექსტის გააზრება, რომელშიც აღნიშნული ფაქტები განვითარდა.

კვლევის დაწყების (2015 წლის ივლისი) და მისი განხორციელების პერიოდში მნიშვნელოვან რეფორმას წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის გაყოფა. რეფორმით ერთმანეთის განტეხნილი კურად გაიმიჯნა ზემოაღნიშნული ორი სამსახური, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში მანამდე არსებული ინსტიტუციური პრობლემები დღემდე აქტუალურია და ამ მიმართულებით სამინისტროს სტრუქტურაში, კონკრეტული სამსახურების კომპეტენციისა და ფუნქციების ნათლად განსაზღვრისა და გამართული ორგანიზაციული მოწყობის მიზნით ხელშეხსნები ცვლილებები არ გატარებულა.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ნარკოდანაშაულისა და ნარკოტესტირების მარეგულირებელ კანონმდებლობას⁴, ასევე მოწმის დაკითხვის წესებს⁵, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა პოლიციისა და მოქალაქეების ურთიერთობის ფორმებსა და ინტენსივობაზე. კერძოდ, გაუქმდა საგამოძიებო ორგანოს წინაშე ჩვენების მიცემის ვალდებულება. ასევე, შეიზღუდა ნარკოტესტირებაზე პირის გადაყვანის საფუძვლები, თუმცა შესაბამის თავში საუბარი იქნება ნარკოტესტირების რეფორმირებული ინსტიტუტის პირობებშიც კი პოლიციის მხრიდან თვითნებობის რისკზე.

რაც შეეხება სამინისტროს ხელმძღვანელობას – 2015 წლის რეფორმის შემდგომ სამინისტროს ხელმძღვანელობს გიორგი მღებრიშვილი, ყოფილი მინისტრი ვახტანგ გომელაური კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დაინიშნა. მონიტორინგის განმავლობაში სამინისტროს ხელმძღვანელობასა და ზედა რგოლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გატარებულა, თუმცა პროექტის მიმდინარეობისას რეგიონებში პოლიციის ხელმძღვანელების რამდენიმე როტაცია ან/და გათავისუფლების ფაქტი აღინიშნა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წლის იანვარში სამი რეგიონის პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა დატოვეს თანამდებობები⁶. კვლევის ავტორებმა აღნიშნული კოლექტიური როტაციის საფუძვლების დაზუსტება სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით სცადეს, თუმცა კვლევის დასრულების ეტაპისთვის სამინისტროდან პასუხი მოწოდებული არ ყოფილა.

როგორც აღინიშნა, 2015 წლის აგვისტოში რეფორმის შედეგად შინაგან საქმეთა

4 „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის N725 ბრძანება.

5 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ბესიკ ამირანაშვილი გადაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე და მის ნაცვლად დაინიშნა ლაშა გოგნიაშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი კობა ცერცვაძე გადაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მის ნაცვლად დაინიშნა კახაბერ მურადაშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ივანე ზურაბაშვილი აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა

სამინისტრო ორ უწყებად გაყო. ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამდენად, აღნიშნული ინსტიტუციური გარდაქმნის შემდეგ ქვეყანაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების დაცვის მიზნით ორი განცალკევებული უწყება შეიქმნა. რეფორმის შემდეგაც ორივე უწყებას შეუნარჩუნდა თითქმის იდენტური ფუნქციები და ინსტრუმენტები (გამოძიების კომპეტენცია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და საპრევენციო ღონისძიებები), მათი გამოყენება კი მიზნით გაიმიჯნა (სახელმწიფო უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგი).

ახლად შექმნილ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში თავი მოიყარა იმ დეპარტამენტებმა, რომელიც მანამდე შსს-ში ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებდა (კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო, კონტრტერორისტული ცენტრი და სხვა). სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო (სუს), 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ჯგუფის მიერ მანამდე არსებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) ბაზაზე შეიქმნა. როგორც კუდ-ის, ასევე სუს-ის საქმიანობას მუდმივად თან სდევდა შეკითხვები პოლიტიკურ კლიმატსა და პოლიტიკურ პროცესზე მათი შესაძლო ზეგავლენის შესახებ. დიდწილად აღნიშნული შეკითხვები ამ ორგანოს ბუნდოვანი უფლებამოსილებებიდან მომდინარეობდა. განსხვავებით უსაფრთხოების სამსახურის სხვა დანაყოფებისგან, სუს-ის ფუნქციები კონკრეტული სპეციფიკით ახლაც არ არის განსაზღვრული.

ახლად შექმნილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დამატებით შესწავლას და დაკვირვებას საჭიროებს. წარმოდგენილი ანგარიში, კვლევის მეთოდოლოგიისა და მისი შეზღუდვების გათვალისწინებით, არ ფარავს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. პროექტის გუნდს არ უნარმოებია დაკვირვება უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაზე, თუმცა ამ სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის, ფართო მანდატისა და დახურულობის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ არაერთი კითხვა არსებობს ამ უწყების მხრიდან პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის მოხდენის რისკებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უწყების განსაკუთრებული დახურულობა, გარე კონტროლის მექანიზმების არარსებობა, საპარლამენტო ზედამხედველობის სისუსტე, სამსახურს ადეკვატური კონტროლის გარეშე ტოვებს.

როგორც აღინიშნა, მონიტორინგის მეთოდოლოგია შეზღუდული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- შესასწავლი ფაქტები დროში უნდა დამთხვეოდა მონიტორინგის პერიოდს;

სამინისტროს კადრების განკარგულებაში და დაინიშნა სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე და მის ნაცვლად დაინიშნა დიმიტრი ზურაბიშვილი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 10 თებერვლის N331578 ნერილი.

- ფაქტები უნდა მომხდარიყო თბილისსა და კახეთში;
- ფაქტები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ისეთ საკითხებთან, როგორცაა პოლიტიკური ჯგუფების ან/და აქტივისტების მიერ შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა, ან/და მათ მიმართ ნარკოტიკული დანაშაულის საქმის წარმოება;

შეზღუდული მეთოდოლოგიის პირობებში, უფრო ფართო სურათისა და კონტექსტის აღწერის გარეშე, კვლევის შედეგების სრულფასოვნად წარმოდგენა შეუძლებელია. ამდენად, პროექტის გუნდმა საჭიროდ მიიჩნია, მოკლედ აღწერა პოლიციასთან დაკავშირებული ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც წინ უსწრებდა ან თან სდევდა მონიტორინგის პროცესს, მაგრამ ხსენებული მეთოდოლოგიური შეზღუდვების გამო, კვლევაში ვერ მოხვდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონიტორინგის დასკვნითი ეტაპი წინასაარჩევნო პერიოდის მოახლოებას დაემთხვა, რაც ცხადია, ზრდიდა პროცესების პოლიტიზების შესაძლებლობას როგორც ცალკეული ჯგუფების, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. ამ პირობებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სწორედ სახელმწიფო აპარატს, საქმიანობა წარემართა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სრული დაცვით და დისტანცირება მოეხდინა პოლიტიკური ჯგუფების დღის წესრიგისგან. სამწუხაროდ, არაერთ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, უფრო კონკრეტულად კი, უმოქმედობა, წარმოშობდა კითხვებს ამ პრინციპის განუხრელი დაცვის შესახებ.

მნიშვნელოვანი მოვლენები მონიტორინგის პროცესში

1. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა ცალკეული ჯგუფების მხრიდან ორგანიზებული ძალადობის ფაქტების გახშირება. განსაკუთრებით ინტენსიური იყო ცალკეული ჯგუფების თანადროული თავდასხმები „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე⁷, რაც ტოვებდა ორგანიზებული მოქმედების შთაბეჭდილებას. მაგალითისთვის, 2015 წლის სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბერში 7 რეგიონში დაესხნენ თავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებს. თავდასხმების ქრონოლოგია, ხელწერა და მიმდინარეობა კონკრეტული ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრულ და ორგანიზებულ ფართომასშტაბიან ძალადობაზე მიუთითებდა.

თავდასხმებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი⁸, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ „სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება და მათი მხრიდან კანონიერი ვალდებულებების შესრულება არაერთგვაროვანია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და

7. ხელმისაწვდომია: <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/350765-quthaisshi-nacionaluri-modzrao-bisq-ofisi-tsithlad-sheghebes.html?ar=A> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

8. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/10/23/arasamtavrobota-gancxadeba/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

ინდივიდუალურად მოსამართლეების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება დღემდე არ მომხდარა, ასევე რეაგირების გარეშე დარჩა, ან მინიმალური რეაგირება მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დეპუტატებისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთ შემთხვევაზე. ამის პარალელურად, ხდება ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მხარდამჭერი აქციის მონაწილეების დაკავება, სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დაწყება და მათთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება. ძალადობა და ძალადობის მუქარა ნებისმიერ შემთხვევაში სამართალდარღვევას წარმოადგენს, რა დროსაც სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, მოახდინონ ადეკვატური და ეფექტიანი რეაგირება, თუმცა რეაგირება არ უნდა იყოს შერჩევითი. დაუშვებელია, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ორმაგი სტანდარტით მოქმედება, რადგან აღნიშნული პირდაპირ ბადებს ეჭვს ამ სისტემის პოლიტიზებასა და მისი ვიწრო პარტიული ინტერესებით გამოყენებაზე.“

ამავე განცხადებაში აღნიშნული იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედაქალაქისა და ფაქტობრივად ყველა რეგიონულ ოფისთან გამართულ საპროტესტო აქციებზე თავდასხმებში „ქართული ოცნების“ პარტიულ აქტივისტებთან ერთად, სოფლის რწმუნებულები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

გასათვალისწინებელია, რომ ძალადობის აღნიშნული ტალღა მოჰყვა წამების ამსახველი კადრების გავრცელებას უკრაინულ ვებგვერდზე, ასევე ამ კადრების საჯარო ჩვენებას თბილისსა და ზუგდიდში, სადაც მათი ნახვა ქუჩაში გამვლელ ნებისმიერ პირს შეეძლო. როგორც მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია მიუთითებდა, ძალადობრივი კადრების ჩვენებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც⁹. სამწუხაროდ, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების მხრიდან მსგავს საჯარო ჩვენებებზე დროული რეაგირება არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევები ქმნიდა ძალადობის რეალურ რისკს, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდევ.

აღნიშნული ფაქტების ანალიზი ერთიანობაში ქმნიდა შეფასების შესაძლებლობას, რომ პოლიცია არ იყო მონოდებულო, დროულად და ეფექტიანად აღეკვეთა განვითარებული ძალადობის ფაქტები, მოეხდინა ძალადობრივი დაპირისპირების პრევენცია და შემდგომი სამართლებრივი რეაგირება. პოლიციის მხრიდან მსგავსი ინერტულობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო იმ დროს, როდესაც ძალადობა პოლიტიკურ ოპოზიციაზე მიემართებოდა. არასაკმარისი ჩარევისა და რეაგირების პირობებში კი ძალადობრივი აქტები არ შემცირებულა და შესაძლოა ამან ახალი ფაქტების პროვოცირებაც გამოიწვია. სამწუხაროდ, პროკურატურამ უარი განაცხადა საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე, თუ რა რეაგირება მოჰყვა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე” თავდასხმასა და ქუჩებში წამების ამსახველი კადრების

⁹ ხელმისაწვდომია: <http://1tv.ge/ge/news/view/109330.html> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

საჯაროდ ჩვენებას. აღნიშნული საქმეების გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

2. მონიტორინგის განმავლობაში პოლიტიკური ვითარებისა და პროცესების დაძაბვის რეალური რისკი შექმნა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებამ. 2016 წლის მარტში ინტერნეტში გავრცელდა ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრები და ასევე მუქარა არაერთი პირის მისამართით. ცხადია, საპარლამენტო არჩევნების მოახლოების კონტექსტში ამ პროცესმა შექმნა პოლიტიკურ გარემოზე არალეგალური მეთოდებით ზემოქმედებისა და საზოგადოების შანტაჟის რეალური საფრთხე.

როგორც ცნობილია, პროკურატურა ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეს და უკანონოდ მოპოვებული ათასობით ფაილის აღმოჩენაზე გამოძიებას რამდენიმე წელია აწარმოებს. 2013 წლის აგვისტოში, მთავრობის დადგენილებით შექმნილმა „უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითმა კომისიამ“ პროკურატურას გამოსაძიებლად არაერთი ფაილი გადასცა, თუმცა გამოძიების საბოლოო და სრულყოფილი შედეგები ამ დრომდე უცნობია. ინტერნეტსივრცეში გავრცელებული კადრები და კადრების გავრცელების მუქარა კიდევ ერთხელ მიუთითებს გამოძიების არაეფექტიანობასა და დაუსჯელობის პრობლემაზე, რაც ახალისებს ახალ დანაშაულებს პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში.

ამ მიმართულებით სისტემური და ინსტიტუციური გამოწვევების არსებობა დაადასტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის აპრილის გადაწყვეტილებამ¹⁰, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნეს ფარული მოსმენა-მიყურადების მოქმედი სისტემა. წინასაარჩევნო კონტექსტში ფარული ჩანაწერებით შანტაჟმა მნიშვნელოვნად შეარყია პროცესების მშვიდობიან და დემოკრატიულ გარემოში განვითარების პერსპექტივა და საზოგადოებაში დაუცველობის განცდა წარმოშვა. სამწუხაროდ, ამ დრომდე სისტემური დანაშაულის გამოძიების, ისევე როგორც უკანონოდ მოპოვებული მასალების ინტერნეტსივრცეში განთავსების საკითხი ღიად არის დატოვებული, რაც 2016 წლის ოქტომბრის არჩევნების კონტექსტში პოლიტიკური გარემოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

3. ინტერნეტსივრცეში ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გამოჩენის გარდა, უნდა ითქვას, რომ პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევაზე საუბრობდნენ პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური პირები. ისინი მიუთითებდნენ, რომ ხდებოდა მათი კომუნიკაციის ფარული მიყურადება ან/და არსებობდა მათ

10. ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page> (ნედომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

შესახებ ფარულად მოპოვებული მასალის გამჟღავნების რისკი¹¹. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება, რომ მის წინააღმდეგ ფარული ფოტო და ვიდეომასალის გამოქვეყნება იგეგმებოდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის შესახებ თავმჯდომარემ იმ დროს განაცხადა, როდესაც საკმაოდ დაძაბული იყო ვითარება საკონსტიტუციო სასამართლოსა და მმართველ უმრავლესობას შორის. თუმცა, ამ განცხადებას საპასუხო ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.

გარდა შესაძლო მუქარისა, მონიტორინგის პერიოდში ინტერნეტსივრცეში მართლაც გავრცელდა პოლიტიკოსების საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერი¹². ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმის სასამართლო განხილვის განსაკუთრებულად აქტიურ ფაზაში ყოფნისას ასევე გავრცელდა ტელეკომპანიის გენერალური დირექტორისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სატელეფონი საუბრის ამსახველი აუდიომასალა¹³. სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტების გამოძიების შედეგები, ისევე როგორც სხვა გახმაურებული ფაქტების გამოძიების მიმდინარეობა, ამ დროისთვის უცნობია. ამდენად, სამართალდამცავ ორგანოებს საზოგადოებისთვის არ განუმარტავთ. ვინ იდგა ამ ტიპის შანტაჟის უკან.

4. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებას შედეგად მოჰყვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2015 წლის 24 ოქტომბერს გამოძიების დაწყება სსკ-ის 315-ე მუხლით, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად¹⁴.

როგორც აღნიშნული გამოძიების დაწყების შემდეგ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ განცხადებაში¹⁵ აღინიშნა, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას დროულად დასათანადო დემონსტრაციის ინფორმაცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოებს ამ დრომდე არ დაუზუსტებიათ ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიის სანდოობისა და ავთენტურობის შესახებ ინფორმაცია. დღემდე არ გამხდარა ხელმისაწვდომი სტატიის ალტერნატიული შესაძლო საუბრის დეტალების ამსახველი ვიდეო, აუდიო ან

11. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/news/view/18807/gvaramia-khelisufleba-piradi-urtiertobebis-amsakhveli-kadrebis-gamoqveynebit-memuqreba>
<http://www.tabula.ge/ge/story/105364-papuashvili-tsulukiani-chemze-faruli-chanatserebis-gamoqveknibas-dazhinebit-itxovs>
<http://rustavi2.com/ka/news/25819> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

12. ხელმისაწვდომია: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/351050-ukrainuli-vikiliqsi-saakashvili-sakhelmtsifo-gadatrialebas-gegmaivs.html?ar=A> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

13. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/news/view/18996/ukrainuli-vebgverdi-savaraudod-gvaramiasa-da-saakashvilis-satelefono-saubars-aqveynebs> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

14. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/articles/view/18899/susma-khelisuflebis-dasamkhobad-an-khelshichasagdebad-shetqmulebis-mukhlit-gamodzieba-daitsyo> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

15. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/10/27/emc-gancxadeba-gadatrialebaze/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

სხვა დამადასტურებელი მონაცემი. ამ ვითარებასა და სტატიის გამავრცელებელი ინტერნეტპორტალის მიმართ არსებული შეკითხვების პირობებში ძლიერდება ეჭვები იმ ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც გამოძიებაა დაწყებული“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ საქმეზე გამოძიების დაწყებას ასევე შედეგად მოჰყვა სამართალდამცავების მიერ ტელევიზიაზე კონტროლის გაძლიერება, რაც „რუსთავი 2-ის“ ტერიტორიის მეთვალყურეობასა და ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე სათვალთვლო კამერების დამონტაჟებაში¹⁶ გამოიხატა. როგორც ცნობილია, გაძლიერებული სამეთვალყურეო კონტროლი ტელეკომპანიის ტერიტორიაზე კვლავაც გრძელდება, თუმცა გამოძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ამდენი თვის შემდეგაც არ ვრცელდება.

5. ცალკე უნდა აღინიშნოს 2016 წლის მაისში რამდენიმე რეგიონში მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნები¹⁷, სადაც განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა საარჩევნო დღე ზუგდიდში, კორცხელის საარჩევნო უბანზე.

უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებულმა პირებმა, რომელთა შორისაც, ძირითადად, სპორტსმენები იყვნენ, ფიზიკური ძალა გამოიყენეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების წინააღმდეგ¹⁸. უნდა აღინიშნოს, რომ მედიასა და სოციალურ ქსელებში ინციდენტამდეც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდში არჩევნების დღეს სპორტსმენების გარკვეული ჯგუფი გადაადგილდებოდა. გარდა მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა, სოციალურ ქსელებში გავრცელებული მასალებიც მიუთითებდა, რომ მათი მობილიზაცია წინასწარ იყო ორგანიზებული. ცხადია, ორგანიზებული მოქმედება გამორიცხავდა ადგილზე ძალადობის სპონტანურ განვითარებას და მიანიშნებდა, რომ ჯგუფის მოქმედებას უფრო მეტად წინასწარ განზრახული ხასიათი ჰქონდა.

სამწუხაროდ, ძალადობრივი ჯგუფების გადაადგილების შესახებ არსებული ინფორმაციის მიუხედავად, პოლიციამ ინციდენტის დროული განმუხტვა ვერ შეძლო. კიდევ უფრო დიდ კრიტიკას იმსახურებს ინციდენტის შემდგომ განვითარებული მოვლენები და დაგვიანებული სამართლებრივი რეაგირება. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში¹⁹ აღნიშნული იყო: „ზუგდიდში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირებიდან კვირაზე მეტია გასული, თუმცა საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია, რა ეტაპზეა გამოძიება, რა საპროცესო და საგამოძიებო

16. <http://rustavi2.com/ka/news/30013>

17. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 22 მარტის N127/2016 განკარგულება. ხელმისაწვდომია: <http://cesko.ge/res/old/other/33/33118.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

18. ხელმისაწვდომია: <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/380733-korckhelis-53-e-ubanze-fizikuri-dapirispireba-mokhda.html?ar=A> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

19. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2016/06/01/emc-72/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

მოქმედებები ჩატარდა საქმეზე სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით და რატომ არ მომხდარა ამ დრომდე იმ პირების სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ძალადობრივ აქტებში. აღნიშნული კითხვები მით უფრო ლეგიტიმურია იმ ფონზე, რომ კონკრეტული პირების იდენტიფიცირება შესაძლებელია იმ არაერთი ვიდეომასალიდან, რომელიც ასახავს დაპირისპირების განვითარებას და რომელიც საჯაროდ არის გავრცელებული.“

ინციდენტის დროს და მას შემდეგ არ მომხდარა ძალადობაში ჩართული არც ერთი პირის დაკავება, რათა აღკვეთილიყო ძალადობრივი ქმედებების ესკალაცია ან ფიზიკური დაპირისპირების უფრო მძიმე ფორმებში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში გავრცელებული კადრებისა და თვითმხილველების ჩვენებების საფუძველზე უმოკლეს ვადებში შეიძლებოდა ინციდენტში მონაწილე პირების იდენტიფიცირება, მათთან პირველადი ოფიციალური კომუნიკაცია სამართალდამცავებმა რამდენიმე დღის დაგვიანებით, მხოლოდ მას შემდეგ დაამყარეს, რაც ეს პირები თავად გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში და გამოთქვეს პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 125-ე მუხლით (ცემა)²⁰, რაც, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენდა ადეკვატურ სამართლებრივ კვალიფიკაციას. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით²¹, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ეს იყო წინასწარ ორგანიზებული მოქმედება პირთა ჯგუფის მხრიდან, რომელთა ძალადობრივი ქმედებები სცდებოდა ცემის ფარგლებს და შეიცავდა უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნებს. „ქმედების სწორად კვალიფიკაცია აუცილებელია, რათა მომხდარ ფაქტს ადეკვატური სამართლებრივი პასუხი გაეცეს, სწორი კვალიფიკაცია, აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოძიების მიმართ არსებობდეს საკმარისი საზოგადოებრივი ნდობა და კონკრეტულმა პირებმა ითანამშრომლონ საგამოძიებო ორგანოებთან.“ აღნიშნულ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადების შემდგომ, საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და პირებს ბრალი სსკ-ის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) წარედგინათ²².

საქმეზე შემდგომი სამართლებრივი რეაგირება და მისი კრიტიკა ნაკლებად მიემართება პოლიციას, თუმცა სრულყოფილი სურათისა და სისტემური შეფასებისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ პროკურატურამ შემდგომში ბრალდებულების მიმართ სასამართლოს გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა, რასაც სასამართლოც დაეთანხმა²³.

აღნიშნული საქმის კონტრასტულობისა და არაერთგვაროვანი სტანდარტების

20. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/news/116639/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

21. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2016/06/01/emc-72/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

22. ხელმისაწვდომია: <http://police.ge/ge/shss-m-kortskhelis-intsidentshi-monatsile-6-pirs-brali-tsaukena/9754> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

23. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/news/120542/> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

გამოყენების ილუსტრირებისთვის მნიშვნელოვანია ქუთაისის პარლამენტის წინ

2015 წლის ნოემბერში განვითარებული ნაკლებად ძალადობრივი ინციდენტის გახსენება – რამდენიმე ახალგაზრდასა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს შორის დაპირისპირებისას პარლამენტის წევრს დაუზიანდა პიჯაკი, რასაც სამი პირის დაკავება მოჰყვა. დაკავებულებს პროკურატურამ ბრალი ხულიგნობის მუხლით წაუყენა და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოსთხოვა. სასამართლო დაეთანხმა შუამდგომლობას, რის შედეგადაც აღნიშნული ახალგაზრდები რამდენი თვის განმავლობაში ბრალდებულის სახით საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდნენ²⁴.

კორცხელის ინციდენტში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე სამართალდამცავი ორგანოების „ლიბერალური“ რეაგირება არ მიუთითებს და არ უნდა იყოს აღქმული, როგორც მათი მხრიდან სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გადაზრებისა და ლიბერალიზაციის შედეგი. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ აღნიშნული ინციდენტს მოჰყვა შესაბამისი კანონმდებლობის გამკაცრება სისხლის სამართლის კოდექსში²⁵ და, აგრეთვე, ცალკე დანაშაულად განისაზღვრა *კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემა, ან სხვაგვარი ძალადობა*²⁶. მიუხედავად იმისა, რომ აღკვეთის ღონისძიებისა და მისი ყველაზე მკაცრი სახის – პატიმრობის ინტენსიური გამოყენების პრაქტიკის შეცვლის საჭიროება არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში, პოლიტიკის გადასინჯვა ერთგვაროვნად უნდა მოხდეს და აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევა ბრალდებულის პარტიულ ან/და ორგანიზაციულ კუთვნილებასთან, რომელიმე გაერთიანების წევრობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რის ეჭვსაც ქმნიდა კორცხელის ინციდენტში მონაწილე პირების მიმართ გამოყენებული სამართლებრივი ზომები.

24. ხელმისაწვდომია:<http://liberali.ge/news/view/18557/deputattan-fizikuri-dapirispirebistvis-dakavebul-3-pirs-tsinastsari-patimroba-sheufardes>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

25. იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322221#DOCUMENT:1>;

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1621 მუხლი.

თავი 1: პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა

პოლიტიკის დოკუმენტებში ასახულია ხელისუფლების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ხედვა შემდგომი რეფორმების მიმართულებით და ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და ცალკეული საკითხების გაუმჯობესებულ რეგულირებას ემსახურება. სტრატეგიები და სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს არსებული ხარვეზების სწორ იდენტიფიცირებას, სისტემის საფუძვლიან ინსტიტუციურ შეფასებასა და სათანადო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი არსებითად მნიშვნელოვანია ხელისუფლების სისტემური მიდგომისა და ხედვის, ასევე სამართალდამცავ სისტემაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ განსახორციელებელი აქტივობებისა და ზოგადი სტრატეგიის შესაფასებლად.

ეროვნულ დონეზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტებთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებას უკავშირდება, კერძოდ: სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა, პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ არსებული საჩივრების განხილვის პროფესიონალური და ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის ჩამოყალიბება, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ყოვლისმომცველი პროფესიული გადამზადება ეთიკურ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე²⁷. შესაბამისად, სამართალდამცავი სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში ალბურ ვალდებულებასაც წარმოადგენს.

სამართალდამცავი სისტემის შემდგომი რეფორმირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ორი ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტი:

- ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული უნდა იყოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016-2020 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს სისტემურ და ინსტიტუციურ საკითხებზე.

27. ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

თავი 2: ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ყველა თავს მიემართება, არის სახელმწიფოს მხრიდან თითოეული უფლების რეალიზების არსებული მდგომარეობის, ერთგვარი ათვლის წერტილის განუსაზღვრელობა, რაც არ იძლევა შესაძლებლობას, ვიცოდეთ სახელმწიფოს შეფასებით რა ნიშნულიდან, რა პრობლემებისა და გამოწვევების პირობებში აგრძელებს ის მუშაობას ცალკეული მიმართულებით.

ამგვარი ანალიზი/სიტუაციური აღწერა ყველა საკითხთან მიმართებით ნათელს გახდის: 1. როგორ ხედავს სახელმწიფო დაბრკოლებებსა და საჭიროებებს თითოეული უფლების დაცვის/რეალიზების კუთხით; 2. აღიარებს თუ არა ცალკეულ გამოწვევებს და როგორია მათი გადაჭრის ხედვის ძირითადი მიმართულებები; 3. როგორია სახელმწიფოს მხრიდან გამოწვევის/პრობლემის გააზრების მასშტაბი და სისტემურობა; ამასთან, პრობლემების დასმა, აღიარება და მათი მასშტაბის მონიშვნა შესაძლებელს გახდის, სამოქმედო გეგმის დასრულებისას არსებობდეს პროგრესის გაზომვის საწყისი წერტილი²⁸.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები, ამოცანები და საქმიანობები ხშირად ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირებებით შემოიფარგლება, რაც არ იძლევა სახელმწიფოს მიერ საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებისა და მისი ხედვის/მიმართების განჭვრეტის შესაძლებლობას, რაც შეუძლებელს ხდის ამოცანისა და საქმიანობის ადეკვატურობის შეფასებას და მას შაბლონურ ჩანაწერად აქცევს, რომელსაც აქვს რესურსი, დაიტიოს როგორც ზედაპირული/ფრაგმენტული, ისე მოცულობითი და მნიშვნელოვანი ცვლილება თუ რეფორმა²⁹.

გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები კვლავ უმეტესად ტექნიკური და ფორმალურია, რაც არ იძლევა ეფექტის რეალურად გაზომვის შესაძლებლობას. მაგალითად, კანონმდებლობის ცვლილების ამოცანასთან კავშირში ინდიკატორად მითითებულია ცვლილებების შეტანა კონკრეტულ სამართლებრივ აქტში. ამგვარი ინდიკატორის, როგორც შეფასების ერთადერთი კრიტერიუმის არსებობის პირობებში, ნებისმიერი ცვლილების შეტანა სამართლებრივ აქტში შეიძლება ფორმალურად ჩაითვალოს ამოცანის შესრულებად³⁰.

28. EMC-ის მოსაზრებები ადამიანის უფლებების დაცვის 2016-17 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიაზე, ხელმისაწვდომია: <https://emcrighits.files.wordpress.com/2015/11/emc-comments-on-action-plan.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

29. იქვე.

30. იქვე.

მოცემული დოკუმენტის მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის იმ ნაწილის შეფასება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება. პოლიციასთან დაკავშირებული საკითხების ძირითადი ნაწილი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თავშია გაერთიანებული და მხოლოდ რამდენიმე დებულებას მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში ნახსენებია კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება, ასევე პოლიციის საქმიანობაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები არასაკმარისია და მიუთითებს, რომ პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მიმართულებით ამ ეტაპზე მთავრობას სტრატეგიული ხედვა ჩამოყალიბებული არ აქვს. სამწუხაროდ, გეგმაში წარმოდგენილი არ არის ან მკვეთრად სუსტია აქცენტები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

• შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა და შიდა სტრუქტურული გაჯანსაღება

გასათვალისწინებელია, რომ 2015 წელს განხორციელებული რეფორმა პოლიციის სისტემის შიდა უწყებრივ რეფორმასა და შიდა სტრუქტურების ინსტიტუციურ გაჯანსაღებაზე არ ყოფილა ორიენტირებული. ამდენად, სრულყოფილად არის შესასწავლი ის გამოწვევები, რაც პოლიციის სისტემაში არსებობს და რაც ხელს უშლის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული საპოლიციო მექანიზმების ფუნქციონირებას. საჭიროა შეფასდეს კონკრეტული საპოლიციო მექანიზმებიც, რომლებიც პრობლემურია და ზრდის პოლიციის მხრიდან თვითნებობის საშუალებას, რასაც წარმოდგენილი კვლევაც ადასტურებს.

• პოლიციის სისტემის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის დახვეწა და ანგარიშვალდებულების გაზრდა

სამწუხაროა, რომ გეგმაში სათანადოდ არ არის საუბარი პოლიციელთა პასუხისმგებლობის სისტემის საფუძვლიან რეფორმაზე. პოლიციელების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის იდეა გეგმაში მხოლოდ წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებით არის შემოფარგლული, რაც საკითხის არსებითი დავინროვებაა და დაუსჯელობასთან ბრძოლის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას არ პასუხობს.

თავი 3: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უფრო მეტად ინსტიტუციურ საკითხებზეა ორიენტირებული, პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის განმტკიცების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ის ითვისწინებდეს რამდენიმე აუცილებელი რეფორმის იდეას, რაც ამ ეტაპზე

არასაკმარისად არის წარმოდგენილი. მათ შორისაა:

სტრუქტურა და კომპეტენციების განაწილება

შინაგან საქმეთა სამინისტროდან უსაფრთხოების სამსახურების გამოყოფა და ცალკე ორგანოდ ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, თუმცა 2015 წლის აგვისტოში გატარებულ რეფორმას უფრო მეტად ტექნიკური ხასიათი ჰქონდა და არ მომხდარა ორი სამსახურის კომპეტენციის შინაარსობრივი გაყოფა, მათი ბუნების გათვალისწინებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დარჩენილ სამსახურებს შორის დღემდე არსებობს კომპეტენციების დუბლირებები, ხოლო რიგი სამსახურები ერთდროულად ასრულებენ ერთმანეთთან შეუთავსებელ ფუნქციებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სპეციალური საპოლიციო კონტროლი, რომელიც წარმოადგენს საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების ერთ-ერთ სახეს, თუმცა პრაქტიკაში აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებენ როგორც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, ისე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი თუ სხვა ორგანოები. არსებობს შემთხვევები, როდესაც ეს საპოლიციო ღონისძიება ტარდება ნიღბიანი და სპეციალური აღჭურვილობის მქონე სამართალდამცავების მიერ, რაც ასევე შეუთავსებელია საპოლიციო პრევენციის ბუნებასთან. კომპეტენციების დუბლირება ართულებს პოლიციის საქმიანობის კანონიერებაზე დაკვირვებას, რაც საბოლოო ჯამში პოლიციის თვითნებობის მაღალ რისკს ქმნის;

ცალკეული დეპარტამენტების დამოუკიდებლობა

კვლავაც პრობლემას წარმოადგენს ცალკეული სამსახურების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხი. მინისტრის კომპეტენცია შეუზღუდავია, ხოლო კონკრეტული დეპარტამენტების ხელმძღვანელები არ სარგებლობენ საკმარისი ავტონომიის ხარისხით, იმისათვის რომ დამოუკიდებლად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით წარმართონ დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობა. მნიშვნელოვანია ე.წ. შუალედური რგოლის გაძლიერება და კონკრეტული დეპარტამენტების დისტანცირება მართვის ცენტრალური აპარატისგან, რომლის სათავეშიც პოლიტიკური ფიგურა დგას. საჭიროა, რომ ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ხელისუფლებამ პოლიციის ოპერაციული დამოუკიდებლობის გაზრდა დაისახოს.

დადებითად უნდა შეფასდეს სტრატეგიაში კრიმინალური პოლიციის რეფორმის დაანონსება, თუმცა რეფორმირებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას, ისე მისი ანგარიშვალდებულებისა და ლიაობის მექანიზმების შექმნას. ამავდროულად, საგამოძიებო და ოპერატიული ფუნქციების გამიჯვნის პარალელურად, ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ოპერატიული და საპოლიციო პრევენციული ღონისძიებები და ამ ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოები. მნიშვნელოვანია, გადაიხედოს საპოლიციო პრევენციის მექანიზმები

და ბუნება, საპოლიციო პრევენცია ორიენტირდეს სოციალურ პრევენციაზე და ამავდროულად, მოქალაქეები აღიჭურვონ ადეკვატური დაცვის გარანტიებით კონკრეტული პრევენციული ღონისძიებებისას.

საკადრო პოლიტიკა

როგორც წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, საკადრო პოლიტიკას პირდაპირი კავშირი აქვს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაძლიერებასთან. სამწუხაროდ, არც ერთი სამოქმედო გეგმა სათანადო აქცენტს ამ საკითხზე არ აკეთებს. კვლევამ გამოკვეთა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია პოლიციის თანამშრომელთა დისციპლინირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რისთვისაც საჭიროა გენერალური ინსპექციის საფუძვლიანი რეფორმა. გენერალური ინსპექცია უნდა აღიჭურვოს ადეკვატური დამოუკიდებლობით, რათა ეფექტიანად განახორციელოს დევნა კონკრეტული მოსამსახურის მიმართ.

დისციპლინირების მექანიზმის დახვეწის პარალელურად, საჭიროა დაიხვეწოს თანამშრომელთა წახალისების, თანამდებობრივი დანინაურებისა თუ დაქვეითების მექანიზმები, რათა აღნიშნული პროცედურები არ ტოვებდეს მანიპულირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აგრეთვე, გააჯანსაღებას საჭიროებს თანამშრომელთა შერჩევა/დანიშვნისა და გათავისუფლების წესები. თანამშრომელთა შერჩევა/დანიშვნა და გათავისუფლება, ისევე, როგორც თანამდებობრივი დანინაურება თუ დაქვეითება, უნდა ხდებოდეს ნათელი, გასაგები და სამართლიანი პროცედურებით, კოლეგიური ორგანოს მიერ და არა პოლიტიკური ფიგურის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.

თავი 4: შეჯამება

კვლევის წინა თავებში უკვე აღინიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციის დეპოლიტიზება მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან დაყვანილია მხოლოდ მათ სუბიექტურ ნებამდე, არ ისარგებლონ თავიანთი უფლებამოსილებებით და პოლიტიკური მიზნებით არ გამოიყენონ სამართალდამცავი ორგანოები. ცხადია, ცალკეული თანამდებობის პირების მმართველობითი პოლიტიკა ყურადსაღები და გასათვალისწინებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში, სათანადო ინსტიტუციური ცვლილებებისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველმყოფი სამართლებრივი გარანტიების გარეშე, შეუძლებელია ვისაუბროთ პოლიციის სრულ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე.

სამინისტროს ხელმძღვანელობა ბოლო წლებში ხშირად აცხადებს, რომ პოლიცია აპოლიტიკურ ორგანოდ იქცა, თუმცა მიუხედავად ამ მტკიცებისა, მათ არ მოჰყავთ კონკრეტული ინსტიტუციური რეფორმები, რომლითაც დაადასტურებდნენ, რომ დღეს უწინდელზე რთული და ნაკლებ მოსალოდნელია პოლიციის არასამართლებრივი,

პოლიტიკური მიზნებით გამოყენება. კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ მსგავსი რეფორმების აუცილებლობაც კი არ დგას დღეს პოლიტიკურ დღის წესრიგში და ამის ნათელი დადასტურება სწორედ მოცემულ თავში განხილული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებია.

დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაძლიერება არ აღიქმება აუცილებელ და მოკლე პერიოდში განსახორციელებელ საკითხად. სამოქმედო გეგმებში ასახული მიმართულებები და აქტივობები ვერ პასუხობს პოლიციის სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს და ხელისუფლების ხედვა როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის, ასევე შემდგომი ინსტიტუციური რეფორმების თვალსაზრისით, არ ეფუძნება სისტემაში არსებული ხარვეზების სრულყოფილ იდენტიფიცირებას. სამწუხაროდ, პოლიტიკის დოკუმენტები საერთოდ არაფერს ამბობს სისტემური პრობლემების საპასუხოდ გასატარებელ ქმედით ნაბიჯებსა და აქტივობებზე და ხელისუფლების მიდგომა ამ მიმართულებით გადახედვას საჭიროებს.

სამოქმედო გეგმებში ასახული მიმართულებები და აქტივობები სრულად ვერ პასუხობს პოლიციის სისტემაში არსებულ გამოწვევებს და არ მოიცავს ცალკეული სისტემური პრობლემების საპასუხოდ გასატარებელ ქმედით ნაბიჯებსა და აქტივობებს.

მიზანშეწონილია, პოლიციასთან დაკავშირებულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახული იყოს მთელი რიგი სისტემური პრობლემებისა და გამოწვევების საპასუხო ამოცანები, კერძოდ:

- პოლიციის სისტემის დეცენტრალიზაცია და პროფესიული ხელმძღვანელობის როლის გაზრდა;
- სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობის უფლებამოსილებების გადასინჯვა საპოლიციო ღონისძიებებსა და საკადრო პოლიტიკასთან მიმართებაში;
- შიდა სტრუქტურისა და საკადრო პოლიტიკის რეფორმა, მათ შორის, თანამშრომელთა მიღების, დანინაურობის, ნახალისების, დისციპლინირების, გათავისუფლების სისტემის რეფორმა;
- კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ოპერატიული საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფების ფართომასშტაბიანი რეფორმის დაგეგმვა;
- პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილებისა და ძალის გადამეტების სისტემური მიზეზების ანალიზი და პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვა;
- გენერალური ინსპექციის რეფორმა მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის

მიზნით;

- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, რომელიც აღჭურვილი იქნება გამოძიებისა და დევნის ეფექტიანი ფუნქციებით.

- ცალკეული პრობლემური საპოლიციო მექანიზმების რეფორმა, მათ შორის, ნარკოტესტირებაზე პირების გადაყვანისა და ადმინისტრაციული დაკავების სფეროების სისტემური რეფორმა.

ნაწილი 3: საკადრო პოლიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში

თავი 1: სამსახურში მიღება

პოლიციის პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბრისას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (შემდგომში ეუთო) აღნიშნავს, რომ პოლიციის დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და პოლიციის დემოკრატიული მოწყობა თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენისგან. პოლიციელის დანიშვნა პოლიტიკური ნიშნით უნდა აღმოიფხვრას, რადგან ამგვარი პრაქტიკა ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას³¹.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების სამსახურში მიღების საკითხს არეგულირებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი და „შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ შს მინისტრის ბრძანება. საქართველოს მოქალაქეთა პოლიციაში მიღება ხდება სპეციალური კონკურსის წესით. ვაკანტურ თანამდებობაზე სპეციალური კონკურსის გარეშე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკვე მიღებულია პოლიციაში (მსახურობს სამინისტროში ან აყვანილია კადრების განკარგულებაში) და აქვს შესაბამისი სპეციალური ან სამხედრო წოდება³².

სპეციალური კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფენ მუდმივმოქმედი სპეციალური საკონკურსო კომისიები, რომლებსაც (გარდა სსიპ-ების სპეციალური საკონკურსო კომისიებისა) ქმნის და შემადგენლობას განუსაზღვრავს მინისტრი³³.

სამსახურში მიღების ძირითადი ეტაპებია:

აპლიკაციის შეფასება / გადარჩევა
გასაუბრება
ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება
ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება
სპეციალური შემოწმება
გამოსაცდელი ვადით დანიშვნა
პოლიციაში მიღება

31. OSCE Mission in Kosovo, the Role of Capacity-building in Police Reform, 2005, გვ. 20. ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/kosovo/19789?download=true>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016)

32. იმავე ბრძანების მე-12 მუხლი.

33. იმავე ბრძანების 21-ე მუხლი.

მინისტრის ბრძანებით, განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები³⁴ სამინისტროში მიღებისას, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევასაც. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ან სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობით, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პირის მიღება სამინისტროში, მიუხედავად იმისა, რომ:

- მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- პირმა სამსახურში მიღების პროცესში შეგნებულად დამალა მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან წარადგინა არასწორი მონაცემები³⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ დონეზე არასაკმარისად არის განმარტებული სამსახურში მიღების ერთ-ერთი სავალდებულო და მნიშვნელოვანი ეტაპი – სპეციალური შემოწმება.

სპეციალური შემოწმების გასაიდუმლოებული ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების არმქონე პირთათვის უცნობია აღნიშნული შემოწმების მიზნები და მეთოდები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით³⁶, სპეციალური შემოწმების მიზნები და მეთოდები რეგულირდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, რომელსაც მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მისი ხელმისაწვდომობა შეზღუდულია სახელმწიფო

34. სამინისტროში არ მიიღება:

- ა) განზრახ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი;
- ბ) პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა;
- გ) პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;
- დ) პირი, რომელსაც სასამართლომ ჩამოართვა შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- ე) პირი, რომლის ჯანმრთელობაც, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- ვ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირი. სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
- ზ) პირი, რომელიც თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;
- თ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა;
- ი) სპეციალური შემოწმების შედეგად უარყოფითი შეფასების/შედეგის მქონე პირი;
- კ) პირი, რომელმაც სამსახურში მიღების პროცესში შეგნებულად დამალა მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან წარადგინა არასწორი მონაცემები;
- ლ) პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.

35. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №995, მუხლი 19.

36. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 26 ივლისის N1859260 წერილი.

საიდუმლოებაზე დაშვების არმქონე პირთათვის. შესაბამისად, უცნობია აღნიშნული შემომნების მიზნები და მეთოდები, თუმცა აღნიშნული ეტაპის უარყოფით რეზულტატს შეუძლია კონკრეტული გავლენა იქონიოს კანდიდატის სამსახურში მიღებაზე³⁷:

- სპეციალური შემომნების შედეგად უარყოფითი შეფასების/შედეგის მქონე პირი სამსახურში არ მიიღება;
- გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირი სპეციალური საკონკურსო კომისიის გადანყვეტილების საფუძველზე შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ სპეციალური შემომნების შედეგად გამოვლინდება პოლიციაში მისი მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები.

მინისტრის ბრძანების ანალიზი მიუთითებს, რომ დასაქმების პოლიტიკის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, განსაკუთრებული უფლებამოსილება დასაქმებისა და ზოგადად საკადრო პოლიტიკის საკითხებში. საკითხთა დიდი წრე ნაცვლად საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრისა, სწორედ მინისტრის ბრძანებით არის დარეგულირებული.

ასევე, თანამშრომელთა დანიშვნის საკითხში მინისტრს აქვს საგამონაკლისო უფლებამოსილება – კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშნოს ის პირი, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს³⁸. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მიხედვით, სპეციალურ კონკურსში მონაწილეობის უფლება, ბრძანებით დადგენილი პროგრამის ან/და კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის, აგრეთვე, აღნიშნული წესით განსაზღვრულ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე შეიძლება მიეცეს საქართველოს მოქალაქეს მინისტრის ან მისგან უფლებამოსილი პირის თანხმობით, ამ პირის სპეციალური ცოდნის, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, გამოცდილების ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პირი ვალდებულია, აკადემიაში გაიაროს ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი სპეციალური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან/და სპეციალური მომზადების/გადამზადების კურსი. პირი გათავისუფლდება თანამდებობიდან, თუ იგი წარმატებით ვერ გაივლის შესაბამის პროგრამას ან/და კურსს³⁹.

სამწუხაროდ, ნორმატიულ დონეზე არ არის განსაზღვრული სათანადო მატერიალური და პროცედურული ჩარჩოები, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ პროცესის დაცვა შესაძლო პოლიტიკური გავლენისგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

37. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №995, მუხლი 26.

38. იმავე ბრძანების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი.

39. იმავე ბრძანების 25-ე მუხლი.

იმ პირობებში, როდესაც პროცესში მინისტრის ჩართულობა პირდაპირ არის განსაზღვრული.

კიდევ ერთი ხარვეზია „სპეციალური შემომწმების“ ეტაპის ბუნდოვანება, რაც ამ მექანიზმის დაუსაბუთებლად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის.

თავი 2: დანინაურება და თანამდებობრივი გადაადგილება

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების⁴⁰ მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურის ზემდგომ, თანაბარ ან დაბალ თანამდებობაზე გადაადგილება დასაშვებია:

- სამსახურებრივი დანინაურებისას;
- სამინისტროს მოსამსახურის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე გადაყვანისას (გადაადგილება);
- საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებისას;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად;
- სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- პირადი განცხადებით (პატაკით);
- ატესტაციის შედეგების შესაბამისად;
- დადებული დისციპლინური სახდელის გამო.

სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობრივი გადაადგილება ფორმდება მინისტრის ან უფლებამოსილი პირის ბრძანებით, გადაადგილების საფუძვლის მითითებით.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით პრობლემურია „სამსახურებრივი ინტერესები“ და ამ საფუძვლით პირის თანამდებობრივი გადაადგილება. აღნიშნული ჩანაწერი მეტად ბუნდოვანია და წარმოშობს უსამართლო პრაქტიკის განვითარების საფრთხეს. საკითხი განიხილება ერთპიროვნულად, პროფესიული თუ კოლეგიური ორგანოს ჩართულობის გარეშე, მინისტრის, ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ, რაც უპირობოდ ზრდის აღნიშნული პროცესის პოლიტიზების რისკს⁴¹. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მრავალრიცხოვან უწყებაში არ მოქმედებს პროფესიული, კოლეგიური ორგანო, რომელიც მნიშვნელოვან საკადრო საკითხებზე პოლიტიკური ფიგურების მონაწილეობის გარეშე მიიღებდა გადაწყვეტილებას. ასეთ ორგანოდ ვერ მიიჩნევა ვერც გენერალური ინსპექცია, რომელიც უწყებაში რიგითი

40. იმავე ბრძანების 28-ე მუხლი.

41. იქვე

დეპარტამენტის ფორმით არსებობს და მინისტრივე აკომპლექტებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი სარგებლობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით და ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, კურსების ან სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გავლის გარეშე, პირის თანამდებობაზე დანიშვნის, გადაადგილების ან დანიშნულების თაობაზე.

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს პირის თანამდებობაზე დანიშვნის, გადაადგილების ან დანიშნულების განსაკუთრებულ შემთხვევებს, როდესაც ბრძანებით გათვალისწინებული კურსების ან სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გავლის გარეშე, მინისტრის ბრძანებით ხდება გადაწყვეტილების მიღება⁴². ეს ჩანაწერიც ბუნდოვანია, რადგან არ არის ნათლად განსაზღვრული, რა გარემოებების არსებობისას არის უფლებამოსილი მინისტრი, ისარგებლოს საგამონაკლისო წესით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში, პირი ვალდებულია, აკადემიაში გაიაროს შესაბამისი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან დანიშნულების კურსი, მთავარ პრობლემად მაინც რჩება ისე და ისე მინისტრის – პოლიტიკური ფიგურის დაუბალანსებელი კომპეტენცია საკადრო პოლიტიკაში, რაც უპირობოდ წარმოშობს შემდგომში ამ ორგანოს პოლიტიკების საფრთხეს.

თავი 3: პოლიციის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობა

„პოლიციის საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შესახებ“ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად პოლიციამ უნდა მოახდინოს პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების დემონსტრირება. შეზღუდული რესურსებისა და პრიორიტეტული ქმედებების განსაზღვრის საჭიროებიდან გამომდინარე, პოლიცია სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით კანონის ცხოვრებაში გატარებისას, თუმცა პოლიციის დისკრეციული უფლებამოსილება ნებადართული და სასურველია, როდესაც სამართლიანია მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე და შესაბამისობაში მოდის პროფესიულ ეთიკასთან.

ეთიკის კოდექსი უნდა ასახავდეს უმაღლეს ეთიკურ ღირებულებებს, რომლებიც უნდა გამოიხატებოდეს პოლიციისათვის დანესებული შეზღუდვებით. პოლიციამ შესრულებული სამუშაოთი უნდა აჩვენოს კეთილსინდისიერების უმაღლესი ხარისხი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ცდუნებების მიმართ წინააღმდეგობის განევის მზადყოფნა და ღირებულებების ერთგულება⁴³.

პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი, რომელიც 2001 წელს მიიღო ევროსაბჭოს

42. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №995, მუხლი 79.

43. OSCE, Guidebook on Democratic Policing, 2008, გვ. 15. ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/secretariat/23804?download=true> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

მინისტრთა კომიტეტმა, ითვალისწინებს იმ ღირებულებებსა და სტანდარტებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, კერძოდ: პოლიცია თავისი საქმიანობის შესრულებისას უნდა იყოს სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან ფუნქციურად დამოუკიდებელი, ასევე, სრულად პასუხისმგებელი თავის ქმედებებზე. მიუხედავად პოლიციის აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი მიკუთვნებისა, თავისი საქმიანობის შესრულებისას პოლიციამ, რომელსაც მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, უნდა იხელმძღვანელოს კანონით, არ უნდა მიიღოს პოლიტიკური ხასიათის მითითებები და გარანტირებული უნდა იყოს ფუნქციური დამოუკიდებლობა. ამგვარი დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია.⁴⁴

2013 წელს შემუშავდა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა პოლიციის ახალი ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პოლიციელის საქმიანობის პრინციპები; ქცევის ზოგადი წესები – საზოგადოებასა და კოლეგებთან ურთიერთობის, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების; გამოძიების ყველა ეტაპზე პოლიციელის ვალდებულება მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის დაცვის; დამოკიდებულება დაკავებულ პირთა მიმართ და პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში.

ეთიკის ნორმები ყოველთვის მიიჩნევა სამართლის ე.წ. რბილ ნორმებად (Soft Law), რადგან ხშირ შემთხვევაში, ნორმატიულ აქტებში მათი მკაცრად და იმპერატიულად განერა არ ხდება, თუმცა შესრულებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმისა და მათი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების არსებობის შემთხვევაში, ეთიკის ნორმები ისეთივე სავალდებულო ხდება, როგორც ნებისმიერი სხვა ნორმა. აღნიშნული კონტროლის უზრუნველსაყოფად კი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი სწორედ მონიტორინგია, რომელმაც თავისთავად უნდა შეასრულოს არა რეპრესიული ფუნქციები, არამედ უზრუნველყოს პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენა, აღკვეთა და სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები.⁴⁵

შესაბამისად, პოლიციის ეთიკის კოდექსის შემუშავება მხოლოდ საწყისი ეტაპია, რომელიც საჭიროებს მისი აღსრულების სტრატეგიის შემუშავებას, პროაქტიულ მონიტორინგს და რეაგირებას მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილ დარღვევებზე. ამ საფეხურების გარეშე ეთიკის კოდექსის ეფექტიანობის ხარისხი ძალიან დაბალია.

არ არის უზრუნველყოფილი პროფესიული წრის სათანადო მონაწილეობა და პოლიციელთა უშუალო ჩართულობა ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და მიღების პროცესში.

44. The European Code of Police Ethics, Recommendation Rec(2001)10 adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 19 September 2001 and explanatory memorandum. ხელმისაწვდომია: <http://polis.osce.org/library/f/2687/500/CoE-FRA-RPT-2687-EN-European%20Code%20of%20Police%20Ethics.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

45. ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში, 2015, გვ 64. ხელმისაწვდომია: <http://csb.gov.ge/uploads/etika.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016)

ეთიკის კოდექსის ზემოაღნიშნული ბუნებიდან გამომდინარე, სპეციფიკურია მისი შემუშავება/მიღების პროცედურებიც. გამომდინარე იქიდან, რომ ის, როგორც წესი, კონკრეტული სპეციალობისა თუ პროფესიის მქონე პირებს ეხებათ, მის შემუშავებაში, აგრეთვე, აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროფესიის წარმომადგენლები (ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მოსამართლეთა და ადვოკატთა ეთიკის კოდექსები). პოლიციის ეთიკის კოდექსი კი ერთპიროვნულად არის მიღებული და დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მის მომზადებაში ჩართულია სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი, ეს მის შინაარსობრივ მხარეზე გავლენას ვერ ახდენს, ვერ უზრუნველყოფს პროფესიული წრის სათანადო მონაწილეობას და პოლიციელთა უშუალო ჩართულობას კოდექსის შემუშავების პროცესში. ეთიკის კოდექსის თანახმად, კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

თუკი პოლიციის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია პოლიციელთა ქცევისა და კონკრეტულ პირთა მიმართ მოპყრობის წესები, სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, სახდელეების სახეებს, საქმის წარმოებისა და თანამშრომელთათვის დისციპლინური სახდელეების შეფარდებისა და მოხსნის წესს განსაზღვრავს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დისციპლინური წესდება.

მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია მის უშუალო უფროსს ან ზემდგომი თანამდებობის პირს წერილობითი წარდგინებით, რომელშიც ასახული უნდა იყოს გადაცდომის დამადასტურებელი ფაქტი/გარემოება⁴⁶. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება დადგეს გადაცდომის ჩამდენი პირის უშუალო უფროსის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც.⁴⁷

არც აღნიშნული წესდება და არც სხვა სამართლებრივი აქტი არ აკონკრეტებს, რა ტიპის გადაცდომისთვის შეიძლება ზემდგომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა, ან რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობა (მაგალითად, რამდენად უნდა სცოდნოდა ან ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სცოდნოდა ზემდგომ თანამდებობის პირს, მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის მიერ გადაცდომის ჩადენის თაობაზე). შესაბამისად, პასუხისმგებლობის მოსალოდნელი საშიშროება ნაკლებად სავარაუდოს ხდის, თანამდებობის პირმა დააყენოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან აღნიშნულს პოტენციურად

46. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N989, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

47. იმავე მუხლის მე-11 პუნქტი.

შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური ზომების მიღება მის მიმართაც⁴⁸. ეს კი ასუსტებს ზემდგომი პირების მხრიდან ეთიკის ნორმების შესრულების პროაქტიულ და ეფექტიან კონტროლს.

შინაგანსაქმეთა სამინისტროში სახდელის დაკისრების ადამოხსნის უფლებამოსილებით სარგებლობენ შემდეგი პირები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უფროსები, სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი⁴⁹.

ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი სახის სახდელის დადების უფლებამოსილება მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს, დანარჩენ თანამდებობის პირებს კი მხოლოდ ნაკლებად მკაცრი სანქციის გამოყენება შეუძლიათ.

მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა მიიჩნეოდეს ის, რომ თანამშრომელი, რომლის მიმართაც ხორციელდება დისციპლინირების პროცესი, არ არის აღჭურვილი სამართლებრივი დაცვის ადეკვატური მექანიზმებით. არ არის უზრუნველყოფილი დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადაცდომის შესაძლო ჩამდენის ჩართულობა, მის მიერ თავისი უდანაშაულობის მტკიცების შესაძლებლობა. დისციპლინური წესდება სახდელის დადებამდე თანამშრომლისათვის მხოლოდ ახსნა-განმარტების ჩამორთმევას ითვალისწინებს. დისციპლინური ორგანო, ერთი მხრივ, აგროვებს ინფორმაციას და მასალებს პირის მიერ შესაძლო გადაცდომის დასადასტურებლად და ამავდროულად ადგენს საბოლოო დასკვნას – მოხდა თუ არა გადაცდომა. შესაბამისად, ერთი და იგივე ორგანო გვევლინება როგორც „ბრალმდებლად“, ასევე გადაწყვეტილების მიმღებად. იმის გათვალისწინებით, რომ არ არის განერილი საკმარისად მკაფიო და გამართული დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურები, გადაცდომის შესაძლო ჩამდენი პირი კი არ სარგებლობს დაცვის ეფექტიანი გარანტიებით, ჩნდება რისკი, რომ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჰქონდეს გავლენა კონკრეტულ პოლიციის მუშაკებზე და შეძლონ ამ ხარვეზიანი პროცესით მანიპულირება, გარკვეული ბრძანებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

მეორე მხრივ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ამგვარი ბუნდოვანი და გაუმართავი სისტემა შესაძლოა, საფუძვლად დაედოს დისციპლინური სახდელის გამოუყენებლობას ცალკეული პოლიციელის მიმართ, შემდგომში მისი შანტაჟის მიზნით. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის

ბუნდოვანი რეგულაცია წაახალისებს დაუსჯელობის სინდრომს, რაც შესაძლოა

48. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N989, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

49. იმავე მუხლის მე-11 პუნქტი.

საფუძვლად დაედოს პოლიციელზე შემდგომ ზეგავლენას.

დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებული სისტემა ბუნდოვანი და გაუმართავია. დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურები, ბრძანებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კონკრეტული პოლიციის მუშაკებით მანიპულირების შესაძლებლობით აღჭურავს.

გენერალური ინსპექციის საქმიანობის ხარვეზიანობა ნათლად გამოიკვეთა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში წარდგენილი რამდენიმე განცხადების განხილვის პროცესშიც.⁵⁰ სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-ის“ წევრები თავიანთ ახსნა-განმარტებებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა უკანონო ღონისძიებებზე საუბრობდნენ. შესაბამისად, მათი განცხადებების საფუძველზე, სამსახურებრივი შემონმება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას უნდა დაეწყო. მოკვლევის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ გენერალურმა ინსპექციამ ერთნინადადებთან, დაუსაბუთებელ წერილში აღნიშნა, რომ სამსახურებრივმა შემონმებამ შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დაადასტურა. წერილი არ მოიცავდა მითითებებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც დაეყრდნო გენერალური ინსპექცია სამსახურებრივი შემონმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ახსნა-განმარტებების მისაღებად გასაუბრებაზე არ დაუბარებია რამდენიმე განმცხადებელი. ამდენად, უცნობია, რა ზომები მიიღო და რა ღონისძიებები გაატარა შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ განცხადებაში მითითებული გარემოებების მოკვლევის მიზნით.

სამსახურებრივი შემონმების პროცესში განმცხადებლები და მათი წარმომადგენლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაეცნონ გენერალური ინსპექციების კონკრეტულ ღონისძიებებსა და საქმესთან დაკავშირებულ მასალებს. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ მიმართა შესაბამის უწყებებს და მოითხოვა საქმის მასალების, ოქმებისა და შემაჯამებელი დასაბუთებული გადაწყვეტილებების (არსებობის შემთხვევაში) ასლების გადმოცემა, თუმცა უნდა ითქვას, რომ დაზარალებულის ან/და განმცხადებლის მსგავსი საპროცესო უფლებით აღჭურვის შესახებ კანონმდებლობა არაფერს ამბობს. შესაბამისად, დაზარალებულს/განმცხადებელს სამსახურებრივ შემონმებაზე კონტროლის რეალური ბერკეტი არ გააჩნია.

დაურეგულირებელია გენერალური ინსპექციის მოკვლევის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობაც. კანონით ასევე არ არის განსაზღვრული სამსახურის ვალდებულება, განმცხადებელს/დაზარალებულს ამომწურავად აცნობოს საქმის მოკვლევისას გამოკვეთილი გარემოებები და არგუმენტები, რასაც მიღებული

50. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2016/06/17/emc-89/>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

გადანყვეტილება ეფუძნება. იმ პირობებში, როდესაც კრიტიკულად დგას თავად გენერალური ინსპექციების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და სამსახურის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირების საკითხი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მთლიანად დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანობა. ამ რისკს ვერ აბალანსებს ადეკვატური საპროცესო გარანტიები, რამდენადაც განმცხადებელი/დაზარალებული არ სარგებლობს მინიმალური შესაძლებლობითაც კი, რომ მონიტორინგი გაუწიოს საქმის შესწავლის მიმდინარეობას.

პროცესის ხარვეზიანობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გენერალური ინსპექციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხი მცირეა. მინისტრს შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს, ჩაერიოს გენერალური ინსპექციის საქმიანობაში ისევე, როგორც სხვა დეპარტამენტებისა თუ ორგანოების შემთხვევაში. გენერალური ინსპექციას აკომპლექტებს მინისტრი და აღნიშნული უწყება სწორედ მის წინაშეა ანგარიშვალდებული. ამავდროულად, სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრი უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს აღნიშნული დასკვნა და განსხვავებული შინაარსის გადაწყვეტილება მიიღოს. ამასთანავე, მას არც ამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება აქვს. ამდენად, საქმეში საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არა კოლეგიური ორგანო, არამედ ერთპიროვნულად პოლიტიკური თანამდებობის პირია.

გენერალური ინსპექციის დასკვნის სარეკომენდაციო ბუნებიდან გამომდინარე, შს მინისტრი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს აღნიშნული დასკვნები და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს.

გასათვალისწინებელია, რომ გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია მხოლოდ მინისტრის – პოლიტიკური თანამდებობის პირის წინაშე და სამსახურს არ აქვს გარე ანგარიშვალდებულება, შესაბამისად, სისტემის გარეთ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის,⁵¹ რაც მნიშვნელოვნად ართულებს ორგანოს საქმიანობის გარე კონტროლს და ამავდროულად ზრდის მისი პოლიტიზების რისკს.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, გარე ზედამხედველობის მექანიზმის გარეშე, პოლიციის ხელმძღვანელობას შეუძლია ისარგებლოს თავისუფლებით, არ გამოიძიოს ან არ დასაჯოს არასათანადო ქცევა, რაც, საბოლოო ჯამში, კონტროლის არაეფექტიანობას და თანამშრომლებში დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერებას გამოიწვევს⁵². როგორც დაუსჯელობა, ასევე არაობიექტური და გაუმჭვირვალე პროცედურით თანამშრომლის დისციპლინური დასჯა შესაძლოა, იქცეს პოლიციის სისტემაში დასაქმებულ პირებზე ზემოქმედების საშუალებად, რაც, თავის მხრივ,

51. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა - სამართალდამცავი სისტემის ანალიზი, 2015. გვ. 8.

52. OSCE, Guidebook on Democratic Policing, 2008.

პოლიტიკური მიზნების შესრულებას შეიძლება ემსახურებოდეს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი გამართული და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელშიც დაცულია საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპები და უკანონო ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დასაქმებული პირი თავს გრძნობს დაცულად, არაობიექტურად წარმოებული დისციპლინური პროცედურებისგან.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი თავის მოსაზრებაში, პოლიციის მიმართ არსებული საჩივრების დამოუკიდებლად და ეფექტიანად მოკვლევის შესახებ, აღნიშნავს, რომ საჩივრის განმხილველი დამოუკიდებელი და ეფექტიანი სისტემა აუცილებელია პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის. ის ასევე უზრუნველყოფს, რომ პოლიციის მხრიდან არასათანადოდ მოპყრობა და არასათანადო ქმედებები არ დარჩეს დაუსჯელი⁵³.

ჩრდილო ირლანდიაში პოლიციელების მიმართ ნებისმიერ გამოძიებას პოლიციის ომბუდსმენი წარმართავს. ყველა საჩივარი ავტომატურად შედის პოლიციის ომბუდსმენის ოფისში და არც ერთ შემთხვევაში არ იძიებს პოლიცია⁵⁴.

პოლიციის ომბუდსმენი უფლებამოსილია:

- გასცეს რეკომენდაცია პოლიციელის ან პოლიციის თანამშრომლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე;
- გასცეს რეკომენდაცია პოლიციელის ან პოლიციის თანამშრომლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე;
- გასცეს რეკომენდაცია პოლიციელის ან პოლიციის თანამშრომლის დამატებითი გადამზადების თაობაზე;
- პოლიციას მისცეს რეკომენდაცია, გააუმჯობესოს საქმიანობა;
- დაადგინოს, რომ საჩივრის დაკმაყოფილებისათვის მტკიცებულება საკმარისი არ არის.

სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე პოლიციის ომბუდსმენის რეკომენდაციები პროკურატურას მიენოდება, პროკურორი კი წყვეტს სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხს. დისციპლინური წარმოების შესახებ რეკომენდაციები მიენოდება პოლიციის უფროსს (**Chief Constable**)⁵⁵.

53. *Opinion of the Commissioner for Human Rights concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police, 2009.* ხელმისაწვდომია: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&id=1417857&direct=true> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

54. *DCAF, Police Governance: European Union Best Practices, 2011, გვ. 31.* ხელმისაწვდომია: <http://www.dcaf.ch/Publications/Police-Governance-European-Union-Best-Practices> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

55. *Police Ombudsman for Northern Ireland, Dealing with Complaints against the Police, გვ. 9.* ხელმისაწვდომია: <https://www.policeombudsman.org/getmedia/877d3ef8-dd44-4659-b575-1de517ad1bb1/Dealing-with-Complaints-Against-the-Police.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

გარდა ამისა, პოლიციელის ქმედების გამოძიების მიზნით, ბელგიაში მოქმედებს სამი ძირითადი ორგანო: ფედერალური და ადგილობრივი პოლიციის გენერალური ინსპექცია, კომიტეტი „პ“ და შიდა კონტროლის სისტემა. მათი მუშაობა კოორდინირებულია იმგვარად, რომ ერთობლივად უზრუნველყონ პოლიციის საქმიანობის ყველა სეგმენტის კონტროლი⁵⁶.

ფედერალური და ადგილობრივი პოლიციის გენერალური ინსპექციის ფუნქციაა უკეთესი საპოლიციო საქმიანობა, კანონმდებლობასთან შესაბამისობა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა. მის კომპეტენციაში შედის: ინსპექცია და აუდიტი (საქმიანობის ყველა სეგმენტის, განსაკუთრებით, საპოლიციო ღონისძიებების), სამუშაოსა და საპოლიციო პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენის მიზნით; საჩივრების ინდივიდუალური განხილვა; ადმინისტრაციული და წინასწარი სისხლისსამართლებრივი გამოძიება.

გენერალური ინსპექტორის დანიშვნის შესახებ გადწყვეტილებას იღებს გაერთიანებული კომიტეტი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც შინაგან საქმეთა, ასევე იუსტიციის მინისტრი. გენერალური ინსპექცია შედეგების შესახებ აცყობინებს სასამართლო ორგანოებსა და კომიტეტ „პ“-ს. პოლიციას არ აქვს წვდომა გენერალური ინსპექციის მონაცემებზე და ეს არსებითად მნიშვნელოვანია მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. დეცენტრალიზებული დირექტორატები აგროვებენ მონაცემებსა და სასარგებლო ინფორმაციას, აქვთ კონტაქტი ადგილობრივ ორგანოებთან, პოლიციისა და დეცენტრალიზებულ ფედერალურ სამსახურებთან, არეგისტრირებენ განცხადებებსა და საჩივრებს, ასევე, მონაწილეობენ მედიაში, აუდიტსა და ინსპექციაში.

ყველა ადგილობრივ პოლიციის ოფისს აქვს თავისი შიდა კონტროლის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიციის ყოველდღიური საქმიანობის სტანდარტებსა და პროცედურებთან შესაბამისობას, ასევე პასუხისმგებელია არაეთიკური, არაპროფესიონალური და დანაშაულებრივი ქმედების გამომჟღავნებასა და იდენტიფიცირებაზე. თუმცა ამგვარი დეპარტამენტები მხოლოდ მსუბუქ გადაცდომებს განიხილავენ, სერიოზული და სისტემური დარღვევების შემთხვევაში, საქმე ეგზავნება გენერალურ ინსპექციას ან კომიტეტ „პ“-ს⁵⁷.

კომიტეტი „პ“ დამოუკიდებელი და ნეიტრალური ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებას ხელს უწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ზედამხედველობაში. კომიტეტი „პ“ ერთადერთი გარეშე მონიტორინგის ორგანოა, რომელიც ზედამხედველობს პოლიციის მუშაობას და სპეციალური ინსპექტირების სამსახურს, რომელიც ასევე დამოუკიდებელი ორგანოა.⁵⁸

56. *Internal Control Systems- Comparative Models*. ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/montenegro/138711?download=true>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

57. იქვე.

58. ხელმისაწვდომია: <http://www.comitep.be/EN/index.asp?ID=Intro>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბა ხუთი ძირითადი პრინციპი პოლიციის მიმართ არსებული იმ საჩივრების ეფექტიანი გამოძიებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებთან:

- **დამოუკიდებლობა:** არ უნდა არსებობდეს ინსტიტუციური და იერარქიული კავშირი საქმის მწარმოებელ პირებსა და იმ ოფიცერს შორის, რომლის მიმართაც არის წარდგენილი შესაბამისი საჩივარი და ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკული დამოუკიდებლობა;⁵⁹
- **კომპეტენტურობა:** გამოძიების/მოკვლევის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება და იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა პოლიციის ქმედება კანონდარღვევას. ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში კი, პასუხისმგებლობის ზომების დადგენა;⁶⁰
- **სისწრაფე:** გამოძიება/მოკვლევა უნდა მოხდეს შემჭიდროებულ ვადებში და დაჩქარებული წესით, კანონის უზენაესობის პრინციპის მხარდაჭერის მიზნით;⁶¹
- **საზოგადოების მხრიდან კონტროლი:** პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე;⁶²
- **დაზარალებულის ჩართულობის უზრუნველყოფა:** მოსარჩელე, თავისი ლეგიტიმური ინტერესის დაცვის მიზნით, ჩართული უნდა იყოს საჩივრის განხილვის პროცესში.⁶³

ზემოაღნიშნული 5 პრინციპი დამხმარე სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ყველა საჩივრის განხილვის პროცესში.⁶⁴

59. *Ramsahai v the Netherlands; Bati v Turkey.*

60. *Nachova v Bulgaria; Aksoy v Turkey.*


61. *Isayeva v Russia; Aydin v Turkey.*

62. *Ognyanova v Bulgaria; Chitayev v Russia.*

63. *McKerr v UK.*

64. *Opinion of the Commissioner for Human Rights concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police, 2009.*

გთავაზობთ, 2012-2015 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შესული განცხადებების/საჩივრებისა და ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებების, აგრეთვე, გენერალური ინსპექციის მიერ ამავე პერიოდში თანამშრომლებისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელების სახეებისა და რაოდენობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას.⁶⁵ 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე, შსს გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა იყო 3030.⁶⁶ 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე შსს გენერალურმა ინსპექციამ სამინისტროს თანამშრომლებს დააკისრა 1693 სახდელი. ამ პერიოდში შსს გენერალურ ინსპექციაში შევიდა 434 განცხადება/საჩივარი და 2492 შეტყობინება ცხელ ხაზზე.⁶⁷



65. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2015 წლის 1 დეკემბრის N2670434 წერილი.


66. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 21 ივლისის N1817605 წერილი.

67. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 21 ივლისის N1817605 წერილი.


შსს გენერალური ინსპექციის მიერ დაკისრებული სახდელები

■ 2012 წ.
 ■ 2013 წ.
 ■ 2014 წ.
 ■ 2015 წ.

(31 ოქტომბრის ჩათვლით)




2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე შსს გენერალურმა ინსპექციამ გამოავლინა 3030 დისციპლინური გადაცდომა



- სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება
- სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება
- ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროება
- უღირსი საქციელი
- თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა
- შეუფერებელი ქმედება
- ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა
- სამხედრო დისციპლინის დარღვევა
- შრომის დისციპლინის დარღვევა

შსს გენერალური ინსპექციის მიერ 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე დაკისრებული სახდელები



ევროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ პოლიციელის მიმართ დისციპლინირების პროცედურების წარმოებისას გადაწყვეტილების მიმღებ ფგუფს მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი წევრი უნდა ჰყავდეს, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ **სასურველია, დისციპლინირების პროცედურები დამოუკიდებელმა ორგანომ აწარმოოს.**⁶⁸ ეუთო „სერბეთის პოლიციის შესახებ კანონის თაობაზე“ მოსაზრებაში აღნიშნავს, რომ დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას **არ უნდა არსებობდეს ინსტიტუციური და იერარქიული ურთიერთკავშირი საჩივრის განმხილველ და საჩივრის წარმდგენ პირებს შორის.**⁶⁹

ქართულ რეალობაში ზემოაღნიშნული პრინციპები, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილია და გენერალური ინსპექცია არ სარგებლობს არსებითი ფუნქციური ავტონომიით. მის საქმიანობას აკონტროლებს მინისტრი და დისციპლინირებაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას ეს უკანასკნელი იღებს. რაც შეეხება იერარქიულობის პრინციპს, საკმარისად დაზღვეული არ არის, რომ სახდელის დაკისრების პროცესებიდან მთლიანად ამოირიცხოს იმ პირის ჩართულობა, ვისაც/ვისთანაც გარკვეულ სუბორდინაციაში იმყოფება შესაძლო გადაცდომის ჩამდენი.

თავი 4: თანამდებობიდან გათავისუფლება

საკადრო პოლიტიკის ანალიზისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა

68. CPT standards - "Substantive" sections of the CPT's General Reports, 2015. ხელმისაწვდომია: <http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).


69. OSCE, Opinion on the Draft Law on Police of Serbia, 2015. ხელმისაწვდომია: <http://www.legislationline.org/>(წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. გთავაზობთ შინაგან საქმეთა სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს⁷⁰, 2015 წელს შსს ქ. თბილისისა და შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტებში, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში საკადრო ცვლილებების თაობაზე.

	დასაქმებულ პირთა რაოდენობა	დანიშნულ პირთა რაოდენობა	დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა რაოდენობა	გათავისუფლებულ პირთა რაოდენობა
თბილისის პოლიციის დეპარტამენტი	1803	66	115	104
კახეთის პოლიციის დეპარტამენტი	398	36	34	28
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო	1518	45	409	76
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველო	183	0	40	7
ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი (თბილისი)	438	23	16	27
ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი (კახეთის სამხარეო სამმართველო)	11	0	2	2

70. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 25 იანვრის N180342 წერილი.

კანონმდებლობით განსაზღვრულია პირის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლები.⁷¹ პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი და ამ შემთხვევაშიც პრობლემას წარმოადგენს პროცედურული ბუნდოვანება. მაგალითად, არ არის დაკონკრეტებული, სამსახურებრივი შეუთავსებლობის დროს დისციპლინური პროცედურით ხდება თანამდებობიდან გათავისუფლება თუ პირდაპირ მინისტრი იღებს ამაზე გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევებშიც, შტატების შემცირების ან კონკრეტული სამსახურის გაუქმებისას, ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებით ხდება კონკრეტულ თანამშრომელთა გადარჩევა/დათხოვნა და რამდენად ითვალისწინებენ ამ პროცესში პროფესიულ კრიტერიუმებს.



71. პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დაითხოვონ:

- ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე;
- ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;
- გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს;
- დ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;
- ე) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;
- ვ) წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის გამო;
- ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის გამო;
- თ) თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო;
- ი) მოქალაქეობის შეცვლის გამო;
- კ) სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით;
- ლ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად;
- მ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის გამო;
- ნ) გარდაცვალების გამო;
- ო) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,⁷² 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 30 ივნისამდე გათავისუფლებული მოსამსახურეების რაოდენობა:

თავი 5: მამხილებლის ინსტიტუტი პოლიციის სისტემაში

პოლიციის ეთიკის კოდექსის თანახმად, დაუშვებელია წინასწარი შეცნობით პოლიციელის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითითების შემთხვევაში, თანამშრომელმა უარი უნდა თქვას ამოცანის შესრულებაზე, აღნიშნულის თაობაზე მოახსენოს ზემდგომი თანამდებობის პირს და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. პოლიციელზე, რომელიც უარს ამბობს უკანონო ქმედების შესრულებაზე, არ გავრცელდება დისციპლინური ან სხვა სახის სანქცია.⁷³

ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია მამხილებლის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირებაც. მამხილებლის დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ითვალისწინებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მაგრამ იქვე აკეთებს დათქმას იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში მხილების საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.⁷⁴ თუმცა ამ მიმართულებით დღემდე არ არსებობს სრულყოფილი და გამართული საკანონმდებლო ბაზა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁷⁵, მხილების საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებით, შიდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე მუშაობა მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებამდე მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, უსაფრთხოდ და თავისუფლად დააყენონ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები და ხელი შეუწყონ სისტემური სამართალდარღვევების აღკვეთას, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების ნორმების დარღვევების აღმოფხვრასა და პრევენციას.

მიუხედავად „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დათქმისა, შს სამინისტროში არ არსებობს მხილების საკითხების მარეგულირებელი სპეციალური სამართლებრივი აქტი.

72. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 29 ივლისის N1895807 წერილი.

73. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N999, პუნქტი 2.9.

74. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 2011.

75. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 21 ივლისის N1811626 წერილი.

მამხილებლების მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის თავიდან აცილების, ასევე დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაძლიერების პროცესში აღიარებულია ევროპის საბჭოს მიერ. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით,⁷⁶ ნორმატიულ ჩარჩოში ასახული უნდა იყოს ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის გამჟღავნებას. დამსაქმებელს არ უნდა შეეძლოს სამართლებრივ და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე დაყრდნობა, რათა ხელი შეუშალოს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის გამხელას ან ასეთ შემთხვევაში პირის მიმართ სადამსჯელო მექანიზმი გამოიყენოს. მამხილებლების ვინაობა დაცული უნდა იყოს გამხელისგან და მათ უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით. გარდა ამისა, მამხილებელი, რომელიც შიდა განაცხადს აკეთებს, როგორც წესი, ინფორმირებული უნდა იყოს ამ განაცხადის პასუხად განხორციელებული ქმედებების შესახებ.

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ასევე ითვალისწინებს დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს: მამხილებელი დაცული უნდა იყოს დამსაქმებლის მხრიდან ნებისმიერი ფორმის პირდაპირი ან არაპირდაპირი სადამსჯელო ქმედებისგან, როგორც არის: სამსახურიდან გათავისუფლება, დროებით დათხოვნა, ჩამოქვეითება, კარიერული წინსვლის შესაძლებლობის დაკარგვა, სადამსჯელო თანამდებობრივი გადაადგილება, შრომის ანაზღაურების შემცირება, შევიწროება ან სხვა სახის დისკრიმინაციული მოპყრობა. აღსანიშნავია, რომ პირმა დაცვის გარანტიები არ უნდა დაკარგოს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მან შეცდომა დაუშვა ერთი პირობით, გონივრული საფუძველი ჰქონდა თავის მიერ გამჟღავნებული ფაქტის სისწორე დაეჯერებინა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის კვლევისა და სახელმძღვანელო პრინციპების⁷⁷ მიხედვით, მამხილებლის დაცვის შესახებ კანონმდებლობის უმთავრესი მოთხოვნა არის ის, რომ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდეს კეთილსინდისიერად და გონივრული საფუძველით. შესაბამისად, დაცვის გარანტიები არ მოქმედებს მაშინ, როდესაც პირი წინასწარი განზრახვით ამჟღავნებს არასწორ ინფორმაციას.

აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს დაცვის შემდეგ მექანიზმებს:

- **სადამსჯელო ქმედებისგან დაცვა** – მამხილებლის დაცვის კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ყოველმხრივი დაცვა სადამსჯელო და დისკრიმინაციული ქმედებისგან.

76. *Protection of Whistleblowers, Recommendation CM/Rec(2014)7 adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 30 April 2014 and explanatory memorandum.* ხელმისაწვდომია: [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec\(2014\)7E.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec(2014)7E.pdf) (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

77. *Whistleblower Protection Frameworks, Compendium of Best Practices and Guiding Principles for Legislation.* ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/g20/topics/anti-corruption/48972967.pdf> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

• **სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემთხვევები** – ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული გაამჟღავნებს ოფიციალურ საიდუმლოებასთან ან ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მამხილებლის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისას, სახელმწიფოებმა შესაძლოა გაითვალისწინონ დაცული გამჟღავნების შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, ან დაცვის გარანტიების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ გამჟღავნება მოხდა წინასწარ გათვალისწინებული გზებით. მაგალითად, აშშ-ში თუ მამხილებელი გაამჟღავნებს ინფორმაციას, რომელიც, ეროვნული თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობების ინტერესების გამო, კანონით ან ბრძანებით საიდუმლოდ მიიჩნევა, ამგვარი გამჟღავნება კანონით აკრძალულია და მამხილებელი დაცვის გარანტიებით ვერ ისარგებლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია მიეწოდება გენერალურ ინსპექტორს ან სპეციალურ საბჭოს.

• **ანონიმურობა და კონფიდენციალურობა** – მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის უმეტესობა ითვალისწინებს მამხილებლის ვინაობის დაცვას, რომელიც კონფიდენციალურია, თუ თავად მამხილებელი არ გასცემს თანხმობას მისი გამჟღავნების შესახებ.

• **მტკიცების ტვირთი** – მამხილებლის დაცვის შესახებ კანონმდებლობამ შესაძლოა მტკიცების ტვირთი დააკისროს დამსაქმებელს, შესაბამისად, დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, რომ დასაქმებულის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება არ არის დაკავშირებული მის მიერ განხორციელებულ მხილებასთან. ეს დაკავშირებულია იმ სიძნელეებთან, რაც შესაძლოა დასაქმებულს შეხვდეს იმის მტკიცებისას, რომ მის მიმართ სადამსჯელო ქმედება ინფორმაციის გამჟღავნების შედეგი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი საპასუხო ქმედება შესაძლოა სუსტად გამოვლენილი და ძნელად დასამტკიცებელი იყოს.

აღნიშნული დოკუმენტი აღსრულებასთან დაკავშირებით შემდეგ რეკომენდაციებს ითვალისწინებს:

• **ზედამხედველობისა და აღსრულების ორგანოები** – მამხილებლის დაცვის შესახებ კანონმდებლობას შეუძლია განსაზღვროს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს და განიხილოს მამხილებლის წინააღმდეგ სადამსჯელო, დისკრიმინაციულ ან დისციპლინურ ქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები.

მაგალითად, კანადაში საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების კომისარი უფლებამოსილია, მიიღოს და განიხილოს ამგვარი საჩივრები. თუ დამტკიცდა მამხილებლის უფლების დარღვევა საჯარო მოხელეთა მიერ, მხილების დაცვის

ტრიბუნალს შეუძლია, განსაზღვროს ზიანის ანაზღაურება და გამოიყენოს სანქციები. ასევე, აშშ-ის კანონმდებლობით, სპეციალური საბჭო (OSC) უფლებამოსილია, განიხილოს საჩივრები მამხილებლის მიმართ სადამსჯელო ქმედების თაობაზე.

• **სასამართლო განხილვის უფლება** – საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მამხილებლის თაობაზე კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს, ასევე, გასაჩივრების უფლება.

გარდაამისა, მამხილებლის დაცვის შესახებ კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში ითვალისწინებს მამხილებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, არსებითად მნიშვნელოვანია მამხილებლის დაცვის სათანადო საკანონმდებლო გარანტიების არსებობა და მხილების ნახალისება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მხილების საკითხის სპეციალური რეგულირებისა და მამხილებლის დაცვის გარანტიების არარსებობა უარყოფითად აისახება აღნიშნული უწყების ანგარიშვალდებულებაზე და ხელს უშლის საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გამჟღავნებას.

თავი 6: ნახალისების მექანიზმები და მატერიალური გარანტიები

„პოლიციის საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შესახებ“ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, დანიშნის, ფუნქციების განაწილებისა და დანიშნულების პოლიტიკა თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისგან. პოლიციელების შერჩევა და დანიშნულება უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს კანდიდატის ცოდნას, უნარს, დამოკიდებულებებსა და რეპუტაციას და არა მათ კავშირს ცალკეულ პოლიტიკურ ჯგუფთან.⁷⁸

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პოლიციელის მიმართ ნახალისების ფორმებს სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისა და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის.

ნახალისების შედარებით დეტალური წესი განსაზღვრულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანებით, რომლის თანახმად, თანამშრომლის ნახალისება ხდება სამსახურის უშუალო უფროსის ან ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით. წარდგინებას თან უნდა ახლდეს თანამშრომლის დახასიათება კონკრეტული, დასაბუთებული დამსახურების მითითებით, რომლის საფუძველზეც

⁷⁸ OSCE, *Guidebook on Democratic Policing*, 2008, გვ. 34.

მას შეიძლება განესაზღვროს წახალისების ერთ-ერთი ფორმა. აღნიშნული ბრძანებით, ასევე განისაზღვრება წახალისების უფლების მქონე პირები.⁷⁹

შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსამსახურეს დაუნესოს სპეციალური დანამატები და კომპენსაციები, განუსაზღვროს ერთჯერადი დახმარების ან სხვა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი არ შეიცავს არანაირ მითითებას, თუ რა საფუძვლების არსებობისას სარგებლობს შს მინისტრი ხსენებული უფლებამოსილებით. ასევე, მინისტრის სამართლებრივი აქტით, მოსამსახურეს შესაძლებელია, საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს სამინისტროს ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინა, სახლი, დამხმარე ნაგებობები და მათზე მიმაგრებული მიწის ფართობი. სამინისტროს მოსამსახურეს, რომელსაც გადაცემული აქვს სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, როგორც მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მასზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც არ არის ნათელი, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინის, სახლისა თუ დამხმარე ნაგებობების მოსამსახურისათვის საკუთრებაში გადაცემა.⁸⁰

სამინისტროს მიერ მოხელეთა წახალისება არ ემყარება ნათლად განსაზღვრულ პროფესიულ კრიტერიუმებს, რაც თავისთავად აჩენს რისკს, რომ ეს მექანიზმი გამოყენებული იყოს პოლიციელებზე მანიპულირების მიზნით, რაც შესაძლოა პოლიტიკური ზეგავლენის მცდელობაშიც გამოიხატოს.

პოლიტიკების რისკს ამძაფრებს წახალისების სისტემის ბუნდოვანება.

საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილებით. აღნიშნული წესის თანახმად, პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაბუთების საფუძველზე. დასაბუთებაში უნდა მიეთითოს გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან, ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ

79. წახალისების უფლება აქვს:

- ა) შინაგან საქმეთა მინისტრს;
- ბ) შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს;
- გ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს;
- დ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უფროსებს;
- ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს (ვრცელდება 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე);
- ვ) სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების ხელმძღვანელ პირს.

80. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №997.

პირზე გაცემული პრემიის შესახებ⁸¹. შესაბამისად, მთავრობის დადგენილება პირდაპირ არ ითვალისწინებს პირის პროფესიული კომპეტენციისა და მის მიერ უფლებამოსილების სანიმუშოდ განხორციელების დასაბუთებას პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. გარდა ამისა, აღნიშნული წესის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს და პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ.⁸² თუმცა გათვალისწინებულია ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევაც, კერძოდ: გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით, ზემდგომი თანამდებობის პირის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს არარსებობა), საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობის საფუძველზე.⁸³

შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით ⁸⁴, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე მდგომარეობით (8 თვის განმავლობაში) საქართველოს შს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში გაცემული სახელფასო პრემია/დანამატი შეადგენს **41 960 487.16 ლარს**.

გარდა ამისა, ცხრილში მოცემულია 2015 წლის განმავლობაში და 2016 წლის პირველ კვარტალში შს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში გაცემული სარგოების, დანამატებისა და პრემიების ჯამური ოდენობები:⁸⁵

სარგოების, დანამატებისა და პრემიების ჯამი	2015 წელი	2016 წლის I კვარტალი
თანამდებობის პირები	36,046,558.37	6,493,607.50
სხვა თანამშრომლები	270,298,628.96	62,671,790.94
შტატგარეშე ხელშეკრულება	11,333,948.14	2,501,031.40

81. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება, მუხლი 3.

82. იმავე დადგენილების მე-5 მუხლი.

83. იქვე.

84. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2015 წლის 28 სექტემბრის N2134370 წერილი.

85. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 14 ივლისის N1744332 წერილი.

თავი 7: შეჯამება

პოლიციის სისტემის დეპოლიტიზება და ყოველდღიურ საქმიანობაში თითოეული თანამშრომლის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია თანამშრომელთა სამსახურში აყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზასთან, თანამშრომელთა დისციპლინირებისა და ნახალისების პროცედურებთან, ამ პროცედურების გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობის ხარისხთან. ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნული პროცესების პოლიტიკური ზეგავლენისგან დაცვის სათანადო გარანტიებს. ამასთან საკითხთა დიდი წრე მოწესრიგებული არ არის საკანონმდებლო დონეზე და მას მინისტრი საკუთარი ბრძანებებით არეგულირებს.

იმის გათვალისწინებით, რომ შეზღუდულია პოლიციის საქმიანობაზე გარე კონტროლის მექანიზმები, შიდა რეგულაციები კი ხშირ შემთხვევაში მეტად ბუნდოვანია, იზრდება კონკრეტულ პოლიციელებზე ზეგავლენის და შემდგომში ამის ვინრო პოლიტიკური ინტერესებით გამოყენების რისკი, რაც სცილდება ზოგადად პოლიციის, როგორც სამართალდაცვითი და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი ორგანოს ბუნებრივ ფუნქციებსა და თვისებებს.

პრობლემურია მინისტრის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის, ფართო უფლებამოსილებები და მის მიერ ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობა. მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს მინისტრის მიერ პოლიციელის დისციპლინირების საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტა, რა დროსაც პოლიტიკური თანამდებობის ფიგურას შეუძლია უგულებელყოს გენერალური ინსპექციის რეკომენდაცია და მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, შს სამინისტრომ ვერ მოგვანოდა ოფიციალური სტატისტიკა, მინისტრმა რამდენ შემთხვევაში შეცვალა გენერალური ინსპექციის დასკვნა და მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ნახალისების სისტემას, რადგან საჯარო მოხელეთა, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა ანაზღაურება და პრემიები, როგორც წესი, განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მაღალია ამ გზით დასაქმებულ პირებზე, მათ დამოუკიდებლობასა და ნეიტრალიტეტზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პოლიტიზების რისკის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია:

- პოლიციის სისტემაში საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანო;
- პოლიციის შესახებ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტები გათავისუფლდეს ბუნდოვანი ფორმულირებებისაგან;

- საკადრო საკითხებთან მიმართებით გადანყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკური თანამდებობის პირის (მინისტრი) ჩართულობის ხარისხი მაქსიმალურად შემცირდეს, განსაკუთრებით ქვედა და შუალედური რგოლის თანამდებობის პირთა, პოლიციის პროფესიული ხელმძღვანელობის შერჩევა/დანიშვნის დროს;
- სამსახურში მიღების, დათხოვნისა და თანამდებობრივი გადაადგილების მარეგულირებელ ნორმათა სისტემატიზაცია ერთიან დოკუმენტში მოხდეს. ასევე, მიზანშეწონილია ეს საკითხი რეგულირდებოდეს კანონის დონეზე;
- შემუშავდეს პოლიციის ეთიკის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის სტრატეგიის დოკუმენტი და ეთიკის კოდექსის შემუშავება მოხდეს პოლიციელთა უშუალო ჩართულობით;
- შეიქმნას გენერალური ინსპექციის ახალი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის დამოუკიდებლობას პოლიტიკური მენეჯმენტისგან. ასევე შეიქმნას პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი;
- უზრუნველყოფილი იყოს დისციპლინური სამართალწარმოებისას, გადაცდომის შესაძლო ჩამდენის ჩართულობა. მას უნდა ჰქონდეს ადეკვატური უფლებადაცვითი გარანტიები;
- უზრუნველყოფილი იყოს განმცხადებლის/საჩივრის ავტორის/დაზარალებულის უფლების რეალიზებისა და ლეგიტიმური ინტერესის დაცვის პროცედურული გარანტიები;
- საჭიროა, შეიქმნას დისციპლინური სახდელის დადების/არდადების თაობაზე მიღებული გადანყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი;
- მონესრიგდეს სამართალდამცავ სისტემაში მამხილებლის ინსტიტუტის სამართლებრივი რეჟიმი;
- წახალისების საკითხები, კანონქვემდებარე აქტების ნაცვლად, რეგულირებული უნდა იყოს კანონით იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული წახალისება პოლიტიკური ნიშნით;
- წახალისების საფუძვლები განსაზღვრული იყოს მკაფიოდ და შემცირდეს ამ პროცესებში მინისტრის ერთპიროვნული გადანყვეტილებების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამინისტროს თანამშრომელთა წახალისების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტით მონესრიგდეს წახალისების სახეების, საფუძვლებისა და პროცედურული საფეხურების საკითხები.

ნაწილი 4: პრობლემური საპოლიციო ინსტრუმენტები

თავი 1: შესავალი

საპოლიციო პრაქტიკა მრავალ ასპექტს მოიცავს და ის განპირობებულია, როგორც უშუალოდ მოქმედი ნორმატიული აქტებით, აგრეთვე, ე.წ. ირიბად მოქმედი კანონმდებლობით, ამა თუ იმ პერიოდში არსებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებით. სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებთან ერთად საპოლიციო პრაქტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართალდამცავების საქმიანობაზე არსებული შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის ხარისხი. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს იმ ინსტრუმენტებს, რომლითაც მოქმედებენ პოლიციელები ყოველდღიურ ცხოვრებაში და, აგრეთვე, მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც ხდება აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება.

ეფექტიანი კონტროლის ფარგლებს მიღმა მოქცეული უფლებამოსილებები, თავის მხრივ, ზრდის ალბათობას, რომ პოლიციის ქმედებები არ იქნება დაცლილი პოლიტიკური მოტივებისაგან. ეს მოსაზრება გამყარებულია უპირველესად იმ გარემოებით, რომ ქვეყნის ნომერ პირველი პოლიციელი – შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია. მკვეთრი ცენტრალიზაციის პირობებში ძლიერდება პოლიტიკური ვერტიკალი, სისტემის ხელში თავმოყრილი ძალაუფლების ხასიათისა და მასშტაბების გათვალისწინებით კი განსაკუთრებულად სახიფათო ხდება სისტემის პოლიტიზება. სამინისტროს ინდივიდუალური სამსახურები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სამინისტროს მართვის ცენტრალურ აპარატსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. მნიშვნელოვანი ძალაუფლების მატარებელი სამსახურების ფუნქციური ავტონომია და პოლიტიკური მართვის რგოლიდან დისტანცირება უმნიშვნელო ხარისხისაა და აძლიერებს მათზე პოლიტიკური გავლენების საფრთხეს. იმ პირობებში, როდესაც საპატრულო და საგამოძიებო სამსახურები ფუნქციური თვალსაზრისით არასაკმარისად არიან დისტანცირებულნი სამინისტროს მართვის ცენტრალური რგოლისგან, პოლიტიკური დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია, აღნიშნული მექანიზმების გამოყენება პოლიტიკური დანიშნულებით მოხდეს.⁸⁶

სამინისტროს ინდივიდუალური სამსახურები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამინისტროს მართვის ცენტრალურ აპარატთან და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. მნიშვნელოვანი ძალაუფლების მატარებელი სამსახურების ფუნქციური ავტონომია და პოლიტიკური მართვის რგოლიდან დისტანცირება უმნიშვნელო ხარისხისაა, რაც აძლიერებს მათზე პოლიტიკური გავლენის მოხდენის საფრთხევებს.

86. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა – საქართველოს სამართალდამცავი სისტემის ანალიზი, 2015. გვ. 18.

ამ თავის მიზანს წარმოადგენს, კონკრეტული საქმეების შესწავლისა და მათში აღმოჩენილი პრობლემების ანალიზის გზით, იმ ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზების წარმოჩენა, რომლებიც ინსტიტუციურ პრობლემებთან ერთად, ხელს უშლის პოლიციის სისტემაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას.

საპოლიციო უფლებამოსილებების პრაქტიკაში აღსრულების პროცესის კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა: (1) საჯარო შეკრებების/მანიფესტაციებისას პოლიციის ქცევის მონიტორინგი; (2) ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენებით, კონკრეტული პირების დაკავების/დაპატიმრების პრაქტიკის შესწავლა. მონიტორინგის შედეგად, შერჩეულია ის შემთხვევები, რომლებზე დაკვირვებამაც შესაძლო პოლიტიკური ფონის არსებობა გამოავლინა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო შეკრებების/მანიფესტაციების შემთხვევაში, პოლიტიკური კონტექსტის დანახვა შედარებით მარტივია, ვინაიდან თავისი ბუნებით, საჯარო მანიფესტაცია და პროტესტი, ასევე კონკრეტული მოთხოვნების წამოყენება მმართველი პოლიტიკური გუნდის მიმართ, თავისთავად პოლიტიკური ბუნების მატარებელი აქტია. რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულს, კვლევის ერთ-ერთ მიმართულებად მისი განსაზღვრა დიდწილად განპირობებულია ნარკოდანაშაულის პრობლემური ბუნებით, მათ შორის, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სამართალდამცავთა მიერ ძალაუფლების უკანონო/არამიზნობრივი გამოყენების სიმარტივით. როგორც გასულ წლებში წარმოებული კვლევები და გამოცდილება მონიშნავს,⁸⁷ სამართალდამცავები ცალკეულ შემთხვევებში იყენებდნენ ნარკოტიკული საშუალების ჩადებისა და ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდების მუქარას, კონკრეტულ მოქალაქეებზე ზეწოლის ან სხვა მიზნით.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში შესწავლილ იქნა ათი საქმე, რომელშიც, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უგულებელყოფა დაფიქსირდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ძირითადად, პრობლემური საპოლიციო მექანიზმების გამოყენება აღინიშნა არა პოლიტიკური პარტიების/პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, არამედ აქტივისტებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მისამართით, რომლებიც აქტიურად აკრიტიკებდნენ ან მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკას, ან ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეების შედეგად გამოვლენილია შემდეგი სახის ძირითადი პრობლემები:

- ნარკოლოგიურ შემონიშნებაზე იძულებით გადაყვანა პირის დისკრედიტაციის ან გარკვეული პერიოდით იზოლაციისათვის;

87. იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდო პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“, 2012 წ. გვ. 76.

- დაუსაბუთებელი და თვითნებური ადმინისტრაციული დაკავება;
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვა;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის, წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობის არასწორი განმარტება.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგი საპოლიციო სისტემის კვლევას ეხება, ანგარიშის მომზადებისას, გვერდს ვერ ავუვლიდით სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობას, რადგან ამ უწყებების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, ხშირ შემთხვევაში, უფრო ნათელს ხდიდა პოლიციის ქმედებებს (მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის გარეშე, იმ საქმეების შესწავლა, რომლებშიც პოლიციის მხრიდან ადმინისტრაციული დაკავების ფაქტი ფიგურირებს, ვერ იქნებოდა სრულყოფილი). შესაბამისად, აღნიშნული ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზით უფრო ნათლად იკვეთებოდა, როდის მოქმედებდა პოლიცია სათანადო სამართლებრივი საფუძვლებით, რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარებოდა მათი მოქმედება და ა.შ.

თავი 2: იძულებით ნარკოლოგიურ შემონმებაზე არამიზნობრივად გადაყვანა

მონიტორინგის პერიოდში ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენებით კონკრეტული პირების დაკავების/დაპატიმრების პრაქტიკის შესწავლამ შესაძლო პოლიტიკური ფონის მქონე ორი საქმე გამოავლინა.

ფაქტობრივი გარემოებები

- ამ საქმეში პოლიციის ქმედების ადრესატს **ფეხბურთის ფედერაციის უკვე ყოფილი დელეგატი, გეგა გობეჯიშვილი** წარმოადგენდა. გ.გობეჯიშვილი 2015 წლის 02 ოქტომბერს, 20:50 საათზე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წინა ღამით, საკუთარ სახლთან, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში ასკ) 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დააკავეს.⁸⁸ საქესპორტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 3 ოქტომბრის დასკვნით, გობეჯიშვილს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება დაუდგინდა. 2015 წლის 03 ოქტომბერს, 15:54 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გობეჯიშვილის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის სხდომა გაიხსნა, რომელიც იმავე დღეს 16:07 საათზე დასრულდა. სასამართლო დადგენილების თანახმად, იგი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა, 500 ლარის ოდენობით.

88. ხელმისაწვდომია: <http://1tv.ge/ge/news/view/108386.html> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

აღსანიშნავია, რომ გეგა გობეჯიშვილი იყო ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, რევაზ არველაძის მხარდამჭერი და არჩევნებშიც მის სასარგებლოდ აპირებდა ხმის მიცემას,⁸⁹ თუმცა სასამართლო სხდომიდან მეორე დღეს დაგეგმილ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით გობეჯიშვილს აღარ უსარგებლია და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა დელეგატი.⁹⁰ საბოლოოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ლევან კობიაშვილი აირჩიეს.⁹¹ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სწორედ ლ. კობიაშვილის კანდიდატურის გამარჯვებით იყო დაინტერესებული ამჟამინდელი ენერგეტიკის მინისტრი, კახი კალაძე და როგორც აღნიშნავდნენ, მმართველი გუნდიც.⁹² ამ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის ივლისში მიუთითებდა საქართველოს ვიცე-პრემიერი სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობაზე ფეხბურთის ფედერაციის მომავალ არჩევნებში. გობეჯიშვილის ოჯახის წევრი ასევე საუბრობდა სხვადასხვა ზენოლის ფაქტზე, რომლებიც გობეჯიშვილის მიერ გადანყვეტილების შეცვლისა და ლევან კობიაშვილის სასარგებლოდ ხმის მიცემისაკენ იყო მიმართული.⁹³

• აღნიშნულ საქმეში პოლიციამ იძულებით ნარკოტესტირებაზე გადაიყვანა **სამოქალაქო აქტივისტი, „პარტიზანული მეზღვების“ წევრი ნატა ფერაძე**. ნ. ფერაძე ნარკოლოგიურ შემოწმებაზე 2016 წლის 7 მაისის აქციისას გადაიყვანეს. ამ დღეს გამართული აქციაზე სამოქალაქო აქტივისტთა პროტესტი მიმართული იყო რამდენიმე პრობლემური საკითხისადმი: „პანორამა თბილისის“ მშენებლობა, ბოტანიკური ბაღის 4 ჰექტარი (ჰა) მიწის გასხვისება და მერიის მიერ 30 ჰა მიწის აუქციონზე გატანა. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ყველა ეს ტერიტორია, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება.⁹⁴ თავად ნატა ფერაძემ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისათვის (EMC)“ განმარტებების მიცემისას აღნიშნა, რომ პოლიცია მოქმედებდა პოლიტიკური მოტივებით და მის დაკავებასა და ნარკოლოგიურ ტესტირებაზე გადაყვანას, პროტესტის ჩახშობის თაობაზე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის ბრძანებას უკავშირებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ნატა ფერაძის დაკავება და ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანა 2016 წლის 7 მაისის აქციაზე განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება.

89. ხელმისაწვდომია: <http://www.radiotavisupleba.ge/a/pekhburtis-pederatsia/27285260.html> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

90. ხელმისაწვდომია: <http://rustavi2.com/ka/news/27956> (წვდომის თარიღი: 4 აგვისტო 2016).

91. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/news/44440/> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

92. ხელმისაწვდომია: <http://www.kvirispalitra.ge/sport/26260-vis-ufro-gavleniani-qomagi-hyavs-khelisufle-bashi-anu-vin-gakhdeba-fekhburthis-federaciis-prezidenti.html?add=1&device=xhtml> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

93. ხელმისაწვდომია: <http://pirveliradio.ge/?newsid=55042> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

94. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/news/111863/> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

კერძოდ, აქციაზე წარმოდგენილი აქტივისტთა ჯგუფი იმ სივრცეში შესვლას

მოითხოვდა, რომლის გავლის გარეშეც, დაგეგმილი მსვლელობის ფარგლებში, დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხოდ ვერ მივიდოდნენ, ეს კი შეუძლებელი გახლდათ, პოლიციის კორდონიდან გამომდინარე. აქტივისტები შეეცადნენ გაერღვიათ კორდონი, რასაც აქციის ორი მონაწილის დაკავება მოჰყვა.⁹⁵ დაკავების გასაპროტესტებლად ნატა ფერაძე საპატრულო პოლიციის მანქანის სახურავზე ავიდა, რასაც პოლიციის მხრიდან, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მისი ძალისმიერი მეთოდებით მანქანიდან უხეშად ჩამოთრევა, მანქანაზე დახეთქება და დაკავება მოჰყვა. ნატა ფერაძის ახსნა-განმარტების თანახმად, ის ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე შს სამინისტროს შენობის ეზოში წაიყვანეს და სამი საათის განმავლობაში მანქანაში ჰყავდათ მოთავსებული. შემდგომ ის სხვა მანქანაში გადასვეს და ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაიყვანეს.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაკავების თანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი; ბ) რომ აქვს უფლება ადვოკატზე; გ) რომ აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.

ნატა ფერაძის ახსნა-განმარტებით, მანქანაში ყოფნის განმავლობაში დამკავებელ მოხელეს ნატა ფერაძისთვის ასკ-ის 245-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი განმარტება არ მიუცია. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესიც ავალდებულებს შესაბამის მოსამსახურეებს ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ მოხმარების ფაქტის დასადგენად წარსადგენი პირისათვის მისი უფლებების შესახებ განმარტების მიცემას, ნატა ფერაძისათვის არა თუ უფლებები, ისიც კი არ უცნობებიათ, რომ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაჰყავდათ. შეკითხვაზე, თუ სად უპირებდნენ წაყვანას და რა საფუძველით, ის პოლიციელებისაგან პასუხად იღებდა: „სადაც საჭიროა“. ფერაძემ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის შესახებ მხოლოდ სამი საათის შემდეგ, სხვა მანქანაში გადასმის შემდგომ შეიტყო. მას არ განემარტა უფლებები, მაგრამ თავად ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი იყო, უარი განეცხადებინა ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე. ის უარის გაცხადებიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ ხელნერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. როგორც დასკვნაშია აღნიშნული,

95. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=v4hcAiMwDdM>
(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

გარეგნული დათვალეობით, იგი ნარკოტიკული თრობის ქვეშ არ აღმოჩნდა.⁹⁶

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წლის სექტემბერში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქცია⁹⁷, რომელსაც, წესით, ნათლად და არაორაზროვნად უნდა განესაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სახელმძღვანელო პრინციპები და ჩამოეყალიბებინა გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი. ინსტრუქციის მესამე მუხლი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რომელთა არსებობისას მოსამსახურე უფლებამოსილია, ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით, პირი სამინისტროს საექსპერტო დაწესებულებაში გამოსაკვლევად წარადგინოს.

მიუხედავად მცდელობისა, ამომწურავად განსაზღვრულიყო არანებაყოფლობითი ნარკოტესტირების საფუძვლები და აღმოფხვრილიყო სამართალდამცავთა შესაძლო თვითნებობის საფრთხეები, საყურადღებოა აღნიშნული ბრძანების მესამე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოება, რომელიც ადგენს ექსპერტიზაზე პირის გადაყვანის ერთ-ერთ საფუძველს – „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სამინისტროს სსიპ – „112“-ში შესული შეტყობინება, ან უშუალოდ პოლიციისათვის პირდაპირი შეტყობინების გზით იდენტიფიცირებული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ მოხმარების შესახებ“. აღნიშნული საფუძველი იმდენად ზოგადი და ფართოა, რომ ფაქტობრივად, კვლავ აძლევს საშუალებას პოლიციელს, იმავე პროცედურით გადაიყვანოს მოქალაქეები ტესტირებაზე, რაც ინსტრუქციის დამტკიცებამდე არსებობდა. აღნიშნული საფუძველით მოქალაქეთა ექსპერტიზაზე გადაყვანა პრობლემურია განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ ექვემდებარება სასამართლო ან საპროკურორო კონტროლს. მაგალითად, პირი, „კონფიდენტი“, რომელმაც პოლიციას მიანოდა ინფორმაცია პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თაობაზე, სასამართლოს წინაშე არ იკითხება და არ მოწმდება მისი სანდოობა.⁹⁸

როგორც ცნობილია, სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად გობეჯიშვილის ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანას. ნატა ფერაძის შემთხვევაში კი სრულიად

96. ხელმისაწვდომია: <http://georgianpress.ge/com/news/view/19835?lang=1>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

97. „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის N725 ბრძანება.

98. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/10/02/ქუჩის-ნარკოტესტირების-აბ/> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

გაუგებარია, რომელი ფაქტობრივი გარემოების არსებობამ შეუქმნა შს სამინისტროს მოსამსახურეს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ფერადემ მოიხმარა ან იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. პანორამის წინააღმდეგ გამართული აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ინტერვიუებისას აღნიშნა: „ნატა ფერადის ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანა სრულიად უსაფუძვლოდ მოხდა, რადგანაც ნატა ფერადის მსგავსად, სხვებიც მოქმედებდნენ იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ საპატრულო მანქანებით აქციის ფარგლებში დაკავებულების გადაყვანაში. მხოლოდ ნატა ფერადის გადაყვანა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე მისი, როგორც ორგანიზაციის ლიდერის, ავტორიტეტის დისკრედიტაციისაკენ იყო მიმართული“.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 2015 წლის დეკემბერში ევროკომისიის მიერ ევროპარლამენტისა და საბჭოსთვის მომზადებულ ანგარიშში, საუბარია იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა საკმარისი თავდაცვითი გარანტიებით უზრუნველყოფს პირებს პოლიციის მიერ შემთხვევითი ნარკოტესტირებისას⁹⁹, არსებული სამართლებრივი ჩარჩო და ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ კვლავ არსებობს პოლიციელთა მიერ შემთხვევითი ნარკოტესტირებისას უფლებამოსილებათა ბოროტად, პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების საფრთხე.

გობეჯიშვილის შემთხვევაში, მისი სტატუსი (ფეხბურთის ფედერაციის დელეგატი), დაკავების წინარე გარემოებები (მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის განცხადებები ფედერაციის არჩევნებთან დაკავშირებით) და უშუალოდ დაკავების ეპიზოდი (ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, არჩევნების წინა ღამით დაკავება) წარმოშობს ეჭვს, რომ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე მისი გადაყვანა პოლიტიკური ინტერესის მქონე მოვლენებზე ზეგავლენას ისახავდა მიზნად, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მმართველი გუნდის სანინააღმდეგო პოზიციის მქონე პირის მიმდინარე პროცესებისაგან ჩამოშორებით, იზოლაციით გამოიხატა. ნატა ფერადის შემთხვევაში კი გასათვალისწინებელია მისი და მისი მხარდამჭერების პროტესტის ადრესატი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელზეც „პარტიზანი მებაღეების“ არაერთი პროტესტი მიემართებოდა. ამ საქმის ანალიზისას ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პოლიციას, ფაქტობრივად, არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი ნარკოტესტირებაზე მისი გადაყვანისთვის. გარემოებების ასეთი თანხვედრა კი ბადებს განცდას, რომ ამ შემთხვევაში ნარკოტესტირებაზე გადაყვანა გამოყენებული იყო პროტესტის ერთ-ერთი ლიდერის იზოლაციისა და დისკრედიტაციისთვის, რაც საერთო ჯამში, საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობის მიზანს ემსახურებოდა.

მიუხედავად ცვლილებებისა, კვლავაც არსებობს პოლიციელთა მიერ იძულებითი ნარკოტესტირებისას უფლებამოსილებათა ბოროტად, მიზანშეუწონლად, პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების საფრთხე.

99. მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ, 2015. გვ. 11. ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_ka.pdf (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

ნარკოლოგიურ შემონმებაზე გადაყვანის პრობლემურ ასპექტებზე ყურადღება გამახვილებულია სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოები არ იკვლევენ, რომელ საფუძველზე დაყრდნობით მოხდა პირის გადაყვანა ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე და რის საფუძველზე წარმოემვა სამართალდამცავს პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესახებ ვარაუდი. აღნიშნული საფუძველის არარსებობისას, თვითნებურად პირის ნარკოლოგიურ შემონმებაზე გადაყვანა კანონსაწინააღმდეგოა, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას კი იურიდიული ძალა არ გააჩნია. კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო წინაპირობების უგულებელყოფით მოპოვებული მტკიცებულების საქმეზე დასაშვებობა ეჭვქვეშ უნდა დგებოდეს, თუმცა აღნიშნული გარემოება, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მხედველობის მიღმა რჩება.¹⁰⁰

რაც შეეხება გადაყვანის პროცედურის გასაჩივრებას, ამ დროს კანონმდებლობა არ აღჭურავს პირს სასამართლოში ქმედითი და ეფექტიანი უფლებადაცვითი გარანტიებით. მოქალაქეს უწევს მტკიცება, რომ პოლიციელს არ ჰქონდა იძულებით ნარკოლოგიურ შემონმებაზე გადაყვანისათვის საკმარისი საფუძველი/ინფორმაცია. პოლიციელს კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმის დადასტურება ჰყოფნის, რომ მოქალაქის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია ჰქონდა. პოლიციელის ვალდებულება მხოლოდ ამით შემოიფარგლება. იმ პირობებში კი, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის სანდოობისა და ნამდვილობის შემონმება არ ხდება ადეკვატურად, მოქალაქისათვის ძალიან რთულია თავისი სიმართლის დამტკიცება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, მოქმედებს „სამართალდამცავის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია“, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ პოლიციელის ქმედების ლეგიტიმურად და კანონიერად მიჩნევას, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება ან არ წარმოიშვება შესაბამისი გონივრული ეჭვი პოლიციელის ქმედების კანონიერებაზე. ასეთ პირობებში კი მოქალაქე, ფაქტობრივად, უძლურია, დაამტკიცოს, რომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად გადაიყვანეს შემონმებაზე.

თავი 3: თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების მოტივით ადმინისტრაციული დაკავება

თვითმმართველი ერთეულის დამახინჯების მოტივით პოლიციის მიერ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენების საკითხზე პროექტის გუნდმა ასევე ორი საქმე შეისწავლა. კვლევის ავტორების დაინტერესება აღნიშნული ორი საქმით დიდწილად განპირობებული იყო პოლიციის ქმედებების ადრესატებით და შინაარსით, რამაც პოლიციელთა ქმედებები განაპირობა.

¹⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

ფაქტობრივი გარემოებები

- საქმე შეეხება ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი ორგანიზაციის – „თავისუფალი ზონის“ აქტივისტს, გიორგი რუხაიას. უფრო კონკრეტულად, 2015 წლის 21 ნოემბერს ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წევრებმა, გმირთა მოედნისა და თამარაშვილის გამზირის შემაერთებელი ახალი გზის მიმდებარე ტერიტორიის კლდოვან ნაწილზე, „რუსთავი2-ის“ მხარდამჭერ აქციაზე დაკავებული „თავისუფალი ზონის“ წევრების გათავისუფლების მოთხოვნით ბანერი ჩამოკიდეს წარწერით: „თავისუფლება ნიკა წარსიას, მირიან დეისაძეს, კახა გაბუნias!“ თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის წარდგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, 2015 წლის 21 ნოემბერს 08:20 საათზე, ქ. თბილისში, გიორგი რუხაიას დაკავების საფუძვლად მითითებულია მის მიერ დაუდგენელ პირებთან ერთად საამისოდ გამოუყოფელ ადგილას თვითნებურად პლაკატის განთავსება და იერსახის დამახინჯება.

სასამართლო სხდომაზე შს სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მოძრაობდა ვერეს ხეობაში, ე.წ. ახალ გზაზე, რა დროსაც მთაზე შენიშნა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ბანერს ამონტაჟებდნენ. მათ შორის იყო პირი, რომელიც ვიზუალურად – აღნაგობითა და ჩაცმულობით ჰგავდა გიორგი რუხაიას, ხელში ეჭირა ვიდეოკამერა და სხვა პირებს ბანერის განთავსებაში ეხმარებოდა. შსს მოსამსახურე ფერდობზე ასასვლელი გზის უშედეგოდ ძებნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ახალ გზაზე, სადაც შენიშნა გიორგი რუხაია, რომელიც გზასთან ახლოს იდგა და ვიდეოკამერა ეჭირა. მისივე განმარტებით, შორი მანძილის გამო ვერ დაინახა იმ პიროვნების სახე, რომელიც ფერდობზე ვიდეოკამერით ბანერის განთავსებას აფიქსირებდა, მაგრამ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ფერდობზე მყოფი და გიორგი რუხაია ერთი და იგივე პირები იყვნენ, შემდეგი გარემოებები დაედო საფუძვლად: (1) ტანისამოსითა და აღნაგობით მსგავსება; (2) ვიდეოკამერის ფლობა; (3) რუხაიას დასვრილი ტანსაცმელი.

- მეორე საქმე შეეხება ტელეკომპანია „ტაბულას“ რედაქტორის, თამარ ჩერგოლიევიშვილის დაკავებას. უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ჩერგოლიევიშვილი ხშირად გამოხატავს კრიტიკულ განწყობას ყოფილი პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისა და მმართველი პოლიტიკური გუნდის მიმართ. თავად ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს, ინტერვიუებში¹⁰¹ არაერთხელ გაუსვამს ხაზი ტელეკომპანია „ტაბულასა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კავშირზე.

რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, თ. ჩერგოლიევიშვილი 2015 წლის 16 ოქტომბერს თბილისში, რუსთაველის ქუჩაზე, ოპერის წინ ელექტროგანათების ბოძზე პლაკატების გაკვრის გამო დააკავეს. 2015 წლის 5 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ თამარ ჩერგოლიევიშვილი სამართალდამრღვევად ცნო, მაგრამ

101. ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/verbatim/108760-ivanishvili-tabulas-ver-moxdeba-is-rom-shemacheron-da-dabrundes-dzveli-tash-fandura> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა და სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.

სამართლებრივი შეფასება

ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევას წარმოადგენს სხვადასხვა სახის წარწერის, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, ორგანომ (თანამდებობის პირმა) მტკიცებულებები უნდა შეაფასოს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში. მისასალმებელია გ. რუხაიას საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ მხოლოდ აღნაგობა, ტანისამოსი და კამერა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იყოს პიროვნების იდენტიფიცირებისათვის საკმარის მტკიცებულებად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე განსხვავებული კრიტერიუმებით შეაფასეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართალდამცავებმა და მხოლოდ ზოგადი მაიდენტიფიცირებელი ნიშნების საფუძველზე დააკავეს პირი.

ვინაიდან სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა გიორგი რუხაიას მიერ ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სამართალდარღვევა, სასამართლოს აღარ უმსჯელია, წარმოადგენს თუ არა ბუნებრივ კლდოვან ნაწილზე ბანერის გადმოფენა თვითმმართველი იერსახის დამახინჯებას. ასევე არ გამხდარა მსჯელობის საგანი, ვიდეოკამერით კონკრეტული ქმედების/ფაქტი აღბეჭდვა რამდენად წარმოადგენს ამ ქმედებაში უშუალო მონაწილეობას, რის გამოც შესაძლებელი იქნებოდა პირისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

თ. ჩერგოლიევილის საქმის განხილვისას თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი უპირობოდ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კონკრეტულ ობიექტებზე, მათ შორის სვეტებზე, პლაკატების თვითნებურად განთავსებისათვის. ანუ, სასამართლომ გარე განათების სვეტები 150-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცულ სიკეთედ ცნო. თ. ჩერგოლიევილმა სასამართლო განხილვისას დაადასტურა ელექტროგა-ნათების ბოძზე პლაკატის განთავსების ფაქტი, თუმცა განმარტა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენდა სამართალდარღვევას, ვინაიდან ბოძზე უკვე განთავსებული იყო სხვა განცხადებები და მისი ქმედებით ობიექტურად არ მომხდარა იერსახის დამახინჯება. ამასთან, ჩერგოლიევილმა მიუთითა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა უფრო მაღალ ღირებულებას, ვიდრე უკვე დამახინჯებული ბოძის დამახინჯება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ასკ-ის 150-ე მუხლი წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების პროპორციულ შეზღუდვას, კრძალავს რა პლაკატის (მისი შინაარსის მიუხედავად) განთავსებას ისეთ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. სასამართლომ მიუთითა, რომ შეზღუდვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – თვითმმართველი ერთეულის იერსახის დაცვას თვითნებური ჩარევისაგან, საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულების ძირითადი უფლებაა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა უფლებებს. იგი დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვნების აუცილებელი პირობაა. „კონსტიტუციის 24-ე მუხლის“ პირველი პუნქტით დაცულია აზრის გამოთქმა და გავრცელება არა მარტო ზეპირად ან წერილობით, არამედ „სხვა საშუალებებითაც“. მათი დაცვა თანაბრად აუზრუნველყოფილი. ასეთ „საშუალებებში“ იგულისხმება აუდიოკასეტები, ლაზერული დისკები, ჩამწერი მონეობილობები, გამოსახულებანი, ჟესტები, სიმბოლოები, პლაკატები და ა.შ.¹⁰² რა თქმა უნდა, აზრის გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება გავიგოთ, როგორც საყოველთაო და კანონის მიღმა არსებული თავისუფლება. ნებისმიერი სუბიექტი თავისუფალია მანამ, სანამ თავისი უფლებით სარგებლობისას ზიანს არ აყენებს სხვათა უფლებას. ამ თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან გამართლებულია, როცა აზრის გამოხატვა ხელს უწყობს რასობრივი და ეროვნული შუღლის გაღრმავებას; როცა უფლებით მოსარგებლე სიძულვილსა და დამამცირებელ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ – აქეზებს უხამსობას, ძალადობასა და ა.შ. აზრის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იქცეს საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის საფრთხედ. აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როცა იგი დაუპირისპირდება ადამიანის პატივსა და ღირსებას.¹⁰³

„თავისუფალი ზონის“ მიერ ე.წ. ახალი გზის კლდოვან ნაწილზე გაკრული ბანერი და ჩერგოლეიშვილის მიერ გარე განათების ბოძებზე გაკრული გაზზრომის მოლაპარაკებების საწინააღმდეგო პლაკატები არ შეიცავდა სხვათა უფლებებისთვის ზიანის მომტან შინაარსს, არ უპირისპირდებოდა ადამიანის პატივსა და ღირსებას. საინტერესოა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც, გამოხატვა მაშინაც კი, როდესაც ის შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი და აღმამფოთებელია საზოგადოების გარკვეული სეგმენტისათვის, დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით.¹⁰⁴ ამასთან, კონვენციით დაცულია არა მარტო გამოხატვის შინაარსი არამედ მისი ფორმებიც.¹⁰⁵

102. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013. გვ.257.

103. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013. გვ. 259.

104. *Handyside v. The United Kingdom*.

105. *Novikova v. Russia*, p. 150

სანტერესოა აშშ-ის ერთ-ერთი ქალაქის, სიეტლის გამოცდილება, სადაც 1994 წლის საკანონმდებლო აქტი კრძალავდა ნიშნების, სარეკლამო ფურცლებისა და სხვა საგნების განათების ბოძებზე განთავსებას. 2002 წელს ვაშინგტონის შტატის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული აკრძალვა, გამოხატვის თავისუფლების დარღვევის მოტივით, ვაშინგტონის შტატის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო, თუმცა ქალაქს მისცა შესაძლებლობა, თავად დაერეგულირებინა დროებითი ნიშნებისა და პოსტერების განთავსების ადგილი, დრო და ფორმა.¹⁰⁶

ნათელია, რომ პოსტერებისა და ბანერების გაკვრა გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია კი არ ქმნის ნათელ სურათს, თუ სად შეუძლია პირს, გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს ფარგლებში, განათავსოს სხვადასხვა სახის ნარწერები, ნახატები თუ სიმბოლოები იმგვარად, რომ მისი ქმედება არ დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. არსებული ჩანაწერი ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მაშინ როდესაც სასამართლო გარე განათების ბოძს, ასკ-ის 150-ე მუხლით დაცულ სფეროში ათავსებს, საქართველოს სახალხო დამცველი სპეციალური განცხადებით განმარტავს, რომ გარე სინათლის ბოძი 150-ე მუხლის ჩამონათვალში არ უნდა ვიგულისხმოდ. ¹⁰⁷ ნორმის ფართოდ განმარტება კი, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში უსაფუძვლო ჩარევის შესაძლებლობას ქმნის.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ ასკ-ის 150-ე მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით, თვეების მიხედვით, სასამართლო დადგენილებები, რომელთა თანახმადაც, 150-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არსებობა არ დადასტურდა და საქმის წარმოება შეწყდა. სასამართლოს მიერ მოწოდებული 13 დადგენილების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დადგენილებები შაბლონური ხასიათისაა, რომელთა ტექსტის უდიდეს ნაწილს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გადმონერლი მუხლების დისპოზიციები წარმოადგენს. ერთ-ერთ დადგენილებაში მითითებულია, რომ 150-ე მუხლის პირველი ნაწილის დაცვის ობიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ადგილი, რომელიც „საამისოდ არ არის გამოყოფილი“. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დადგენილებებიდან მხოლოდ ერთ საქმეში არ მიაკუთვნა მოსამართლემ 150-ე მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალს ის ობიექტი, რომელზეც უკვე განთავსებული იყო სხვადასხვა ნარწერა და პლაკატი და განმარტა, რომ კლუბის სარეკლამო ბანერისათვის საღებავის

106. ხელმისაწვდომია: <http://www.seattle.gov/transportation/posteringrules.htm> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

107. ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcveli-plakatebis-gakvris-gamo-sami-piris-dakavebas-exmianeba.page> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

თვითნებურად შესხმა არ წარმოადგენს ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ზემოთ განხილულ ორ საქმეზე მსჯელობისას, ასკ-ის 150-ე მუხლის განმარტების ფარგლებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაძლო სამართალდამრღვევთა დაკავება აღნიშნული ქმედებისათვის (იერსახის დამახინჯება) და ამ დაკავების კანონიერება. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში დაკავება მოხდა კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რადგან სამართალდამცავებს აღნიშნული იძულების მექანიზმის გამოყენების უფლება მოცემულ შემთხვევებში არ ჰქონდათ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება.*

ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია იმ სამართალდარღვევათა სახეების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, ასკ-ის 244-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით, შეუძლიათ დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება. ეს ჩამონათვალი არ მოიცავს ასკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, ანუ იერსახის დამახინჯებას. შესაბამისად, შსს მოსამსახურეებს აღნიშნულ ორ საქმეში არ ჰქონდათ სავარაუდო დამრღვევის დაკავების უფლებამოსილება. გარდა ამისა, თავად დაკავების გამოყენებაც არ იყო ამ შემთხვევაში პროპორციული ღონისძიება, რადგან არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამართალდარღვევის ოქმის ადგილზე შედგენას არანაირი წინაღობა არ ექმნებოდა. ადმინისტრაციული დაკავება უნდა წარმოადგენდეს გამონაკლის ღონისძიებას და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, მკაცრად განერილი საფუძვლების არსებობისას, როდესაც ვერც ერთი სხვა საშუალების გამოყენებით ვერ მიიღწევა მართლმსაჯულების დროული და სათანადო აღსრულება და ვერ მოხდება ახალი სამართალდარღვევის პრევენცია.¹⁰⁸

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედ რედაქციაში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც შესაძლებელია კოდექსის დებულებების არამიზნობრივი გამოყენება, მათ შორის, პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში.

108. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ მომზადებული შენიშვნები და რეკომენდაციები ადმინისტრაციულ დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <http://www.coalition.org.ge/ge/article/106/> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

ჯერ კიდევ 2012 წელს, Human Right Watch თავის ანგარიშში მიუთითებდა, რომ წარსულში საქართველოს მთავრობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს როგორც შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილე მოქალაქეების, აგრეთვე, ცალკეული პოლიტიკური აქტივისტების თვითნებური დაპატიმრებისა და დასჯის იარაღად იყენებდა.¹⁰⁹ მიუხედავად კოდექსის მოქმედ რედაქციაში ცვლილებებისა, არ მომხდარა ძირითადი, ფუნდამენტური საკითხების გადახედვა და შესაბამისად, წარმოდგენილი მაგალითები ქმნის საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ კვლავაც არის შესაძლებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული უფლების მზღლუდავი მექანიზმების არამიზნობრივი, მათ შორის, პოლიტიკური ინტერესებით ან პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში გამოყენება.

თავი 4: სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოძრაობის ხელის შეშლის მოტივით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა

სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოძრაობის ხელის შეშლის მოტივით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის კუთხით „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ მონიტორინგის პერიოდში შესაძლო პოლიტიკური ფონის მქონე ორი შემთხვევა შეისწავლა.

ფაქტობრივი გარემოებები

- 2015 წლის 31 ოქტომბერს საგარეჯოში გამართული შუალედური საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაპროტესტებისას პოლიტიკური პარტია „**პატრიოტთა ალიანსის**“ წევრებს პოლიციელებმა არ მისცეს კარვის გაშლის საშუალება. ამ შემთხვევაში შესაძლო პოლიტიკური მოტივი აშკარაა, რადგან პოლიციის უკანონო ქმედებების ადრესატები იყვნენ ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები. „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები საგარეჯოში გამართული შუალედური არჩევნების შედეგების გაუქმებას, თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადადგომასა და საარჩევნო რეფორმას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მოითხოვდნენ.¹¹⁰

ოპოზიციური პარტიის აქცია არ იმართებოდა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე და შეკრება ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აქცია მიმდინარეობდა საკმაოდ რთულ კლიმატურ პირობებში. როგორც აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, დილით კარვებს შლიდნენ, როდესაც მათთან პატრულის თანამშრომელი მივიდა და უთხრა, რომ სპეციალური ნებართვის

109. Human Rights Watch, *Administrative Error – Georgia’s Flawed System for Administrative Detention*, 2012. ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0112ForUpload.pdf> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

110. ხელმისაწვდომია: <http://www.radiotavisupleba.ge/a/sagarejos-archevnebis-shedegebi/27355692.html> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

გარეშე ამის უფლება არ ჰქონდათ. ¹¹¹ გაუგებარია, თუ რა იგულისხმა პატრულის თანამშრომელმა სპეციალურ ნებართვაში ან რა კანონისმიერ საფუძვლებს ემყარებოდა აქციის მონაწილეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა. აქციის მონაწილეები დამატებით აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავებმა იმ დღეს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან დაგეგმილ შეხვედრაზე მიუთითეს და განაცხადეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ისინი საერთაშორისო დელეგაციას იქ არ დახვდებოდნენ. ¹¹²

• მეორე შემთხვევა კი 2015 წლის 18 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან აქციის „**Stop Russia**“ ერთ-ერთი ორგანიზატორის, „ტაბულას“ გენერალური პროდიუსერის ალექსი მაჭავარიანის დაკავებას უკავშირდება. აქაც დაკავებული იყო ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენელი, ხოლო აქციის „**Stop Russia**-ს“ ფარგლებში დემონსტრანტები მმართველი პოლიტიკური ძალისგან მოითხოვდნენ (1) აბაშიძისა და კარასინის პირისპირ საუბრის შეწყვეტას, (2) მოსკოვთან ყველა მოლაპარაკების წარმართვას მათი სტრატეგიული პარტნიორების მონაწილეობით და (3) პარლამენტის მიერ კოლაბორაციონიზმის წინააღმდეგ კანონის მიღებას. ¹¹³

საქმეში მონაწილე პოლიციელების განმარტებით, ალექსი მაჭავარიანმა თავისი ქმედებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ხელი შეუშალა ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას სავალ ნაწილზე, არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას, სასცენო მოწყობილობით დატვირთული სატვირთო ავტომანქანის მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაკავებისას გაუნია წინააღმდეგობა. სამართალდამცავები სასამართლო სხდომაზე მიუთითებდნენ, რომ წვრილმან ხულიგნობას წარმოადგენდა ალექსი მაჭავარიანის მიერ ნათქვამი ფრაზა – „სამარცხვინო პოლიცია“.¹¹⁴

ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ¹¹⁵ არ დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. მხარეთა და მოწმის ახსნა-განმარტებებისა და საქმის მასალების, კერძოდ, სასამართლოსთვის წარდგენილი CD და DVD დისკებზე ასახული ვიდეოჩანაწერის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ალექსი მაჭავარიანის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი უტყუარად

111. ხელმისაწვდომია: <http://argumenti.ge/samartali/351--.html>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

112. იქვე.

113. ხელმისაწვდომია:<http://www.newposts.ge/?l=G&id=81429>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

114. ხელმისაწვდომია:<http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-shekrebis-tavisuflebis-shezgud-vis-faqtebs-exmaureba.page>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

115. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ივლისის დადგენილება.

არ დასტურდება. ერთი მხრივ, მისასაღმებელია სასამართლოს მიერ აღნიშნული დადგენილების მიღება, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილება შაბლონური ხასიათისაა და მასში მცირე ადგილი აქვს დათმობილი მტკიცებულებების გამოკვლევა/შეფასებას.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც პოლიტიკური საქმიანობით განპირობებულ, პოლიტიკური შინაარსისა და მიზანმიმართულების მქონე, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან საერთოდ აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას.¹¹⁶ კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულია უფლება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პირს, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს გამოხატვის ფორმა, საშუალება და ადგილი. კერძოდ, მას კანონით გარანტირებული უნდა ჰქონდეს უფლება, საჯაროდ და მშვიდობიანად გამოხატოს აზრი ქუჩის იმ ნაწილში და იმ ფორმით, რომელსაც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად. აზრის გამოხატვა არა მხოლოდ საუბრით, განცხადებებით, არამედ მღუმარე ფორმით ან დროებითი კონსტრუქციების აგებით (რომელიც არ იწვევს სავალი ნაწილის გადაკეტვას) არის შესაძლებელი. კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან იკითხება, რომ შეკრების ან მანიფესტაციის გამართვა ხელისუფლების ორგანოების წინასწარ გაფრთხილებას არ საჭიროებს, თუ იგი არ იგეგმება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას. წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობას ანებს კანონი, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. „წინასწარი გაფრთხილება“ არ უტოლდება სანებართვო სისტემას.¹¹⁷

კანონმდებელი ადგენს დაცულ სამართლებრივ სიკეთეში ჩარევის ფორმალურ საფუძველს: „კანონს“, რომლის არარსებობის შემთხვევაში, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარევა გაუმართლებელი იქნება. „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-111 მუხლი შეკრების მონაწილეთათვის წარმოადგენს შემზღვეველ ნორმებს. კანონმდებელი არ ადგენს ყველა შემთხვევაში გამოსაყენებელ აბსოლუტურ ნებს და უპირატესობას ანიჭებს თითოეული კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვას. ამასთან, კანონმდებლობა მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მიიღებოდეს გადაწყვეტილება, ესენია: განზრახვა, შეკრების მონაწილეთა რაოდენობა და შეკრების უფლებით სხვაგვარად სარგებლობის შეუძლებლობა, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროს

116. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 283.

117. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 291.

მიეკუთვნება აზრის, შეხედულებების გამოთქმა. აზრი არსობრივად ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. იგი მოიცავს შეფასებით მსჯელობებს (გამონათქვამებს) და „ფაქტობრივ გარემოებებს“ („ფაქტებს“), როცა ისინი აზრის ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენენ. აზრის ცნებაში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომლებიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან. „აზრი ადამიანის პირადი, სუბიექტური შეფასებაა ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ“. ამდენად, აზრის თავისუფლების გამოვლენის მთავარი მახასიათებელია შეფასებითი შეხედულებების გამოთქმის თავისუფლება. აზრისათვის დამახასიათებელია ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულება მისი გამონათქვამების მიმართ. აზრი არის ის, რასაც ფიქრობს თავად სუბიექტი (პიროვნება).¹¹⁸ შესაბამისად, ფრაზა „სამარცხვინო პოლიცია“ მაჭავარიანის მიერ პოლიციის ქმედებების სუბიექტურ შეფასებას წარმოადგენდა. ნათელია, რომ ის კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს და ამ ფრაზის გამო ქმედების წვრილმან ხულიგნობად დაკვალიფიცირება გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (Kandzhov v. Bulgaria) აღნიშნავს, რომ შეურაცხმყოფელი და პროვოკაციის შემცველი მიმართვისა და რადიკალური გამოხატვის დაუყოვნებლივი ჩახშობის მცდელობაც კი დაუშვებელია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების გზით.

რაც შეეხება პოლიციელთა მოთხოვნის კანონიერებას, ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აქციის ორგანიზატორების მიერ მთავრობის კანცელარიასთან მიყვანილ სატვირთო ავტომობილში განთავსებული ხმის აპარატურა და სხვა ტექნიკური მოწყობილობები აუცილებელ აღჭურვილობას წარმოადგენდა აქციის ჯეროვნად გამართვისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ავტომანქანის მიერ გზის სავალ ნაწილზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გადაადგილების ხელშეშლა არ დასტურდებოდა. შესაბამისად, პოლიციელთა მოთხოვნა, სასცენო მოწყობილობით დატვირთული სატვირთო ავტომანქანის მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, თავიდანვე უკანონო, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი გახლდათ. იგივე შეიძლება ითქვას „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ განხორციელებულ მზლუდავ ღონისძიებებზე, როდესაც სამართალდამცავებმა აქციის ორგანიზატორებს მოსთხოვეს იმ ნებართვის წარდგენა, რისი ვალდებულებაც ორგანიზატორებს არ ჰქონდათ და მათ ამის გარეშეც შეეძლოთ ესარგებლათ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებამოსილებით, მათ შორის, ისეთი ფორმით, როგორცაა კარვების გაშლა.

შეჯამებისთვის კი შეიძლება ითქვას, რომ ორივე საქმეში აღწერილი გარემოებები, მათ შორის, პროტესტის ინიციატორები და მათი ორგანიზაციული თუ პარტიული კუთვნილება, ასევე პროტესტის ადრესატები და საკითხების პოლიტიკური სიმწვავე, ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ პოლიციის მხრიდან მათ ხელთ არსებული

118. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 255.

სამართლებრივი ბერკეტების თვითნებური და არამიზნობრივი გამოყენება ამ საქმეების პოლიტიკური სენსიტიურობით იყო განპირობებული.

თავი 5: წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფართოდ განმარტება

წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებები უკავშირდება არაერთი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ შეზღუდვას. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ პროექტის ფარგლებში ოთხი საქმე შეისწავლა, რომლებშიც წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით პირთა დაკავება შესაძლოა, დაკავებულთა პარტიულ ან ორგანიზაციულ კუთვნილებას, საჯარო შეკრებებზე სახელისუფლებო წრეების მიმართ გამოთქმულ კრიტიკას და მმართველი გუნდის მიერ წარმოებული პოლიტიკის კრიტიკას უკავშირდებოდეს.

ფაქტობრივი გარემოებები

- 2015 წლის 19 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, რომელიც მმართველი პოლიტიკური გუნდისა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული, პოლიციელებმა საპოლიციო/უფლების მზღუდავი ღონისძიებები განახორციელეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ორგანიზაციის, „თავისუფალი ზონის“ აქტივისტების, ლაჭა ჭილაძისა და სოსო მინდიაშვილის მიმართ.¹¹⁹ კერძოდ, ეს პირები დააკავეს აქციის მიმდინარეობისას, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით.

ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, მინდიაშვილისა და ჭილაძის დაკავებას საფუძვლად დაედო ამ პირების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, პოლიციის თანამშრომელთა მიმართ გამოხატული აგრესია და პოლიციელთა კანონისმიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. თავად ჭილაძე და მინდიაშვილი კი მიუთითებენ, რომ პოლიციის თანამშრომელმა თავად მოიხია ნიშანი ფორმიდან, რაც შემდგომ სამართალდამცველებმა ჭილაძისა და მინდიაშვილის მიერ სამართალდარღვევად მიიჩნიეს.

„თავისუფალი ზონის“ წევრების განმარტებით, დაკავების შემდგომ პოლიციამ ჭილაძე და მინდიაშვილი ხელებსა და ფეხებზე დადებული ბორკილებით ნოე რამიშვილის

¹¹⁹. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისათვის“ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე განმარტებების მიცემისას მინდიაშვილმა და ჭილაძემ განაცხადეს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან.

ქუჩაზე მდებარე შს სამინისტროს შენობის უკანა ეზოში გადაიყვანა, სადაც საღამოს რვიდან დილის სამ საათამდე მანქანაში დაჰყვეს. ამ პერიოდის განმავლობაში, მათივე განმარტებით, არ მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ საპირფარეშოთი, დაელიათ წყალი და დაკავშირებოდნენ ადვოკატს. ხელებსა და ფეხებზე დადებული ბორკილების ცოცხალი შეხსნის თაობაზე თხოვნას პოლიციელები პასუხობდნენ: „ზონელები ხართ და გაუძლებთ“.

მანქანაში 7 საათის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ჭილაძე და მინდიაშვილი ნარკოლოგიურ შემონმებაზე გადაიყვანეს. ნარკოტესტირების შედეგად დაკავებულებს

ნარკოლოგიური თრობა არ დაუდასტურდათ. დაახლოებით დილის ოთხ საათზე ისინი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. იზოლატორში მოთავსებამდე, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში, დაკავებულებს შესასვლელთან ფეხზე მდგომებს მოუწიათ ლოდინი. მეორე დღის 11 საათზე ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიყვანეს, მაგრამ სხდომის გადადების გამო, ჭილაძე და მინდიაშვილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სხდომის გადადების მიზეზად პოლიციელთა მიერ სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეომასალის ტექნიკური მიზეზით წარუდგენლობა დასახელდა.¹²⁰

• 2015 წლის 19 ივლისს საკრებულოს შენობასთან მიმდინარე აქციას – „**არა პანორამა**“, **10 პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება მოჰყვა**. დაკავების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა აქციის დროს ბანერზე გაკეთებული წარწერა – „პანორამა არა ყლე“, რაც პოლიციამ წვრილმან ხულიგნობად განმარტა. პოლიციელთა ქმედებების ერთ-ერთმა ადრესატმა ინტერვიუებისას აღნიშნა: „პროტესტი ეხებოდა ე.წ. პანორამის პროექტის მშენებლობას და სწორედ მის წინააღმდეგ იყო მიმართული. როდესაც უპირისპირდები იმ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს მმართველი ჯგუფი, ირიბად პოლიტიკურ ხასიათს იძენს მოვლენები და ნებისმიერი საზოგადოებრივი ქმედება ატარებს პოლიტიკურ ქვეტექსტს. ჩვენი ორგანიზაციის პირველადი მიზანი არ არის კონკრეტულად რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ წასვლა, შესაბამისად, ვცდილობთ, გავემიჯნოთ პოლიტიკას, მაგრამ ამგვარი ქმედებები არ არის დაცლილი პოლიტიკური ფონისაგან“. შესაბამისად, პოლიციელთა განსაკუთრებული მობილიზაცია და არაერთი პირის მიმართ რადიკალური საპოლიციო ღონისძიებების გამოყენება შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ აქციაზე განვითარებული მოვლენები უკავშირდება აქციის მონაწილეთა პროტესტის ადრესატს (ყოფილ პრემიერ-მინისტრს), აქტივობის პოლიტიკურ შინაარსსა და მმართველი პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკას.

დაკავებულთაგან რვა პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგა ასკ-ის 166-ე

120. ხელმისაწვდომია: <http://www.tzona.org/post/tavisufali-zonis-wevrebis-sasamartlo-procesi-1-oqtom-bristvis-gadaido?search=20-01-2016>(წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, ხოლო ორი პირის მიმართ ასკ-ის 166-ე და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით წარიმართა სასამართლო განხილვა. ათი დემონსტრანტის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემა ადმინისტრაციული ოქმის შემდგენი პირების განმარტებით, განაპირობა იმან, რომ ნატა ფერაძესა და დანარჩენ შვიდ დემონსტრანტს ეჭირათ ქალაქები უცენზურო სიტყვის შემცველი გამონათქვამებით, როგორც ზოგადი შინაარსის, ასევე მიმართული კონკრეტული პირის მიმართ, ხოლო აქციის ორი მონაწილე – ირაკლი მგალობლიშვილი და ალექსანდრე გიორგაძე ხელს უშლიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში და არ დაემორჩილნენ პოლიციელთა არაერთ მოთხოვნას. ამ უკანასკნელთა მიმართ სასამართლომ, მტკიცებულებათა არარსებობის მოტივით, სამართალწარმოება შეწყვიტა. დაკავებული 10 პირიდან კი 7-ის ქმედება წვრილმან ხულიგნობად შეფასდა და ადმინისტრაციული სახდელის სახით 100-100 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

• ექვსი აქტივისტის დაკავება მოჰყვა 2016 წლის 7 მაისს „პანორამა თბილისის“ მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციას. იმ ტერიტორიასთან მისასვლელი გზა, სადაც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, პოლიციის კორდონით იყო ჩაკეტილი. აქციის მონაწილეები პოლიციელებისგან მოითხოვდნენ, მიეცათ საშუალება, ამ ტერიტორიის გავლით გასულიყვნენ საჯარო ტერიტორიაზე.¹²¹ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისთვის (EMC)“ განმარტებების მიცემისას, ერთ-ერთმა აქტივისტმა აღნიშნა, რომ პოლიცია კერძო დაცვის კომპანიის ფუნქციას ასრულებდა და ასევე მიუთითა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემული¹²² ტერიტორიის გავლის გარეშე, დაგეგმილი მსვლელობის ფარგლებში დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხოდ ვერ მივიდოდნენ. კონსტანტინე გურული აქციაზე პოლიციელთა მრავალრიცხოვნობას სპეციალური, პოლიტიკური ბრძანების შესრულებას უკავშირებს და ასევე მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომებზე პოლიციელთა მიერ აქციის მონაწილეთა ტერიტორიაზე არშემვების მიზეზად სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტი დასახელდა. მსგავსად 2015 წლის ივლისის აქციისა, ამ შემთხვევაშიც პოლიციის მიერ სამართლებრივი ბერკეტების დაუსაბუთებელი და თვითნებური გამოყენება შესაძლოა, აქციის ადრესატსა და მმართველი პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ გამოთქმულ პროტესტს უკავშირდებოდეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მკაფიოდ არ იკვეთებოდა სამართალდამცავების მიერ აქციის დროს მოწყობილი კორდონის საჭიროება და ასევე ბუნდოვანია, რითი

121. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/articles/view/22430/video-qalaqi-chvenia-ara-panoramas--saprotesto-aqtisia-da-aqtivistebis-dakaveba> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

122. ხელმისაწვდომია: <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/378411-davith-narmania-botanikuri-baghis-mier-dathmobili-teritoria-kldovani-da-mechkheria.html?ar=A> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

იყო განპირობებული დემონსტრანტებისთვის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შეზღუდვა. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია 2016 წლის 10 მაისის დადგენილებაში პოლიციის საპოლიციო ღონისძიებების გამოყენების საჭიროებაზე არ მსჯელობს და მხოლოდ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ზოგად დანაწესზე მიუთითებს, რომლის თანახმადაც, საპოლიციო ღონისძიება უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან.

- აღნიშნული საქმე შეეხება 2016 წლის 27 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ თბილისის მერიასთან ბიძინა ივანიშვილისთვის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის გადაცემის გაპროტესტებას. აქციაზე მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირების ბრალდებით, ორი დღის შემდგომ, 2016 წლის 29 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დიდუბის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, დავით ნაფეტვარიძე თავის სახლთან დააკავეს. მას სამართალდამცველები ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას ედავებოდნენ, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირის განმარტებით, დაკავების საფუძველს ლანძღვა და უმისამართოდ გინება წარმოადგენდა.

2016 წლის 30 აპრილს, საქმეზე სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო,¹²³ ნაფეტვარიძე სასამართლომ სახდელის გარეშე გაათავისუფლა. ამ შემთხვევაშიც მთავარ სამართლებრივ პრობლემას პოლიციელთა მიერ წვრილმანი ხულიგნობის ზედმეტად ფართო განმარტება წარმოადგენდა. სასამართლომ 2016 წლის 30 აპრილის დადგენილებაში მიუთითა, რომ ქმედების ასკ-ის 166-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინების, აღნიშნული ქმედებით საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევის კუმულაციურად არსებობა. ამასთან, ამ ქმედების ჩადენა უნდა დასტურდებოდეს უტყუარი მტკიცებულებებით, რაც მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, წარმოდგენილი არ გახლდათ.

სამართლებრივი შეფასება

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში რამდენიმე სამართლებრივ პრობლემასთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ დაკავების პროცედურებსა და იმ გარანტიებზე, რომლითაც დაკავებული პირი უნდა სარგებლობდეს. ასკ-ის 245-ე მუხლი დამკავებელ მოხელეს ავალდებულებს, დაკავებულს მისთვის გასაგები ფორმით განუმარტოს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, დაკავების საფუძვლისა და ადვოკატის ყოლის უფლების შესახებ. მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, პირველ საქმეში მინდიაშვილისა და ჭილაძისთვის აღნიშნული უფლებები არავის განუმარტავს. მათი ახსნა-განმარტებების მიხედვით,

¹²³ ხელმისაწვდომია: <http://www.tzona.org/post/sasamartlom-davit-nafetvaridze-jarimis-gareshe-gaatavisuffla> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

დაკავებულებს ასევე არ მიეცათ შესაძლებლობა, დაკავშირებოდნენ ადვოკატს და მათ წინააღმდეგ მიმართულ სამართალწარმოებაში ჰქონოდათ ადეკვატური დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ყოველივე ეს კი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს კანონმდებლობის უხეშ დარღვევაზე.

იმავე საქმეზე, 2015 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველით, დაუსაბუთებლად მიიჩნია აქტივისტების მიერ ასკ-ის 173-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები. სასამართლოს განმარტებით, შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრული პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაწესში ჩართულ პატრულ-პოლიციელს სამხრე ვიდეოკამერა უნდა ჰქონოდა წესრიგში. აღნიშნული ვალდებულების შესრულება სამართალდამცავებმა ვერ დაასაბუთეს და ვერც შესაბამისი კადრები წარადგინეს პროცესზე. სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ ასეთი ჩანაწერის წარდგენა შესაძლებელი იყო ადგილზე მყოფი პოლიციის სხვა თანამშრომელთა სამხრე ვიდეოკამერებზე აღბეჭდილი კადრებით, თუმცა არც ასეთი ინფორმაცია წარედგინა სასამართლოს.

საჯარო შეკრების ფარგლებში პოლიციის ქმედებების მართლზომიერება და მიზანშეწონილობა იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, რამდენად ითვალისწინებენ სამართალდამცავები მათთვის ზოგადად დადგენილ სავალდებულო ქცევის წესებს. გასათვალისწინებელია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს მოლაპარაკების შესაძლებლობას, აქციის მონაწილესთან ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით. ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად, პოლიციის მიერ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებამდე, შესაბამისი პირი ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შექმნილ ვითარებაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია/ შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია, რომ პირველ საქმეში ჭილაძესა და მინდიაშვილს არ მიეთითათ უკანონო ქმედებებზე, არ გაუფრთხილებიათ და არც მათთან მოლაპარაკების მცდელობა ჰქონიათ დაკავებამდე. ყოველივე ზემოხსენებული აშკარად მიუთითებს, რომ პოლიციელთა უკანონო ქმედებების შედეგად დაუსაბუთებლად შეიზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. აღნიშნული შეზღუდვის მოტივი კი ჭილაძისა და მინდიაშვილის პოლიტიკურ აქტიურობას, პროტესტის ადრესატებსა და შინაარსს უკავშირდებოდა. გასათვალისწინებელია პოლიციელების ქცევა და გამოხატვა დაკავებული პირების მიმართ, როცა ისინი აქცენტს აკეთებდნენ დემონსტრანტების ორგანიზაციულ კუთვნილებაზე.

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს გამოხატვის უფლების შეზღუდვა იმის მიხედვით, თუ რა შინაარსის მატარებელია კონკრეტული ბანერი, თუ წარწერა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილების თანახმად, ტრანსპარანტზე გაკეთებული წარწერა – „პანორამა არა ყლე“, ექცევა ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული წერილმანი ხულიგნობის ფარგლებში, რადგანაც წერილმანი ხულიგნობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის ობიექტს საზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენს. სასამართლოს განმარტებით, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ საზოგადოებრივ ნორმათა ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდეს და ცხოვრების ნორმალურ რიტმს და გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში. სასამართლოს დადგენილებით, ხსენებული წარწერის გამოფენით დემონსტრანტებმა „არაფრად ჩააგდეს საზოგადოება“. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული წარწერა ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ დაადგინა, რომ წარწერა „პანორამა არა ყლე“ იყო როგორც ზოგადი ხასიათის, ისე მიმართული კონკრეტული პიროვნებისადმი, თუმცა არ უმსჯელია ხსენებული სლოგანის იმ კონკრეტულ ადრესატზე, რომლის პატივი და ღირსებაც შესაძლოა შელახულიყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ წარწერა „პანორამა არა ყლე“ უხამსი და უცენზური სიტყვის შემცველი გამონათქვამია, რომელიც გავლენას არ ახდენდა აქციაზე გაპროტესტებულ თემასთან დაკავშირებით აზრის ჩამოყალიბებაზე. მისივე განმარტებით, „გამონათქვამი არის უშინაარსო და მასში ყურადღებას იქცევს მხოლოდ უცენზურო სიტყვა, გამონათქვამს არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და იგი უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს,“ შესაბამისად, მისი აღკვეთით, სასამართლო დაიცავდა საზოგადოებრივ მორალს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უნგრეთის წინააღმდეგ მიღებული 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, რომელიც დემონსტრაციაზე კომუნისტური სიმბოლოს, ნითელი ვარსკვლავის გამოყენებას ეხებოდა, დაუშვებლად მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სისხლისსამართლებრივი ბუნების ნორმით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შეზღუდვა მხოლოდ უარყოფითი ემოციით არის განპირობებული და სახელმწიფოს შეზღუდვის სხვა რაციონალური მიზეზი არ გააჩნია. გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდავად სასამართლო სახელმწიფოსგან აუცილებელ სოციალურ საჭიროებას მოითხოვს და მიუთითებს, რომ აზრის გამოხატვის ფორმა უნდა შემოწმდეს მისი კონტენტის გათვალისწინებით და როდესაც სიმბოლოს რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მისი ვიწრო განმარტება კონვენციით გარანტირებული აზრის გამოხატვის თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვისთვის დიდ სივრცეს ტოვებს.¹²⁴

124. ხელმისაწვდომია: <http://www.hrr-strafrecht.de/hrr/egmr/06/33629-06.php> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ტრანსპარანტის მიმართ საქალაქო სასამართლოს შეფასებები მოცემულ საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოა. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებას არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ და გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს, რომ „სასამართლომ ვერ შეძლო დაკავებული პირების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში პოლიციელთა მხრიდან გაუმართლებელი ჩარევის სათანადოდ შეფასება. ამგვარად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად შეფასდა ის, რასაც საქართველოს კონსტიტუცია და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი“ სიტყვის თავისუფლებად მიიჩნევს. მოცემული გადაწყვეტილებით, კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი, რომელიც მათ შორის საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკითაც მკვიდრდებოდა, ძალიან დაბლა დაეცა.“¹²⁵

განცხადება, რომელსაც ათი არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს, მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც, „გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც გულგრილად ხვდებიან ან ნეიტრალურად მიიჩნევენ სხვა ადამიანები, არამედ ასევე იმ იდეასა და ინფორმაციასაც, რასაც საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი შეურაცხმყოფელად, ამაღელვებლად ან შოკისმომგვრელადაც კი მიიჩნევს.“¹²⁶ იმის გათვალისწინებით, რომ ეს სლოგანი გამოიყენეს მშვიდობიანი აქციის პირობებში (რომელიც აპროტესტებდა სახელმწიფოს მოქმედებას), ამასთანავე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემასთან დაკავშირებით და მის მიზანს წარმოადგენდა მწვავე პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, ეს წარწერა უხამსობად და მოქალაქეთა დასჯის კანონიერ საფუძვლად ვერ მიიჩნეოდა. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით დაუშვებელია პლურალისტური და თავისუფალი საჯარო სივრცის იდეისთვის საფრთხის შექმნა, სახელმწიფოს მიერ ზნეობრივი თუ მორალური საფუძვლებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე სასამართლო განხილვისას საკმარისად არ შეაფასეს და იმსჯელეს წვრილმანი ხულიგნობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტზე – საზოგადოებრივი წესრიგისა თუ მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევაზე. აღნიშნული ელემენტის არარსებობის შემთხვევაში კი ვერც სამართალდარღვევა გვექნება, თუმცა, რეალურად, რამდენად არღვევდა წესრიგს, რა უშუალო საფრთხე შეექმნა საზოგადოებრივ თუ მოქალაქეთა სიმშვიდეს წარწერით – „პანორამა არა ყლუ“, ამაზე სასამართლოს არ აქვს შესაბამისი დასაბუთება.

125. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/07/31/არასამთავრობო-ორგანიზა-24/> (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

126. იქვე.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ წერილმან ხულიგნობასთან დაკავშირებული 2015 და 2016 წლის სასამართლო დადგენილებების შესწავლამ და ანალიზმა აჩვენა, რომ ასკ-ის 166-ე მუხლში მოცემულ „საზოგადოებრივ ადგილებში ლანძვლა-გინების“ მნიშვნელობაზე სასამართლო იშვიათად მსჯელობს და პოლიციის თანამშრომელთა ზოგად ფორმულირებას აღნიშნულთან დაკავშირებით შეფასების გარეშე ტოვებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს აწესებს და მიუთითებს, რომ „გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებაა, მაგრამ ამ უფლებების სრულყოფილი განხორციელებისთვის მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიები არ კმარა, საჭიროა, რომ თავად საზოგადოება იყოს შემწყნარებელი ინდივიდის უფლებისადმი, თავისუფლად და უშიშრად გამოხატოს თავისი აზრი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად. დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ზნეობრივი ნორმების ან მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვა ჯგუფებზე თავსმოხვევა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით.“

განხილული სამართლებრივი პრობლემების ნათელი ილუსტრირებაა დავით ნაფეტვარიძის საქმეც, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აქციიდან ორი დღის შემდეგ დააკავეს პოლიციელებმა და გაუგებარია, ადმინისტრაციული დაკავება რა ფორმით ასრულებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე საქმის წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიებას.¹²⁷ ამავედროულად, დაკავების მოტივი იყო ორი დღით ადრე გამართულ დემონსტრაციაზე მის მიერ გამოთქმული უცენზურო სიტყვები (თუმცა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებაც ვერ დადასტურდა).

ნაფეტვარიძემ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისათვის (EMC)“ განმარტებების მიცემისას აღნიშნა, რომ მისი დაკავება დაახლოებით ათი სამართალდამცავი პირის მობილიზებით მოხდა და პოლიციას, მისი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, არ განუმარტავს დაკავების საფუძველი. ნაფეტვარიძე ჯერ პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც დაკავების საფუძველი განემარტა, ხოლო შემდგომ წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. მეორე დღეს, დაახლოებით დღის 12 საათზე, ის სასამართლოს დადგენილების საფუძველზე გაათავისუფლეს.

რაც შეეხება სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ერთ-ერთ მაგალითში ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სასამართლო განხილვისას დაცვის მხარის ადვოკატი მიუთითებდა, რომ პოლიციელის

127. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავება, სხვა საფუძველთან ერთად, არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფის საშუალება.

კანონიერი მოთხოვნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით უნდა შეფასებულიყონ დივიდუალურად, ანუ როგორც თავად მოთხოვნის დასაბუთებულობა და კანონიერება, ისე მისდამი დაუმორჩილებლობა. ამ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის კონკრეტული ქმედების კანონიერებაზე მსჯელობა განსახილველი საქმის ფარგლებში შეფასების საგანს არ წარმოადგენდა. ნორმის ამგვარი განმარტების პირობებში, პოლიციის მუშაკს აქვს მოქმედების შეუზღუდავი სივრცე, მოქალაქეს მოსთხოვოს ისეთი ქმედება, რომელიც უშუალოდ კანონიდან არ გამომდინარეობს.

ამ გადანყვეტილების საწინააღმდეგო განმარტებას აკეთებს ამავე სამართლებრივ საკითხთან მიმართებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილებაში, რომლის თანახმადაც, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების მოთხოვნებისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობად კვალიფიკაციისთვის შემდეგი სტანდარტია დადგენილი:

- მოთხოვნის ან განკარგულების ავტორი უნდა იყოს აუცილებლად სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი;
- სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მოთხოვნა ან განკარგულება უნდა იყოს კანონიერი, ანუ საფუძვლად ედოს სამართლის კონკრეტული ნორმა, რომელიც აღნიშნულ სუბიექტს ანიჭებს პირისგან კონკრეტული შინაარსის ქმედების განხორციელების ან ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას;
- სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი მოთხოვნის წაყენების ან განკარგულების გაცემისას უნდა ასრულებდეს სამსახურებრივ მოვალეობას, მის მიერ გაცემული განკარგულება (მოთხოვნა) უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს მის სამსახურებრივ საქმიანობას;
- პირმა უნდა გამოამჟღავნოს კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან გამოითხოვა 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის მაისის ჩათვლით თითოეულ თვეში ორ-ორი დადგენილების ასლი, რომელთაგან ერთ-ერთით დასტურდება ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევების არსებობა, მეორეთი კი აღნიშნული სამართალდარღვევები არ არის დადგენილი. სასამართლოების მიერ მონოდებული დადგენილების ანალიზის შედეგად, ნათელი ხდება, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

საკითხთან დაკავშირებით, მაგალითისათვის შეგვიძლია, მოვიყვანოთ გერმანული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ მხრივ ერთიანია და მკაცრად განერილ

კრიტიკერიუმებს ემყარება. კერძოდ, პოლიციელისთვის (სამხედრო პირის, სასამართლო აღმასრულებლისა და სხვ.) კანონიერი ქმედების განხორციელებისას ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინააღმდეგობის განწევა ან/და მასზე თავდასხმა სისხლისსამართლებრივად ისჯება, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 113-ით. გერმანული კანონმდებლობა აღნიშნულ ნორმას იყენებს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ისე სისხლისსამართლებრივი ქმედების მიმართ. კანონმდებელი მოითხოვს, პოლიციელის მოქმედება იყოს მართლზომიერი, რაც პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებების მიხედვით გულისხმობს, რომ პოლიციელი მოქმედებს საგნობრივი (ფაქტობრივი, ობიექტური, რელევანტური) და ადგილობრივი განსჯადობის მიხედვით და ქმედება ეყრდნობა წინასწარ განერილ ფორმალურ წინაპირობებს.¹²⁸ კანონიერ საფუძველთან ერთად პოლიციელის მოქმედება მისი მიზნის, განხორციელებისა და თანმდევი გარემოებების გათვალისწინებით, ზუსტად უნდა იყოს ნორმის ადრესატისთვის შესაცნობი, როგორც მართლზომიერი ქმედება.¹²⁹ ამასთანავე, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამოწმებს, თუ რამდენად საჭირო და გამართლებული იყო პოლიციის მოხელის მოქმედება მოქალაქეთა დაცულ უფლებებში ჩამრევი ღონისძიებების გამოყენების დროს. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოებს მიუთითებს, გამოიყენოს პოლიციის მოქმედების კანონიერების (მართლზომიერების) შემოწმების შედარებით მკაცრი სტანდარტი ისეთ შემთხვევებში, როდესაც პოლიციელის მოქმედებები მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი უფლების წინააღმდეგ, როგორცაა შეკრების თავისუფლება.¹³⁰

თავი 6: შეჯამება და რეკომენდაციები

პროექტის გუნდის მიერ განხილული ათი საქმის შეფასება საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს პოლიციის ფუნქციური დამოუკიდებლობისა და მისი პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფლების ხარისხი. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ გაანალიზებულ ყველა საქმეში საპოლიციო ღონისძიებები მიმართულია ან პოლიტიკური ოპონენტის, ან აქტივისტების წინააღმდეგ, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ მმართველი გუნდის პოლიტიკის მიმართ.

მოქმედი რეგულაციები ამომწურავად არ განსაზღვრავს იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების საფუძვლებს და მისი გასაჩივრებისას არ უზრუნველყოფს პირს დაცვის ეფექტიანი გარანტიებით.

128. ხელმისაწვდომია: http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2007/04/rk20070430_1bvr109006.html აბზაცი 37 (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016)

129. ხელმისაწვდომია: http://www.justiz.nrw.de/nrwe/olgs/hamm/j2016/3_RVs_11_16_Beschluss_20160225.html აბზაცი 9. (წვდომის თარიღი: 5 აგვისტო 2016).

130. იქვე. აბზაცი 38.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეების შედეგად გამოვლენილ ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს პოლიციის მოხელეთა მიერ მოქალაქეების იძულებით ნარკოლოგიურ შემონმებაზე არამიზნობრივი და უსაფუძვლო გადაყვანამ პირის დროებითი იზოლაციის ან დისკრედიტაციის მიზნით.

გეგა გობეჯიშვილისა და ნატა ფერაძის ნარკოტესტირების შემთხვევები პოლიციელთა მიერ ხაზს უსვამს შემთხვევითი ნარკოლოგიური შემონმების არსებული სამართლებრივი რეგულირების ცვლილებისა და დახვეწის აუცილებლობას. კერძოდ, ნარკოტესტირების დაუსაბუთებელ გამოყენებას ვერ აზღვევს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქცია, რომელიც არანებაყოფლობითი ნარკოტესტირების ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებს

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, სამინისტროს სსიპ – „112-ში“ შესულ შეტყობინებას, ან უშუალოდ პოლიციისათვის პირდაპირი შეტყობინების გზით იდენტიფიცირებული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ამ გზით კი პოლიციელებს უნარჩუნდებათ თვითნებობის შესაძლებლობა და, თავისთავად, არსებობს მსგავსი თვითნებობის გამოყენების რისკი, მათ შორის – პოლიტიკური მიზნით.

ნარკოტესტირების ხსენებული რეგულირების პრობლემურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სასამართლო ვერ ამოწმებს იმ ოპერატიულ ინფორმაციას, რომელიც საფუძვლად დაედო პირის იძულებით ნარკოლოგიურ შემონმებას. არაეფექტიანია ნარკოტესტირების პროცედურის მოქალაქის მიერ გასაჩივრების მექანიზმიც და ამ დროს საჩივრის ავტორი არასაკმარისი სამართლებრივი ბერკეტებითაა აღჭურვილი, რადგან სწორედ მას ეკისრება ნარკოლოგიური შემონმების თაობაზე სათანადო საფუძვლების არარსებობის მტკიცების ტვირთი. ამავდროულად, მან სამოქალაქო წესით უნდა ამტკიცოს მატერიალური ან მორალური ზიანის დადგომა, რაც, აგრეთვე, დამატებით სირთულეს წარმოადგენს. პოლიციის თანამშრომლის მიმართ კი სასამართლო ხშირად „კეთილსინდისიერების პრეზუმფციას“ იყენებს და მის ქმედებებს მეტ ნდობას უცხადებს, რაც საბოლოოდ, კიდევ უფრო ამძიმებს მოქალაქის ისედაც არათანაბარ პროცესუალურ მდგომარეობას.

მონიტორინგმა აგრეთვე გამოავლინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიარსებული ნორმების არაერთგვაროვანი განმარტებისა და ადმინისტრაციული დაკავების დაუსაბუთებელი და თვითნებური გამოყენების პრობლემაც, რაც ხშირად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

მონიტორინგმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა არაერთგვაროვანი განმარტებისა და ადმინისტრაციული დაკავების დაუსაბუთებელი და თვითნებური გამოყენების პრაქტიკა გამოავლინა, რაც ხშირად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საშუალებას წარმოადგენს.

ამის მაგალითებია თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებაზე მითითებით პირების დაკავება, რა დროსაც სამართალდამცავთა ფართოდ ხდებოდა ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის ინტერპრეტაცია. **აღნიშნული ნორმა საკმარისი სიცხადით არ განსაზღვრავს, გამოსატყვის თავისუფლების პირობებში სად არის პირი უფლებამოსილი, განათავსოს სხვადასხვა სახის წარწერა, ნახატები, სიმბოლოები ისე, რომ ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არ შეფასდეს. ნორმის შინაარსი გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლევა.**

ნორმის დისპოზიციის ბუნდოვანებას თან ერთვის შესწავლილ საქმეებში სასამართლოს დადგენილებების შაბლონური ხასიათი და რელევანტურ საკითხებზე არასაკმარისი მსჯელობა. ერთ-ერთ დადგენილებაში სასამართლო 150-ე მუხლის პირველი ნაწილის დაცვის ობიექტად მოიაზრებს ნებისმიერ ადგილს, რომელიც „საამისოდ არ არის გამოყოფილი“, ჩერგოლიევილის საქმეში კი გამოსატყვის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნად სასამართლო თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური ჩარევისგან დაცვას და ზოგადად სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასახელებს. ნორმის ასეთი ფართო ინტერპრეტაცია კი სახიფათოდ ზრდის გამოსატყვის თავისუფლებით დაცულ სფეროში დაუსაბუთებლად ჩარევის საფრთხეს. ამ კონტექსტში პრობლემურია აღნიშნულ სამართალდარღვევაზე იძულების მექანიზმად დაკავების გამოყენებაც, რადგან თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება არ ხდებდა ასკ-ის 246-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ სამართალდარღვევათა ჩამონათვალში, რომლის არსებობისას სამართალდამცავებს ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების უფლება აქვთ.

პროექტის ფარგლებში განხილულმა ორმა შემთხვევამ გამოკვეთა პოლიციის მიერ შეკრების და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოძრაობის ხელის შეშლის მოტივით. ამ შემთხვევებში სამართლებრივი პრობლემა მდგომარეობდა პოლიციის თანამშრომელთა მიერ შეკრების უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვაში, რა დროსაც სამართალდამცავებმა აქციის ორგანიზატორებს წაუყენეს ის მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც არ ევალეობოდათ მათ კანონმდებლობის თანახმად.

კვლევამ აჩვენა, რომ პრობლემას წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან წვრილმანი ხულიგნობის ფართო და ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი გამოყენება საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას.

პრობლემურია საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის, ან წვრილმანი ხულიგნობის ფართო განმარტება, რასაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს მოქალაქეთა დაუსაბუთებელი დაკავება.

განხილული შემთხვევებიდან პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით პირთა დაკავება 4 საქმეში აღინიშნა, საიდანაც სამ საქმეში სასამართლომ, საკმარის მტკიცებულებათა არარსებობის გამო, არ დაადგინა სამართალდარღვევა.

აღნიშნულ საქმეებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საკმარისი სიცხადით არ მოწმდება, თუ როდის არის პოლიციელის მოთხოვნა კანონიერი, აგრეთვე, არ მიეთითება მოთხოვნის სამართლებრივი და კანონისმიერი საფუძველი. პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიერ რომელიმე კონკრეტული კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მტკიცების ნაცვლად, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში პოლიციელები მიუთითებენ შაბლონურ ფრაზას „არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და გაუწია მას წინააღმდეგობა“, კონკრეტული გარემოებების აღწერის გარეშე.

პოლიციელთა მიერ ამ ნორმის ზედმეტად ფართო განმარტებას თან სდევს სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა. ნატა ფერადის შემთხვევაში სასამართლო პირდაპირ უარს ამბობს პოლიციელის მოთხოვნის კანონიერი საფუძვლების შემოწმებაზე, თუმცა პროექტის გუნდის მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკიდან ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო ამ საკითხს სწავლობს და სამართალდამცავების მოთხოვნის ან განკარგულების კანონიერად მიჩნევისათვის ამოწმებს კონკრეტული ნორმის არსებობას, რომელიც შესაბამის პოლიციელს ანიჭებს პირისგან კონკრეტული შინაარსის ქმედების ან ქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას.

სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში ასევე ხაზს უსვამს: (1) სამართალდამცავი პირის მოთხოვნის წაყენების ან განკარგულების გაცემისას მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების აუცილებლობას; (2) მოთხოვნის კავშირს უშუალოდ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და (3) პირის მიერ ამ კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობის გამომჟღავნებას. სამწუხაროდ, პოლიციელის მოთხოვნის კანონიერება ყოველთვის ამ კრიტერიუმების გამოყენებითარ მოწმდება და სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რის გამოც პოლიციელთა მიერ ასკ-ის 173-ე მუხლის დაუსაბუთებელ გამოყენებას საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების დროს ადეკვატური სასამართლო კონტროლი ვერ აბრკოლებს.

კვლევამ აჩვენა ასევე ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების პრობლემურობა ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევებზე. აღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციით და დაკავების მექანიზმის გამოყენებით უხეშად ირღვევა შეკრების უფლება, აღნიშნული კი საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის სახელით გამოსატყვის თავისუფლებას უქმნის სერიოზულ საფრთხეს.

შესწავლილ საქმეებში მსჯელობის საგანი იყო, თუ როდის ექცევა კონკრეტული გამოსატყვა წვრილმანი ხულიგნობის მუხლის დისპოზიციამი. ეს საკითხი ერთიანი

კრიტიკრიუმებით არ არის განსაზღვრული, რაც ნორმის თვითნებური გამოყენების საშუალებას იძლევა. შეურაცხმყოფელი გამონათქვამის კონკრეტული ადრესატი, მისი პატივისა და ღირსების შელახვა და ამასთან ერთად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საერთაშორისო პრაქტიკით, ერთობლიობაში წვრილმანი ხულიგნობის განმსაზღვრელ წინაპირობად მიიჩნევა. ალექსი მაჭავარიანის შემთხვევაში, სამართალდამცავებმა ფრაზა – „სამარცხვინო პოლიცია“ წვრილმან ხულიგნობად დააკვალიფიცირეს, სასამართლომ კი მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით, საქმეზე გამამართლებელი დადგენილება გამოიტანა, თუმცა არ უმსჯელია იმაზე, სადავო ფრაზა უნდა მიჩნეულიყო თუ არა წვრილმან ხულიგნობად. ხოლო „პანორამის“ აქციისას გამოყენებული სლოგანი – „პანორამა არა ყლე“ პოლიციის თანამშრომლებმაც და სასამართლომაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და წვრილმან ხულიგნობად შეაფასეს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ უმსჯელია, რაში გამოიხატა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

წვრილმანი ხულიგნობის ფართოდ განმარტების გარდა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამ სამართალდარღვევის ფარგლებში საზოგადოებრივი მორალის დაცვის სახელით კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის რისკი. სასამართლომ აქციაზე გამოყენებული ტრანსპარანტი – „პანორამა არა ყლე“ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უღირს ქცევად შეაფასა. ადრესატის დაკონკრეტების გარეშე სლოგანი მიიჩნია, როგორც ზოგადი ხასიათის მქონედ, ისე კონკრეტული პირისადმი მიმართვად, ვისი ღირსებაც შეიძლება შელახულიყო და ტრანსპარანტის აღკვეთა დაასაბუთა „საზოგადოებრივი მორალის დაცვის“ აუცილებლობით. ამგვარი განმარტებები არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო სივრცეში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტებს.

პროექტის გუნდის მიერ შესწავლილმა საქმეებმა გამოავლინა კიდევ ერთი დარღვევა, რომელიც უკავშირდება პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკავების პროცედურის დაუცველობას.

კონკრეტული საქმეების შესწავლამ, პოლიციელთა მიერ დაკავების პროცედურის უხეში დარღვევის არაერთი შემთხვევა გამოავლინა.

ადმინისტრაციული დაკავების დროს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უფლებებელყოფილი იყო დაკავებულისათვის მისი უფლებების, ჩადენილი სამართალდარღვევის სახეობის, დაკავების საფუძვლისა და ადვოკატის უფლების განმარტების ვალდებულება. აგრეთვე, რამდენიმე საქმეში დროულად არ მოხდა დაკავებულების უახლოეს სამართალდამცავ დანესებულებაში გადაყვანა. სამ საქმეზე მნიშვნელოვან სამართლებრივ დარღვევას წარმოადგენდა რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებულთა გაჩერება პოლიციის სამსახურებრივ ავტომანქანაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციის ფუნქციური დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად პროექტის გუნდი წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- აუცილებელია ნარკოლოგიური შემონმების არსებული სამართლებრივი რეგულირების შემდგომი დახვეწა, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიციის მოხელეთა მიერ ამ ინსტრუმენტით რიგი კონსტიტუციური უფლებების დარღვევა;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დისპოზიციები, რომლებიც ხშირად ასოცირდება შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების შემზღუდველ გარემოებებად. დაზღვეული უნდა იყოს ამ ნორმების ფართო და დაუსაბუთებელი ინტერპრეტაციების რისკი;
- მნიშვნელოვანია, მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლების პროფესიული გადამზადება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საპოლიციო ინსტრუმენტებით ამ უფლების დაუსაბუთებელი და თვითნებური შეზღუდვის შემთხვევები;
- დაბოლოს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფართომასშტაბიანი და სისტემური რეფორმა, მათ შორის, საპროცესო და მატერიალური ნორმების გადასინჯვა და „სისხლისსამართლებრივი ბუნების“ მქონე გადაცდომებისა და სანქციების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ინტეგრირება, სრულყოფილი პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით.

თავი 1: პოლიტიკური და იურიდიული კონტექსტი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მომზადებულ საარჩევნო პროგრამაში¹³¹ „ქართულმა ოცნებამ“ ვრცელი ადგილი დაუთმო პოლიციის თემას. ერთი მხრივ, ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ პოლიცია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში იყო უკიდურესად პოლიტიზებული:

„ამ რეჟიმის მთავარი საყრდენი უაღრესად პოლიტიზებული პროკურატურა და პოლიციაა. ისინი, ნაცვლად იმისა, რომ ემსახურებოდნენ სამართლის დაცვას, იქცნენ ხელისუფლების რეპრესიული მანქანის მამოძრავებელ ძალად, ხოლო სასამართლო – პროკურატურის დანამატად.“

მეორე მხრივ, მათ პროგრამაში წარმოადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს დეპოლიტიზაცია შეადგენდა:

„პოლიციის დეპოლიტიზების მიზნით ერთმნიშვნელოვნად უნდა განისაზღვროს პოლიციისა და საშინაო საქმეთა სამინისტროს ურთიერთდამოკიდებულება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციის დამოუკიდებლობა და მისი დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისაგან.“

„პოლიციელები გათავისუფლდებიან პოლიტიკური წნეხისაგან და შეიქმნება მათი საქმიანობის ხელშეუხებლობის სამართლებრივი გარანტიები. მართლწესრიგის უზრუნველმყოფი ორგანოების დეპოლიტიზება და მათი დამოუკიდებლობა არის მოქალაქეების, მათ შორის, ამ ორგანოების თანამშრომელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.“

2012 წლის არჩევნების შემდგომ ახალი ხელისუფლების პირველი შს მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ამ რეფორმის არსს შემდეგნაირად ხსნიდა:

„მთავარი განსხვავება ძველსა და ახალ საპატრულო პოლიციას შორის არის ის, რომ თქვენ აღარასდროს მოგინევთ პოლიტიკური დავალებების შესრულება. პოლიციის დეპოლიტიზაცია სწორედ ამას გულისხმობს.“

მომდევნო წლებში ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამ რეფორმის შემდეგ პოლიცია დეპოლიტიზებული გახდა. ამას 2016 წელს გამოქვეყნებულ წერილში¹³² ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმაც გაუსვა ხაზი:

131. <https://www.scribd.com/doc/104513449/პლოკ-ბიძინა-ივანიშვილი-ქართული-ოცნების-საარჩევნო-პროგრამა>

132. <http://2030.news/?newsid=7525>

„მოვასდინეთ პოლიციის დეპოლიტიზაცია და მას ველარავინ გამოიყენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისთვის; გავაუქმეთ სოდი და კუდი, რომლებიც მოქალაქეების დაშანტაჟებით და ბიზნესების წართმევით იყვნენ დაკავებულები. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ჩამოვაშორეთ შს-ს.“

2013 წლის კანონში¹³³ პოლიციის შესახებ პოლიტიკურ ნეიტრალობის პრინციპი დადგინდა სხვადასხვა მუხლით:

მუხლი 8. პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები

1. პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.

მუხლი 11. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

მუხლი 14. პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი პოლიციელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს უპარტიოების პრინციპის დაცვით. პოლიციელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისათვის.

ამასთან, პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი ასახულია საქართველოს პოლიციის ეთიკის ახალ კოდექსშიც:¹³⁴

1.8. პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ყველა ადამიანის პიროვნულ ღირსებას, მოეპყრას მათ სამართლიანად და მიუკერძოებლად მიუხედავად პირთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, სოციალური კუთვნილებისა, წარმომავლობისა, განათლებისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა ან/და სექსუალური ორიენტაციისა.

133. <http://police.ge/files/sajaro-informacia/policiis%20shesaxe.pdf>

134. <http://police.ge/files/pdf/etikis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20final-geo.pdf>

თავი 2: კონკრეტული საქმეების ანალიზი

თემა პირველი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია 2013 წლის 19 მარტს

კონტექსტი: 2013 წლის 19 მარტს ირაკლი ღარიბაშვილს (იმჟამინდელ შს მინისტრს) პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაუსვა შეკითხვა 19 აპრილს დაგეგმილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქციის შესახებ. ამ აქციისათვის ენმ რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა და მისი წევრების განცხადებით, საპროტესტო გამოსვლის მიზანი „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა და რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე ქვეყნის შესაძლო დაბრუნება“ იყო.

ტექსტი:

ჟურნალისტი: „შსს რამდენად მომზადებული ხვდება 19 აპრილის აქციას, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს დაგეგმილი? დღეს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ აქციაზე მოსალოდნელი არის სხვადასხვა ტიპის პროვოკაცია და ამას გეგმავენ თავად ნაციონალები. ეს დაიბეჭდა პრესაში. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ტიპის გეგმა, მით უმეტეს, რომ ჩვენ წინ გვექონდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები, სადაც მუდმივად იყო აპელირება იმაზე, რომ თქვენ თავი ვერ გაართვით დაკისრებულ მოვალეობას, იქ არ იყო წესრიგი და ა.შ. გეგმა, რომლითაც დაცული იქნება აქციის მონაწილეების უსაფრთხოება და ასევე, ენმ-ს ლიდერების უსაფრთხოება“.

ირაკლი ღარიბაშვილი: „პირველ რიგში რა მინდა ვთქვა, ძალიან გაზვიადებულია ზოგადად წარმოდგენა 19 აპრილის ე.წ. აქციის თაობაზე. მე უბრალოდ არ მესმის, რისი მოლოდინი აქვთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა თუ ვინ ატარებს აქციას, ჩვენ დავიცავთ წესრიგს, ისეთს, როგორც არის მისაღები. თუ რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, ეს იქნება თავშივე აღკვეთილი და ყველა პროვოკატორი იქნება დასჯილი. ეს არის ჩემი პასუხი. ჩვენ ნებისმიერ პროვოკაციას გავუსწორდებით და გავუმკლავდებით შესაბამისად“.

წყარო: <http://www.myvideo.ge/v/1982912>

ჟურნალისტი შს მინისტრს აძლევს ორ შეკითხვას - „შსს რამდენად მომზადებული ხვდება 19 აპრილის აქციას, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს დაგეგმილი?“ და „თქვენ თუ გაქვთ რაიმე ტიპის გეგმა... რომლითაც დაცული იქნება აქციის მონაწილეების უსაფრთხოება და, ასევე, ენმ-ს ლიდერების უსაფრთხოება?“ თუმცა ამ ორ შეკითხვას (და მათ ნაწილებს) შორის მოთავსებულია მთელი რიგი ინფორმაცია, რომელიც შეკითხვებს კონკრეტულ მიმართულებებს აძლევს. ერთი მხრივ, ჟურნალისტს სურს, პირველი კითხვა წაიყვანოს „დაგეგმილი პროვოკაციების“

კუთხით, მეორე მხრივ კი, შემთხვევით, რომლის დროსაც ღარიბაშვილმა „დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა“. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი დიალოგში ერთგვარ სიტუაციურ დეტერმინანტს წარმოადგენს. ის აკონტროლებს თემატიკას და ამავდროულად, ჰკარნახობს მინისტრს მსჯელობის მიმართულებას, ჩარჩოს. ასეთ ვითარებაში ღარიბაშვილს შეუძლია, აირჩიოს ორი სტრატეგია – **ნორმატიული** – ალიაროს შეთავაზებული სქემა და უპასუხოს ავტორის მოლოდინის, საუბრის **სქემის** შესაბამისად ან მიმართოს **კრეატიულ** სტრატეგიას და უარყოს სქემა, რითაც შექმნის საუბრის ახალ **სცენარს**.

აღსანიშნავია, რომ ღარიბაშვილი ამ შემთხვევაში ჟურნალისტს არ პასუხობს მხოლოდ შს მინისტრის პოზიციიდან, ანუ მისი გამომხატველობითი ღირებულება არ არის მხოლოდ შს მინისტრის იდენტობასთან დაკავშირებული. ის კომენტარში ავლენს თავის პოლიტიკურ იდენტობასაც. მთლიანი განცხადება შეიძლება დაიყოს სამი გამომხატველობითი ღირებულების მქონე ელემენტად – თავდაპირველად განცხადება იწყება პოლიტიკური იდენტობის მქონე პირის გამომხატველობითი ღირებულებებით, შემდეგ შემოდის შს მინისტრის იდენტობა, ბოლო ნაწილი კი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც შერეული – როგორც პოლიტიკური ფიგურის, ისე შს მინისტრის პოზიცია.

პოლიტიკური იდენტობის მატარებლის გამომხატველობითი ღირებულებები: ღარიბაშვილი 19 აპრილის აქციას აფასებს როგორც **გაზვიადებულ მოვლენას**, რითაც ცდილობს, ხაზი გაუსვას მისი მნიშვნელობის სიმცირეს. ამისათვის ის აქციას უწოდებს „**ეგრეთ ნოდებულსაც**“, ამით მიანიშნებს, რომ 19 აპრილის აქცია მისთვის სრულფასოვან პოლიტიკურ მანიფესტაციად არ განიხილება. ამასთანავე, ეჭვი შეაქვს მის შედეგებშიც – „**მე უბრალოდ არ მესმის, რისი მოლოდინი აქვთ**“. ამ პოზიციით ნაწარმოები დისკურსი გულისხმობს იმას, რომ „**ნაციონალური მოძრაობის**“ პოლიტიკური შესაძლებლობები ბევრად უფრო მწირია როგორც მათ შესახებ არსებულ „**ზოგად წარმოდგენასთან**“, ასევე მათივე მოლოდინთან შედარებითაც.

შს მინისტრის იდენტობის გამომხატველობითი ღირებულება: ამ შემთხვევაში, ღარიბაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი სამინისტრო უზრუნველყოფს წესრიგს, ყველაფრის მიუხედავად. თუმცა აქ აღსანიშნავია საკვანძო ლოგიკური კავშირი წინადადებებს შორის – „**მე უბრალოდ არ მესმის, რისი მოლოდინი აქვთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა** თუ ვინ ატარებს აქციას, ჩვენ დავიცავთ წესრიგს ისეთს, როგორც არის მისაღები.“ – ეს კავშირი არის „**მაგრამ ... მიუხედავად იმისა**“, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ **19 აპრილის აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა აქციის ორგანიზატორებს შესაძლოა, არ ეკუთვნოდეთ, თუმცა სამინისტრო წესრიგს მაინც უზრუნველყოფს**. ეს ლოგიკური კავშირი შესაძლოა, მივაკუთვნოთ იდეოლოგიურ ლოგიკურ კავშირთა რიგს, რადგან ღარიბაშვილისათვის, იდეოლოგიურად, 19 აპრილის აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის იგივე, რაც სხვა აქციებისა და მანიფესტაციებისას. ასევე, შს მინისტრი მიანიშნებს, რომ წესრიგის დაცვა იქნება „**მისაღები**“, თუმცა ეს სიტყვა შეიძლება ითარგმნოს, როგორც „**კანონის ფარგლებში მოქცეული**“, ან „**მისაღები სახელისუფლებო ძალებისთვის**“, ან

„მისაღები ნაციონალური მოძრაობისთვის“. აღსანიშნავია, რომ ეს სამი განსხვავებული „თარგმანი“ ნებსრიგის დაცვის სრულიად განსხვავებულ აღქმას გულისხმობს.

შერეული იდენტობის გამომხატველობითი ღირებულებები: ტექსტის მესამე ნაწილში გვხვდება შემდეგი წინადადებები: „*თუ რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, ეს იქნება თავშივე აღკვეთილი და ყველა პროვოკატორი იქნება დასჯილი. ეს არის ჩემი პასუხი. ჩვენ ნებისმიერ პროვოკაციას გავუსწორდებით და გავუმკლავდებით შესაბამისად*“. აქ უკვე შს მინისტრი მიმართავს იმპერატივს („*იქნება აღკვეთილი*“, „*იქნება დასჯილი*“). ეს შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ შს მინისტრის იდენტობის გამომხატველობით ღირებულებად, თუმცა მას წინ უძღვის სავარაუდო გამომხატველობითი ღირებულება – „*თუ რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი*“, რაც უკვე პოლიტიკური იდენტობის გამომხატველობითი ღირებულებაა. ამ შემთხვევაში, ღარიბაშვილი იყენებს იმავე **სტერეოტიპულ პატერნს**, რასაც ჟურნალისტი, როდესაც ეს უკანასკნელი ახმაურებს „*პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას*“, რომ პროვოკაციას თავად „*ნაციონალური მოძრაობის*“ წევრები გეგმავენ. ეს სტერეოტიპული პატერნია შეხედულება იმის თაობაზე, რომ ენმ-ს წევრები ქვეყანაში სტაბილურობას უქმნიან საფრთხეს.

იმპერატიულ გამოხატვას აძლიერებს მინისტრის ე.წ. **over wording**: „*პროვოკაცია იქნება აღკვეთილი და პროვოკატორი იქნება დასჯილი*“; „*ჩვენ ნებისმიერ პროვოკაციას გავუსწორდებით და გავუმკლავდებით შესაბამისად*“. ეს ორი წინადადება არსობრივად ერთი და იგივეა, თუმცა მინისტრი ჟურნალისტის საპასუხოდ **over wording**-ს იყენებს თავისი მზადყოფნის ხაზგასასმელად, რითაც იმავდროულად მიანიშნებს, რომ პროვოკაციის არსებობის შესაძლებლობას უმნიშვნელოდ არ მიიჩნევს. წინადადება – „*ეს არის ჩემი პასუხი. ჩვენ ნებისმიერ პროვოკაციას გავუსწორდებით და გავუმკლავდებით შესაბამისად*“ – არის მთლიანი განცხადების ერთგვარი შემაჯამებელი ელემენტი. ერთი მხრივ, პასუხს (რომელიც გათვლილია არა შეკითხვის ავტორზე, არამედ მასობრივ მსმენელზე) იძლევა პირადად ღარიბაშვილი („*ჩემი პასუხი*“) და, ამავე დროს – მინისტრიც („*ჩვენ გავუსწორდებით*“).

გამომხატველობითი ღირებულებებით აღნიშნული სამი სხვადასხვა იდენტობა ტექსტის სტრუქტურაში შემდეგნაირადაა ასახული – წინა პლანზეა პოლიტიკური ფიგურის შეფასება, შემდეგ შს მინისტრის გარანტია და ბოლოს, ამ ორი იდენტობის შერევით ნაწარმოები პასუხი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხს, არამედ, ზოგადად, პოზიციას ყველასთვის.

მთლიანობაში, ღარიბაშვილის ეს განცხადება აწარმოებს (და უერთდება) დისკურსს, რომლის მიხედვითაც „*ნაციონალური მოძრაობა*“ არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას და, ამავედროულად, მათ მიერ დაგეგმილმა აქციამ შესაძლოა, უნებსრიგობა გამოიწვიოს. ირაკლი ღარიბაშვილი შეკითხვებზე პასუხისას წინ წამოსწევს თავის (პირად) პოზიციას, შს მინისტრის ინსტიტუციურ პოზიციასთან შედარებით. მისი პირადი პოზიცია კი იდეოლოგიურად დეტერმინირებულია იმდენად, რამდენადაც მიზნად ისახავს პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა მოქალაქისათვის თანაბრად უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოება, შს მინისტრის ასეთი დისკურსი „მწვანე შუქს უნთებს“ ისეთი პატერნების შექმნას, რომლებიც, უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, შერჩევითი მიდგომის შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას და, პირველ რიგში, პოლიციის რიგით თანამშრომლებს. ასევე, პირადი იდეოლოგიზებული შეხედულებების თანამდებობრივ ვალდებულებებზე წინ დაყენება იძლევა დაშვებას, რომ გადანყვეტილების მიღებაზე გავლენა შეიძლება პირადმა იდეოლოგიზებულმა სიმპატიებმა უფრო იქონიოს, ვიდრე – სოციალურმა სტატუსმა.

თუ დისკურსის წარმოების ფაქტორებს ფეირკლოუს შემოთავაზებული სქემის მიხედვით გამოვყოფთ, **სიტუაციური** დეტერმინანტი, როგორც აღვნიშნეთ, იქნება ჟურნალისტი და მის მიერ შემოთავაზებული ჩარჩო, **ინსტიტუციური** ფაქტორი იქნება პოლიტიკური დაპირისპირება სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს შორის, ხოლო **სოციეტალური** ფაქტორი, ამ შემთხვევაში, მასობრივი აუდიტორია, მთელი საზოგადოებაა, რომელთანაც შს მინისტრი მედიის მეშვეობით ამყარებს კონტაქტს. ეს სამი ფაქტორი გავლენას ახდენს მინისტრის **მონაწილის რესურსებზე**, რომლებიც აერთიანებს ღარიბაშვილის ენმ-სთან დაპირისპირების პირად გამოცდილებას და პირადი პოზიციის თანამდებობრივ ვალდებულებებზე წინ დაყენებას. ეს ყველაფერი ერთად უკვე ქმნის ზემოთ აღნიშნულ დისკურსს, რომელიც, თავის მხრივ, უკუგავლენის მქონეა, რამდენადაც ხელს უწყობს ინსტიტუციურ დაპირისპირებას პარტიებს შორის.

თემა მეორე: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ „ევრომაიდნის“ სცენარი

ზოგადი კონტექსტი: ქართულ მედიაში რამდენჯერმე გავრცელდა დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ხელისუფლებაში დაბრუნებას სახელმწიფო გადატრიალებით გეგმავდნენ. მაგალითისთვის, 2014 წლის 31 მარტს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ირმა ინაშვილი აცხადებდა, რომ მისმა წყაროებმა მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ენმ ქართული „ევრომაიდნის“ სცენარს ამუშავებდა. ასევე, გაზეთმა „კვირის ქრონიკამ“ გაავრცელა სტატია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გეგმა გაშიფრულია“¹³⁵, რომელშიც მოცემული ინფორმაცია, მათი თქმით, გიგი უგულავას მიერ ციხიდან გაგზავნილ წერილს ეყრდნობოდა.

2014 წლის 6 აპრილს იმჟამინდელმა შს მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ, გაზეთ „პრაიმ ტაიმს“ მისცა ინტერვიუ, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ „მაიდნის“ სცენარზე ისაუბრა. მინისტრმა 2014 წლის 10 სექტემბერს დესტაბილიზაციის მცდელობაზე გაამახვილა ყურადღება გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუშიც და აღნიშნა: „შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მომზადებას. აღძრულია სისხლის სამართლის

135. http://www.for.ge/view.php?for_id=35638&cat=9

საქმე და მიმდინარეობს გამოძიება“. მოგვიანებით მისმა იმჟამინდელმა მოადგილემ, ლევან იზორიამ გამოძიების დანებების ფაქტი დაადასტურა: „არსებობს ოპერატიული ინფორმაცია. შესაბამისად, როდესაც შს მინისტრმა 10 სექტემბერს ინტერვიუში განაცხადა იმის შესახებ, რომ დაიწყო გამოძიება, რა თქმა უნდა, ეს არის სიმართლე და ეს გამოძიება დღესაც მიმდინარეობს...ლაპარაკია ძალადობრივი ქმედებით ხელისუფლების შეცვლის მცდელობაზე, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 315-ე მუხლი. ამაზეც ითქვა საჯაროდ და შესაბამისად, ვიმეორებ, რომ ამ გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს პროცესი.“¹³⁶ თუმცა მაშინ შსს-მ გამოძიების ფაქტი ოფიციალურად არ დაადასტურა.

შეთქმულებაზე დაიწყო საუბარი ჭიკაიძის მომდევნო, ახლად დანიშნულმა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმაც, რომელმაც 2015 წლის 5 თებერვალს მთავრობის სხდომაზე აღნიშნა: „არის, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ინფორმაცია. არ დავუშვებთ არეულობას... „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება თუ სხვა მოძრაობა, მნიშვნელობა არ აქვს. არ დავკონკრეტდები ამ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ არეულობას, რაც მოხდა უკრაინაში. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ იგივე საქართველოში განმეორდეს, სანამ ჩვენ ვართ. რაღაც მცდელობები არის. რა თქმა უნდა, უნდათ სხვადასხვა ძალებს არეულობის გამოწვევა“. თუმცა შემდგომ მინისტრმა აღნიშნა, რომ საფრთხეში კონკრეტულად „ნაციონალური მოძრაობა“ არ უგულისხმია.

უკვე 2015 წლის ოქტომბერში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 315-ე მუხლით ენმ-ის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, თუმცა საქმეს საიდუმლოების გრიფი ადევს და მისი დეტალები საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ანალიზი მიზნად არის სახავს იმის დადგენას, რამდენად რეალური ან ყალბი იყო პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ აღწერილი შეთქმულების გეგმა. ანალიზის მიზანია აღწერა და შეფასება იმისა, თუ რამდენად სცდება მათი ნარატივი პოლიციელის კომპეტენციას დანაშაულებრივი გეგმის აღწერისას და რამდენად იყენებს მას პოლიტიკური ოპონენტების მარგინალიზაციისათვის, მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

სიტუაციური კონტექსტი:

იქიდან გამომდინარე, რომ ინტერვიუ იყო საგაზეთო, ჩვენთვის უცნობია, რა კონტექსტში მიმდინარეობდა საუბარი და რა ვითარებაში ახდენდა ალექსანდრე ჭიკაიძე ინტერვიუს განმავლობაში სხვადასხვა ინფორმაციის ინტერპრეტაციას. ინტერვიუ შედგებოდა 20 კითხვისგან, რომელთაგან 5 შეეხო „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებს „ევრომაიდნის“ მსგავსი პროცესების წარმართვის შესახებ (ანალიზისას ძირითადი აქცენტი სწორედ ამ 5 შეკითხვაზე გაკეთდება).

136. <http://www.tabula.ge/ge/story/88621-izoria-dzaladobit-xelisuflebis-shecvlis-mcdelobaze-gamodzie-ba-mimdinareobs>

აღწერიითი ანალიზი:

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რამდენად დიდია „ევრომაიდნის“ ალბათობა საქართველოში, მინისტრის პასუხი იწყება „ევრომაიდანის“ მოვლენების შეფასებით – ის ხაზს უსვამს, რომ კონტექსტი უკრაინასა და საქართველოში განსხვავებულია – „რა მიზნითაც უკრაინაში „ევრომაიდანის“ მოხდა, ჩვენთან ამის წინაპირობა ნამდვილად არ არის.“ იქვე მინისტრი გამოკვეთს უსაფრთხო გარემოს არსებობას საქართველოში, თუმცა ამას აკეთებს არა უკრაინასთან მიმართებით, არამედ – წინა წლებთან, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდი იგულისხმება. მინისტრი საუბრობს შეუდარებლად აღმატებულ მდგომარეობაზე („200 და 300 პროცენტით“), რომლის მიხედვით, ადამიანების უფლებების დაცულობის თვალსაზრისით, დღევანდელი მდგომარეობა აღემატება წინა წლებისას.

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის მეორე ნაწილი პირველთან დაკავშირებულია „თუმცა“ კავშირით, რომელიც ფუნქციურად მიზნად ისახავს აქამდე გამოთქმულთან შინაარსობრივ შეპირისპირებას. მინისტრი აცხადებს, რომ არსებობს „ევრომაიდანის“ საქართველოში განხორციელების იდეა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. იქიდან გამომდინარე, რომ ის თავისი პასუხის ამ ორ ნაწილს ერთმანეთს უპირისპირებს, „ევრომაიდანის“ მისთვის არის დღეს არსებული უსაფრთხო გარემოს საპირისპირო (რაც ინტერვიუს მომდევნო ნაწილშიც დასტურდება). მინისტრი იძლევა კონკრეტულ დეტალსაც საბურავების შექმნის თაობაზე („არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების ყიდვაც“) – იქიდან გამომდინარე, რომ „ევრომაიდნის“ ქართულ გეგმაზე საუბარს იწყებს, მნიშვნელოვანია, თავიდანვე გასცეს მძაფრი შინაარსის მქონე დეტალი. საბურავები კი, ამ შემთხვევაში, მოსალოდნელი დესტაბილიზაციის მატერიალური სიმბოლოა.

საერთო ჯამში, მესამე შეკითხვაზე პასუხის მოკლე მესიჯი შემდეგნაირია – **საქართველოში წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო უსაფრთხო გარემოა, მაგრამ კონკრეტული პოლიტიკური ძალა ცდილობს ამის შეცვლას.**

ჟურნალისტი ახდენს მინისტრის პასუხის ბოლო წინადადებების პერიფრაზირებას კითხვის სახით და ამხავილებს ყურადღებას საბურავების დეტალზე, რის შემდეგაც შს მინისტრი იწყებს გეგმის სხვა დეტალებზე საუბარს. აქაც პასუხი ორ ნაწილად იყოფა – შეთქმულების დეტალების გამჟღავნება და მისი პოლიტიკური კონტექსტი.

მეოთხე შეკითხვაზე (სადაც ლაპარაკია ენმ-ის რევილუციურ გეგმებზე) მინისტრის პასუხი არის „უეჭველი გამომხატველობითი ღირებულების“ მქონე, რაც გულისხმობს იმას, რომ ის ინფორმაციას გადმოსცემს არა ვარაუდით, არამედ უეჭველობით, უმცდარობით. ამას ადასტურებს მის მიერ გამოყენებული ზმნები, სადაც მოქმედი სუბიექტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: „მათ სურთ“; „შესაძლოა, მოახდინონ“, „არის ჯგუფები“, „მათ ჩამოიყვანეს“, „ატარებენ ტრენინგებს“, „საფარქვეშ ჰყავთ“ – როგორც ვხედავთ, 6 ნარატივიდან მხოლოდ ერთშია გამოთქმული ვარაუდი, სხვებს კი

მტკიცებითი ხასიათი აქვს.

ჭიკაიძის თქმით, აურზაურის მიზანი ენმ-ს პოლიტიკური ინტერესების გამყარებაა, რაც სწორ გზაზე მდგომი ქვეყნისა და პრობლემების დაძლევაზე მომუშავე მთავრობისთვის ხელის შეშლას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, **ჭიკაიძე ენმ-ს წარმოაჩენს როგორც პროგრესის მონინალმდევე ძალას, რომელიც წესრიგში ქაოსის შეტანას ცდილობს.**

ჭიკაიძე ყურადღებას ამახვილებს შსს-ს როგორც ინსტიტუტის დემოკრატიზაციაზე. საუბრის დაწყება სიტყვით – „დღეს“ პირველ წინადადებას აძლევს დროით კონტექსტს, რომელიც მიუთითებს ანმყოში დემოკრატიზებულ შსს-ზე და თავის თავში წარსულში არსებულ საპირისპირო ვითარებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს განმავლობაში მინისტრი ორჯერ იყენებს წინადადებების ჩამოყალიბების ერთსა და იმავე ფორმულას – წინადადებას იწყებს იმაზე ხაზგასმით, რომ სახელმწიფო არის დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი/გამტარებელი და ასრულებს მკაფიო მესიჯით, რომ ოპონენტებისგან მოსალოდნელია არადემოკრატიული და არაკონსტიტუციური ქმედებები, რაც მაქსიმალური სიმკაცრით დაისჯება:

„წინა წლებთან შედარებით 200 და 300 პროცენტით მეტადაა დაცული ადამიანის უფლებები, მათი პირადი ცხოვრება, პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ. თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაციები [არეულობის შესახებ].“

„მათ აქვთ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხისა და ოპონენტების ცემას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრალონ, უმკაცრესად დაისჯებიან!“

ორივე შემთხვევაში, ეს წინადადებები პასუხის ცენტრალური ნაწილია. პირველ შემთხვევაში, ის არის ერთგვარი ფარდის გახსნა, პირველი განაცხადი შეთქმულების გეგმის არსებობის შესახებ. მეორე წინადადება კი გამოხატავს ერთგვარ პოზიციას, რომ უფლებების ფარგლებში ოპონენტები არ შეიზღუდებიან, მაგრამ გადაცდენის შემთხვევაში, მკაცრად აგებენ პასუხს. აღსანიშნავია, რომ ჭიკაიძე არ იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „უკანონო ქმედება“, „კანონდარღვევა“ ან მსგავს ზოგად აღმნიშვნელებს. ამის ნაცვლად, ის საუბრობს კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მინისტრს აქვს კონკრეტული ბრალდებები ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ.

ჭიკაიძე ორჯერ იყენებს ზედსართავ „მკაცრს“ („უმკაცრესად დაისჯებიან“, „საზოგადოება უპასუხებთ და გაცილებით მკაცრად“), რითაც თავის აუდიტორიას (გაზეთის მკითხველს) არწმუნებს, რომ რეაქცია დესტაბილიზაციაზე არ იქნება

ლმობიერი. აღსანიშნავია მინისტრისეული ფორმულირება, რომ სახელმწიფოს გარდა ენმ საზოგადოებისგანაც მიიღებს პასუხს და უფრო მკაცრსაც:

„მათ, პირველ რიგში, საზოგადოება უპასუხებს და გაცილებით მკაცრად.“

საზოგადოებას მინისტრი აქამდეც ახსენებს:

„მე მგონი, ამას (გულისხმობს აურზაურს) თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე.“

როდესაც ხელისუფლება საზოგადოების პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას, მისთვის საზოგადოება არის აპრიორი სწორი პოზიციის მქონე, რადგან თავად ხელისუფლება საზოგადოების არჩეულია და თუ ეს უკანასკნელი ხანდახან მაინც ცდება, მაშინ ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხის დასმაც შეიძლება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მკაცრი რეაქცია აპრიორი სწორია და ამიტომაც იმოქმედებს ხელისუფლება მსგავსად.

მეხუთე შეკითხვაზე (რომელიც მოსალოდნელი სისხლისღვრის პრევენციულ ღონისძიებებს ეხება) პასუხის ბოლოს შს მინისტრი პირდაპირ მიანიშნებს, რამდენად სახიფათოა ენმ-ს ჩანაფიქრი:

„საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სისხლი დაიღვარა. ეს ხალხს აღარს სჭირდება, ხალხს სჭირდება სიმშვიდე და ნორმალური განვითარება.“

ხიფათის აღსანიშნავად ჭიკაიძე იყენებს „სისხლის დაღვრის“ მეტაფორას, მსხვერპლს, რომელიც შესაძლოა, შეტაკებებს მოჰყვეს. „სისხლის დაღვრა“ არის ჭიკაიძის მხრიდან ერთგვარი ნომინალიზაცია იმისა, რასაც ენმ გეგმავს. ჭიკაიძე ამბობს, რომ „ეს ხალხს აღარ სჭირდება“, მათ სიმშვიდე და ნორმალური განვითარება სურთ. ამ წინადადებაში „ეს“ ნაცვალსახელი ლოგიკურად დაკავშირებულია „სისხლისღვრასთან“, სისხლისღვრა კი ტექსტში ენმ-ს მოსალოდნელ ქმედებებთანაა ლოგიკურ კავშირში. აქედან გამომდინარე, ჭიკაიძე ენმ-ს გეგმებს უპირისპირებს „სიმშვიდესა“ და „ნორმალურ განვითარებას“.

პოლიტიკური კონტექსტის ინტერპრეტაცია:

აღექსანდრე ჭიკაიძე ინტერვიუერს ესაუბრება შს მინისტრის სტატუსით, მინისტრი კი წარმოადგენს პირველ პოლიციელს სახელმწიფოში, რომელზეც პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი ვრცელდება, თუმცა შს მინისტრი პოლიტიკური პარტიის დანაშაულებრივგეგმაზე საუბარში ხშირად რთავს თავის პოლიტიკურ კუთვნილებასაც.

შს მინისტრი ინტერვიუში ოპოზიციურ პარტიას წარმოაჩენს, როგორც დესტრუქციულ ძალას, რომელსაც აქვს მკაფიო გეგმები დესტაბილიზაციისათვის. ნარატივის მიხედვით, ენმ არის ძალა, რომელიც უპირისპირდება უსაფრთხო გარემოს, სწორ გზას,

სიმშვიდესა და ნორმალურ განვითარებას და მისი საპირწონე არის „ქართული ოცნება“, რომელიც ამ ყველაფრის უზრუნველმყოფელი და კანონიერებისა და საზოგადოების ინტერესების გატარების გარანტია.

როგორც თავად მინისტრი აღნიშნავს, დესტაბილიზაციას პოლიტიკური მიზანი აქვს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მინისტრი შეთქმულების გეგმას „ევრომაიდნის“ სცენარით მოიხსენიებს, „ევრომაიდანის“ კი კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკური მოვლენა იყო. ამასთან, ამ შეთქმულებას გეგმავს და განხორციელებას აპირებს პოლიტიკური პარტია, რომელიც, ჭიკაიძის პოზიციიდან, თავისი არსით მთავრობის მუშაობის საწინააღმდეგო დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს. შს მინისტრი, ამ შემთხვევაში, არ არის სახელმწიფო მოხელე, რომელიც მხარეს არ წარმოადგენს. ის პოზიციონირებს, როგორც „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრი და მის ხელთ არსებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას ახდენს, როგორც მხარე. მაგალითად, ის ორ ადგილას იყენებს სიტყვა „ოპონენტებს“ – ენმ-სა და „ქართული ოცნების“ გასამიჯნავად:

„მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს აქვს, არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მერწმუნეთ, საქართველოს მთავრობა, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. ოპონენტებს, რა თქმა უნდა, ექნებათ არეულობის მცდელობები“

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობაზე შს მინისტრი მესამე პირში საუბრობს, ალექსანდრე ჭიკაიძე თავად არის საქართველოს მთავრობის წევრი და ამ განცხადებას მთავრობის სახელით აკეთებს. ამაზე მეტყველებს სიტყვა „მერწმუნეთ“, რომელიც აღნიშნავს პროცესში (მუშაობაში) ჩართულობას და რომ მოსაუბრე არ არის მთავრობის საქმიანობის უბრალო შემფასებელი ან დამკვირვებელი გარედან.

„მე მჯერა, რომ ჩვენი ოპონენტები, თავადვე მიხვდებიან, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც ქვეყანას, ან ნებისმიერ ჩვენგანს რაიმე სიკეთეს მოუტანს.“

ამ შემთხვევაში, შს მინისტრი ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალაზე პირველ პირში საუბრობს. „ჩვენ“ ნაცვალსახელი არის იმპლიციტური – აღნიშნავს კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფს, პოლიტიკურ პარტიას, რომლის წევრიც ჭიკაიძეა და რომლის ოპოზიციაც ენმ-აა.

გარდა „ევრომაიდნის“ სცენარზე საუბრისა, ჭიკაიძე პოზიციონირებას უფრო ადრე, ინტერვიუს პირველ შეკითხვაზე პასუხისასაც ახდენს:

„კანონის წინაშე ყველა თანაბარია, როგორც ჩვენი მომხრეები, ისე მონინააღმდეგეები.“

აქაც შს მინისტრი იყენებს იმპლიციტურ „ჩვენს“ და საუბრობს არა როგორც სამინისტროს, არამედ, როგორც პარტიის წარმომადგენელი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის ინტერპრეტატორის (ჩვენს შემთხვევაში, შს მინისტრის) მონაწილის რესურსებში (MR) შედის მისი პოლიტიკური კუთვნილება, რომელიც ენმ-ს ოპონირებასაც გულისხმობს.

„მაინის“ სცენარზე საუბრისას შს მინისტრი აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებსაც. მაგალითად, ინტერვიუს ეს მონაკვეთი მთლიანად პოლიტიკური შეფასებაა, როგორც ენმ-ს გეგმის, ისე მთავრობის საქმიანობისა:

„არის ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, გამოიწვიონ ქვეყანაში აურზაური და ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ. მე მგონი, ამას თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე. მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს გააჩნია, არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მერწმუნეთ, საქართველოს მთავრობა, ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. ოპონენტებს, რა თქმა უნდა, ექნებათ არეულობის მცდელობები, მაგრამ ეს არის მხოლოდ მათი სურვილი და ასეთ იდეებს რეალობაში განხორციელება არ უნერია.“

გარდა შეთქმულების ნაწილისა, ინტერვიუ „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა საკითხებშიც ეხება. მაგალითად, ჟურნალისტის შეკითხვაზე ენმ-ს დეპუტატის, ნუგზარ წიკლაურის, ცემასთან დაკავშირებით, ჭიკაიძე აღნიშნავს:

„ზოგადად, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ საზოგადოებაში არის აგრესია და ხშირად მიწვევს მითითების მიცემა, რომ პოლიციამ მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება მოქალაქეებისგან. ამისთვის პოლიციას მიწა მაღლობა გადავუხადო, რადგან მათ ესმით, რომ თითოეული ადამიანი, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, არის ამ ქვეყნის მოქალაქე“

შს მინისტრის ეს განცხადება მისი მონაწილის რესურსების ერთგვარი შეჯამებაა, რომლებიც მის გამომხატველობით ღირებულებებს აყალიბებს. ერთი მხრივ, მინისტრი ხაზს უსვამს საზოგადოების აპრიორი სწორ პოზიციაზე – „ქართველი ხალხი არის ბრძენი, მას აქვს ანალიზის შესანიშნავი უნარი და დასკვნებსაც კარგად აკეთებს“, მეორე მხრივ კი აღნიშნავს, რომ ენმ-ს მიმართ საზოგადოებაში აგრესიაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მინისტრის აზრით, საზოგადოების მხრიდან ენმ-ს მიმართ აგრესია გამართლებულია. მისი თქმით, პოლიციას უწევს ერთგვარი დილემის დაძლევა, რომ მოქალაქეების ერთი ჯგუფი დაიცვას. ერთი მხრივ, ამაზე მიუთითებს მინისტრის მაღლობა პოლიციის თანამშრომლების მიმართ, რითაც ამ ქმედების განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს და, მეორე მხრივ, ამ „განსაკუთრებული ჯგუფის“ გამოყოფა ფრაზით „პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად“. ამასთან ერთად, გამიჯვნას ემსახურება ფრაზა „მაქსიმალურად უზრუნველყოფა მათი უსაფრთხოებისა მოქალაქეებისგან“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ჯგუფი საზოგადოებისგან განცალკევებულია და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საყოველთაო აგრესიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის ექსპრესია ამ ნაწილში

აბსოლუტურად მკაფიოა. ის არსებულ განწყობას წარმოაჩენს როგორც საყოველთაოს და როგორც უეჭველს, რასაც შეიძლება **კატეგორიული ექსპრესია** ეწოდოს.

ინტერვიუს ახსნითი ანალიზი:

ახსნითი ნაწილი წარმოებულ დისკურსს სამი შრის დონეზე განიხილავს: სიტუაციურის, ინსტიტუციურის და სოციეტალურის. თუმცა თითოეული დონის განხილვამდე უნდა შევეხოთ მონაწილის, ანუ შს მინისტრის რესურსებს, რომლებიც ერთმანეთზე ახდენს გავლენას. პარტიული კუთვნილების გარდა, მის რესურსებში, ასევე, შედის გარკვეული შეხედულებები და განწყობები. ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება, გამოიკვეთოს რამდენიმე ასეთი შეხედულება/განწყობა:

- „ქართული ოცნების“ მთავრობა მუშაობს კეთილდღეობისთვის და პოლიტიკური ოპონენტები, კერძოდ კი, „ნაციონალური მოძრაობა“, ცდილობს ამ ყველაფრის საბოტაჟს.
- საზოგადოება არასდროს არ ცდება და სწორ პოზიციას იჭერს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.
- საზოგადოებას სურს სტაბილური განვითარება და სიმშვიდე.
- ენმ-ს აქვს დესტრუქციული პოტენციალი.
- ზოგადად, საზოგადოება აგრესიულადაა განწყობილი ენმ-ს მიმართ.

ეს არის ის 5 ძირითადი გამოცდილებით ღირებულება (რომლებიც ცოდნის, რწმენისა და შეხედულებებისგან შედგება), რომლებიც მონაწილის რესურსებს ქმნის. შეთქმულების გეგმებზე საუბრისას მინისტრი სწორედ ამ რესურსებს რთავს.

სიტუაციურ დონეზე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ კონკრეტულ გარემოებაზე, სადაც ნარატივი მიმდინარეობს. როგორც უკვე აღინიშნა, საგაზეთო ინტერვიუ ამ მხრივ დაკვირვებისა და სიტუაციური კონტექსტის შესწავლის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ შეგვიძლია, დავეყრდნოთ მხოლოდ ინტერვიუერის კითხვებს, როგორც სიტუაციურ დეტერმინანტებს, რომლებიც ჭიკაძის ნარატივზე ახდეს გავლენას. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი შესავალშივე ქმნის დრამატულობის ეფექტს. ის პირველ ორ წინადადებას აგებს საკვანძო სიტყვების ბოლოში დასმით და მრავალწერტილით დასრულებით – „სკანდალური აღმოჩნდა...“; „დესტაბილიზაციაზე საუბრობს...“ – რითაც მკითხველს ამზადებს დამაინტრიგებელი ინტერვიუსთვის. გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ თავისი ფორმითა და შინაარსით შეიძლება მივიჩნიოთ ტაბლოიდურ გამოცემად, რომელიც ხშირად ანიჭებს სიახლეებს „სკანდალის“ სტატუსს და ასევე, ქმნის ჭორებთან დაკავშირებულ კონტენტს. ამ შემთხვევაშიც, დაბეჭდილ ინტერვიუში შეკითხვები მაქსიმალურად დრამატულადაა ფორმულირებული – ხშირად გამოიყენება მრავალწერტილი, ზოგიერთ შემთხვევაში, შეკითხვის დასმა ხდება ბრალდებების პერიფრაზით, ასევე, ჟურნალისტი შეკითხვაში რთავს შეფასებასაც („საკმაოდ სერიოზული განცხადებაა“; „თუმცა არსებობს მეორე და არანაკლებ სერიოზული პრობლემა სინთეტიკური ნარკოტიკების სახით...“). შეთქმულების

გეგმასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საკითხი საუბარში სწორედ ინტერვიუერს შემოაქვს პირდაპირი კითხვით „ევრომაიდის“ სცენარზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი შეკითხვა არის არა კატეგორიულობით ან უეჭველობით გამოხატული, არამედ, ვარაუდით და გულისხმობს ალბათობის/შესაძლებლობის შეფასებას, თუმცა შემდგომში, მინისტრის ნარატივი უკვე უეჭველი გამოხატვით მიმდინარეობს და საუბრობს არა ამ სცენარის განხორციელების ალბათობაზე, არამედ, მის დეტალებსა და მოტივებზე.

რაც შეეხება **ინსტიტუციურ შრეს**, შს მინისტრი არის პოლიციის, როგორც ინსტიტუციის წევრი და მისი ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, მის ნათქვამზე მისი ინსტიტუციური კუთვნილება გავლენას უნდა ახდენდეს, ისევე, როგორც, მისი, როგორც ხელმძღვანელის, ნათქვამი ახდენდეს უკუგავლენას პოლიციაზე. თუმცა, როგორც აღინიშნა, პოლიცია, როგორც ინსტიტუცია, ფორმალურად, პოლიტიკურად ნეიტრალურია, მისი ხელმძღვანელი კი ამ შემთხვევაში, პოზიციონირებს როგორც პოლიტიკურ-პარტიული ფიგურა და არა როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუციის ხელმძღვანელი. ხოლო თუ ინსტიტუციის ხელმძღვანელი თავად არ არის ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტი, მაშინ შესაძლებელია, რომ ამ პრინციპმა მთლიან ინსტიტუციაში არ იმუშაოს.

სოციეტალური დონე – ამ დონეზე შს მინისტრის წარმოებული დისკურსის გავლენა ფასდება საზოგადოებასთან მიმართებით. მინისტრის მონაწილის რესურსებზე საზოგადოებაში არსებული განწყობა და პოზიციები, თავისთავად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. გამომდინარე იქიდან, რომ მინისტრი პარტიულ ფიგურად პოზიციონირებს, მისთვის მნიშვნელოვანია, დაიჭიროს საზოგადოებისთვის (რომელიც მისთვის ამომრჩევლის კონტექსტში განიხილება) მაქსიმალურად მისაღები პოზიცია (მონაწილის რესურსების პერსპექტივიდან).

თემა მესამე: კრიმინოგენური ვითარების თემა მედიაში

კონტექსტი: 2014 წელს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი მედიაში იყო კრიმინალური ვითარება. მედია და ოპოზიციური პარტიები ხშირად მიუთითებდნენ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ქვეყანაში გაუარესებულია, იმუამინდელი შს მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე კი ამ ყველაფერს მედიას და ციფრებით მანიპულაციებს აბრალებდა და აღნიშნავდა, რომ კრიმინალური ვითარება პირიქით, გაუმჯობესებული იყო.

2014 წლის ზაფხულში რამდენიმე გახმაურებული მკვლელობის შემდეგ კრიმინალის საკითხი კვლავ აქტუალურ თემად რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „ალიამ“ 6 სექტემბერს ინტერვიუ ჩაწერა ჯერ შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიასთან,

დაახლოებით ერთ კვირაში კი (10 სექტემბერს) – თავად შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესთან.¹³⁷

137. ორივე ინტერვიუს სრული ტექსტი იხ. აპენდიქსში.

ინტერვიუს აღწერა და ანალიზი: პირველ შეკითხვაზე შს მინისტრის მოადგილე პასუხობს კატეგორიული ტონით, რომ შსს-ს წინააღმდეგ არსებული ბრალდებები ტყუილია. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ენმ მანიპულირებს ინფორმაციით, რომელიც, მათი მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, დღეს საჯაროა. იზორია პირველ შეკითხვაზე პასუხისას სამჯერ აღნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იტყუებიან/მატყუარები არიან:

„ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები, თითქოსდა გაუარესდა კრიმინალური ვითარება, პირდაპირ ვამბობ, არის ტყუილი.“

„ამიტომ დასხდნენ, დააფიქსირონ რაოდენობა ამ მკვლევლობებისა და საზოგადოებას ელაპარაკონ კონკრეტული ფაქტებით და არა, ტყუილებით...“

„ისინი ტყუილებით მეტად დაკარგავენ ნდობას საზოგადოებაში, ტყუილები ხომ მათი სტილია.“

პირველ და მეორე შემთხვევაში, ტყუილში იგულისხმება ენმ-ის მიერ ვითარების გაყალბებულად წარმოჩენა, ხოლო მესამე დებულებაში ხაზი ესმება იმას, რომ ენმ-ს მხრიდან ეს არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ – მათი მუდმივი სტრატეგია.

მესამე შეკითხვაზე პასუხისას შს მინისტრის მოადგილის არგუმენტში აქცენტი გადატანილია სხვა ინსტიტუციის „ცუდ პრაქტიკაზე“. კერძოდ, ეს ინსტიტუცია სასამართლოა, რომელსაც იმ დროისათვის აღმასრულებელი ხელისუფლება განიხილავდა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ მყოფს. მინისტრის მოადგილე სასამართლოს ქმედებას უწოდებს არა პროცედურულ გაუმართაობას, არამედ ცუდ/მაკვნი პრაქტიკას, რაც პატრულის ეფექტიან მუშაობას მიზანმიმართულად უშლის ხელს.

მეოთხე შეკითხვაზე პასუხისას შს მინისტრის მოადგილე კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ კრიმინოგენური ვითარების პრობლემა სინამდვილეში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო ხელოვნურად გაჩნდა და ამ ყველაფერს პოლიტიკური მოტივი აქვს. ის ასევე მიჯნავს ახალ და ძველ ხელისუფლებას სწორედ ამ მოტივით – ახალი ხელისუფლება საზოგადოებას აწვდის სიმართლეს, ძველი კი რეალობას მედიის გამოყენებით „ალამაზებდა“.

იზორია მიიჩნევს, რომ ოპოზიციურ პარტიას მიზანმიმართული კამპანია აქვს, რომელიც შს მინისტრის საწინააღმდეგოდაა დაგეგმილი, მის უკან კი ყოფილი პრეზიდენტი დგას. შს მინისტრის მოადგილე მორალურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ენმ-ის წევრებს პოლიციის საქმიანობის კრიტიკის მორალური უფლება არ აქვთ, რადგან თავად არიან კრიმინალები. იზორია წინა ხელისუფლებისდროინდელ პოლიციას მოიხსენიებს „ღირსებაყრილის“ ეპითეტით, რითაც კვლავ გადააქვს მსჯელობა მორალურ კონტექსტში. შს მინისტრის მოადგილე, ამ შემთხვევაში, კრიტიკულ განცხადებებს არა არგუმენტებით, არამედ თავად

კრიტიკოსთა უარყოფითად წარმოჩენით პასუხობს, რათა მათი ნათქვამი წარმოაჩინოს როგორც არალეგიტიმური, გარკვეული „მზაკვრული“ ჩანაფიქრის მქონე. „მზაკვრული თამაშები“ კი ის ნომინალიზაციაა, რასაც შს მინისტრის მოადგილე ენმ-ს განცხადებებს უწოდებს.

შს მინისტრის მოადგილეს ინტერვიუერი სხვადასხვა ბრალდების შესახებ უსვამს შეკითხვებს; თუმცა იზორია თითქმის ყველა შემთხვევაში „გადაბრალების“ სტრატეგიას მიმართავს. ბრალდებები ან სიცრუეა, ან პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი. ორივე შემთხვევაში. მიზეზი პოლიციისა და შსს-ს დისკრედიტაციაა. ეს არის ერთგვარი პატერნი ამ ინტერვიუსი, რომელიც თითქმის ყველა ნაწილში შეიმჩნევა. ინტერვიუ, როგორც სრული ტექსტი, არის არა გარკვეულ საკითხებზე მსჯელობა, არამედ, სხვადასხვა შემთხვევის საფუძველზე ოპოზიციური პარტიის საზიანო საქმიანობის ჩვენება. ასეთი ნარატივებია მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 კითხვა-პასუხებში.

როგორც მინისტრის მოადგილის, ისე ინტერვიუერის ლექსიკა შეიცავს ცინიზმს და ბრალდებების ტონს, რომლებიც ყველა შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგაა მიმართული და კონკრეტული სიტუაციური კონტექსტის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი ინტერვიუს პროცესში ხშირად რთავს თავის პოზიციას. მისი მონაწილის რესურსები დიალოგში არის დებულება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალური ფენომენია. როდესაც ის ენმ-ზე საუბრობს, ჟურნალისტი არ ერიდება პირადი უარყოფითი პოზიციის გამოხატვას. მაგალითად, ინტერვიუერი იყენებს ისეთ ალეგორიას, როგორიცაა „გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა“, რითაც აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლება დაუფარავად ჩადიოდა მკვლელობებს. ასევე, ბოლო შეკითხვის შემთხვევაში, ჟურნალისტი კიდევ უფრო შორს მიდის და სხვადასხვა საკითხზე საკმაოდ ვრცელ შეფასებას აკეთებს. **ინტერვიუერის ამგვარი სტრატეგია ქმნის სიტუაციურ კონტექსტს, რომელშიც არსებობს გარკვეული შეთანხმება „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ. ეს შეთანხმება გულისხმობს ენმ-ს წევრების კრიმინალობას, მატყუარობასა და მათ დესტრუქციულ პოლიტიკას. ლევან იზორია არ სცდება ამ კონტექსტს და თითოეულ შემთხვევაში ხაზს უსვამს, რომ ენმ, სხვადასხვა მიზეზის გამო, არალეგიტიმური პოლიტიკური ძალაა.**

საუბრის სცენარი ამ ორ მონაწილეს (რესპონდენტსა და ინტერვიუერს) შორის არის აბსოლუტურად შეთანხმებული იმ თვალსაზრისით, რომ არ წარმოშობს არანაირ დისონანსს. კრიტიკული შეკითხვების შემთხვევაშიც კი, სიტუაციური კონტექსტი, რომელშიც ენმ დესტრუქციული ძალაა, იძლევა ფართო შესაძლებლობებს, ამ კითხვებზე გაიცეს დამაკმაყოფილებელი პასუხები ისე, რომ კრიტიკა იქნას უარყოფილი.

პოლიციის დისკურსის პოლიტიკურობა

იზორია და ჭიკაიძე აწარმოებენ იმ დისკურსს, რომელსაც შსს ბოლო წლებში განმავლობაში მიჰყვება და რომელიც გულისხმობს, რომ პოლიცია, როგორც

ინსტიტუცია, გამართულად მუშაობს. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ინსტიტუციის ეფექტიან მუშაობაში ვინმემ ეჭვი შეიტანოს, ხოლო ვინც ამას აკეთებს, ამისთვის პოლიტიკური მიზნები აქვს. ეს დისკურსი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიმინოგენული ვითარების შესახებ კრიტიკისას. კრიმინოგენური ვითარების საკითხი აქტუალური იყო სწორედ ალექსანდრე ჭიკაიძისა და ლევან იზორიას ხელმძღვანელობის პერიოდში:

„საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება დამძიმდა, არის აბსოლუტურად უსაფუძვლო და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციას. რაც არ უნდა კარგი გავაკეთოთ, ჩვენი ოპონენტები ცდილობენ სიტუაციის დამძიმებას და საზოგადოებაში არასწორი შეხედულების ჩამოყალიბებას. მინდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და არაფერი საგანგაშო არ ხდება. კრიმინალი ყველა სახელმწიფოშია. თუ სახელმწიფო არსებობს, სამწუხაროდ, იქ ხდება კრიმინალიც, ეს თანმდევი პროცესია.“¹³⁸

„ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები, თითქოსდა გაუარესდა კრიმინალური ვითარება, პირდაპირ ვამბობ, არის ტყუილი. ზუსტად მათივე გამოქვეყნებული სტატისტიკით იმიტომ შემოვიფარგლე, რომ 2011 წლის აგვისტოში, სამწუხაროდ, იმავე რაოდენობის, ანუ 11 მკვლელობა მოხდა და აქედან გაიხსნა 10 საქმე, ხოლო 2014 მოხდა იგივე რაოდენობის მკვლელობა, აქედანაც გაიხსნა 10 მკვლელობა. დღეს, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდისგან, ყველას საჯაროდ ხელი მიუწვდება სტატისტიკაზე და განსაკუთრებით, „ნაციონალებს“. ამიტომ დასხდნენ, დააფიქსირონ რაოდენობა ამ მკვლელობებისა და საზოგადოებას ელაპარაკონ კონკრეტული ფაქტებით და არა, ტყუილებით... ისინი ტყუილებით მეტად დაკარგავენ ნდობას საზოგადოებაში, ტყუილები ხომ მათი სტილია.“¹³⁹

ასეთ დისკურსს პოლიცია მიჰყვება 2012 წლის არჩევნების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც კრიმინოგენურ ვითარებაზე დაიწყო საუბარი. ინტერვიუში, რომელიც ირაკლი ლარიბაშვილმა „კვირის პალიტრას“¹⁴⁰ შს მინისტრად დანიშნვიდან ერთი თვის შემდეგ მისცა, სწორედ ეს დისკურსიული პატერნი იკვეთება:

ჟურნალისტი: *„ახალ ხელისუფლებას ოპონენტები მიანიშნებენ, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა. ამის საფუძველიც არსებობს. ბოლო დროს იმატა ძარცვა-ყაჩაღობამ, ქურდობამ. მოხდა რამდენიმე მძიმე დანაშაულიც...“*

ი. ლარიბაშვილი: *„მინდა, საზოგადოებას განვუმარტო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, ანუ ყოფილი მთავრობის ნევრები, მიზანმიმართულად ცდილობენ, წარმოაჩინონ რეალობისაგან განსხვავებული სურათი, თითქოს საქართველოში კრიმინოგენური სიტუაცია გართულებულია, რომ პოლიცია ეფექტიანად*

138. ალექსანდრე ჭიკაიძის ინტერვიუ გაზეთ „პრაიმ ტაიმთან“, 2014 წლის 6 აპრილი,

139. ლევან იზორიას ინტერვიუ გაზეთ „ალიასთან“, 6 სექტემბერი, 2014 წ.

140. 3 დეკემბერი, 2012 წ.

ვერ რეაგირებს მომხდარ დანაშაულებზე და ა.შ. ცდილობენ, შექმნან ფონი, თითქოს სიტუაცია დღითი დღე უარესდება. ეს მიზანმიმართული მტრული დამოკიდებულებაა ქვეყნის ინტერესებისადმი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ – ქვეყანაში სიტუაცია აბსოლუტურად კონტროლირებადია. დანაშაული ყოველთვის ხდებოდა და ხდება. სამწუხაროდ, ვერც ერთ საზოგადოებაში ვერ შევქმნით ისეთ მოდელს, სადაც დანაშაული აღარ მოხდება. ბუნებრივია, არსებობს ობიექტური მიზეზები, კონკრეტულად კი შეიქმნა ფონი, რომ ჩვენმა ოპონენტებმა გაგვაკრიტიკონ. მოგეხსენებათ, ხელისუფლების გადაბარება ოქტომბერში დაიწყო. 25 ოქტომბრამდე ჩვენ ვერ შევძელით სამინისტროში შემოსვლა და იმის გარკვევა, თუ რასთან გვექონდა საქმე. არც ის ვიცოდით, რამდენად ეფექტურად ართმევდნენ თავს სიტუაციას ესა თუ ის სამსახურები, კრიმინალური პოლიცია, სპეციალური ოპერატიული თუ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტები. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენს შემოსვლამდე საკვანძო თანამდებობაზე მუშაობდნენ პოლიტიკურად უკიდურესად ანგაჟირებული პირები, რომელთაც ჩემი მოსვლისთანავე დატოვეს არა მარტო სამინისტრო, არამედ ქვეყანაც. შესაბამისად, შეიქმნა ვაკუუმი. ის სამსახურები, რომელთა ხელმძღვანელები წავიდნენ სამინისტროდან, ვეღარ მუშაობდნენ ეფექტიანად.“

როგორც ვხედავთ, ირაკლი ღარიბაშვილი ამ პასუხში იყენებს იმავე მონაწილის რესურსებს, რასაც ჭიკაიძე და იზორია და მსჯელობაში შემოაქვს პოლიტიკური იდენტობა, მიაკუთვნებს თავს რომელიმე მხარეს და ყურადღებას ამახვილებს რეალობის მიზანმიმართულ დამახინჯებაზე. ამასთან, ის ენმ-ს ქვეყნის ინტერესებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს, რაც არის იმ დისკურსის გაგრძელება, რომ ენმ ანტისახელმწიფოებრივი და დესტრუქციული ძალაა.

აღნიშნული მიდგომა ვრცელდება ჭიკაიძის შემცველ ვახტანგ გომელაურზეც, „ქართული ოცნების“ მთავრობის მესამე შს მინისტრზე. ერთ-ერთ ინტერვიუში გაზეთ „კვირის ქრონიკის“¹⁴¹ ჟურნალისტიმა მას დაუსვა შეკითხვა „ევრომაიდნის“ სცენარის შესახებ:

ჟურნალისტი: „ალექსანდრე ჭიკაიძემ „ალიასთან“ ინტერვიუში თავის დროზე განაცხადა, რომ კონკრეტული ჯგუფები, რომლის უკანაც დგას „ნაცმოძრაობა“, სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენო. ჩვენ ვისმენთ სააკაშვილის განცხადებას, რომ ის 2015 წელს დაბრუნდება საქართველოში და ხელისუფლებაში არჩევნების გარეშე მოვა. ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობას“ უკრაინაში შტაბი აქვს შექმნილი და „ნაციონალების“ გეგმაა, პირველ რიგში, პოლიციელების დემორალიზაცია მოხდეს, რომ მიზანს მარტივად მიაღწიონ...“

ვ. გომელაური: „როცა ალექსანდრე ჭიკაიძემ ეს განცხადება გააკეთა, რა თქმა უნდა, იყო ოპერატიული ინფორმაცია, ახლაც არის ინფორმაციები, მაგრამ ამას არ

141. გაზეთი „კვირის ქრონიკა“, 02 თებერვალი, 2015 წელი.

დავუშვებთ, ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდება, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა, რათა ინვესტიციები შემოვიდეს. ახლა გახლდით რიგაში ვიზიტად, ვიზალიბერალიზაციისთვის საკითხზე, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები მქონდა, შევხვდი ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებს და ისინი გვიცხადებენ დიდ მხარდაჭერას. ჩვენ არ დავუშვებთ ქვეყანაში დესტაბილიზაციას, რადგან ეს იქნება ჩვენი ქვეყნის სერიოზული უკანდახევა. ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვევს იმ მონაპოვრის დაკარგვას, რასაც ჰქვია ევროკავშირისკენ სწრაფვა. „ნაცმოძრაობა“, თავისი განცხადებებით, ხალხს ალიზიანებს. ჯერ იყო, შემოდგომაზე მოდიოდნენ, ახლა გაზაფხულზე გადაიტანეს, ზაფხულში ისვენებენ და მერე იტყვიან, შემოდგომაზე მოვდივართო და ა.შ. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რალაციის გაფუჭება უნდათ. სამწუხაროდ, ქვეყანაზე არ ფიქრობენ.“

გომელაური, წინამორბედების მსგავსად, ყურადღებას ამახვილებს დესტაბილიზაციაზე, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ამჯერად დესტაბილიზაციის წყაროდ პირდაპირ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ასახელებს. ინტერვიუს დროს ის, ჟურნალისტის მსგავსად, ენმ-ს შემოკლებულ სახელს „ნაცმოძრაობას“ უწოდებს, რომელიც ამ პარტიის ნეგატიურ აღმნიშვნელად გამოიყენება საზოგადოებაში და მიანიშნებს იმავე სიტუაციურ სცენარზე, რომელიც იზორიას ინტერვიუს შემთხვევაში გვხვდება. გომელაურის შეფასებით, ენმ ხალხს ალიზიანებს და ისინი ქვეყანაზე არ ფიქრობენ, რაც ორივე შემთხვევაში, იმეორებს ჭიკაიძის ნათქვამს. ოპოზიციურ პარტიაზე საუბრისას, ლევან იზორიას მსგავსად, გომელაურიც მიმართავს სარკაზმს, როდესაც ენმ-ის გადაუწყვეტელობაზე საუბრობს.

ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში ნათელია, რომ თხრობისას მონანიღეებისათვის უმთავრესი რესურსი მათი პოლიტიკური და პარტიული იდენტობაა. მიუხედავად იმისა, რომ შს სამინისტროს წარმომადგენლებს აქვთ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ვალდებულება, როგორც ღარიბაშვილი, ისე ჭიკაიძე, იზორია და გომელაური **სხვადასხვა საკითხის განხილვისას არ არიან პარტიული კუთვნილებისგან თავისუფალნი**. ეს ეხება როგორც იმ შემთხვევებს, როდესაც მედიის წარმომადგენლები აქცევენ საუბარს იმ კონტექსტში, სადაც დასახელებული პირები მხარეს წარმოადგენენ და ჰყავთ ოპონენტები ენმ-ს სახით, ასევე იმ შემთხვევებსაც, სადაც ჟურნალისტები შეკითხვას პარტიული კონტექსტის გარეშე სვამენ.

ირაკლი ღარიბაშვილი შს მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნისას ხშირად აღნიშნავდა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პოლიციის დეპოლიტიზაცია იყო. ამაზე ვრცლად ისაუბრა თავის განცხადებაში 2012 წლის 17 დეკემბერს, პატრულის თანამშრომლებთან შეხვედრისას:

„მთავარი განსხვავება ძველსა და ახალ საპატრულო პოლიციას შორის არის ის, რომ თქვენ აღარასდროს მოგინევთ პოლიტიკური დავალებების შესრულება. პოლიციის დეპოლიტიზაცია სწორედ ამას გულისხმობს. თითოეული ჩვენგანის

მიზანია, ვემსახუროთ არა ხელისუფლებას, კონკრეტულ პარტიას ან ჯგუფს, არამედ ხალხს. რა თქმა უნდა, თითოეული დამნაშავე უნდა დაისაჯოს კანონისა და სამართლიანობის სრული დაცვით. ამავე დროს, არც ერთი ადამიანი არ უნდა დაისაჯოს უდანაშაულოდ. ჩვენ ანალოგიური მიდგომა გვაქვს სამართალდარღვევების მიმართაც. ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედეთ კანონის შესაბამისად, განურჩევლად სამართალდარღვევის, პოლიტიკური კუთვნილებისა და თანამდებობრივი მდგომარეობისა. არღვევს მინისტრი კანონის მოთხოვნებს? ისიც ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც ნებისმიერი მოქალაქე.“

პოლიციის დეპოლიტიზაციაში შს მინისტრი გულისხმობს ორ დებულებას: პირველი დებულებაა, რომ დეპოლიტიზაცია არის პოლიციის, როგორც სამთავრობო რესურსის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაზე უარის თქმა; ხოლო მეორე დებულებაა, სამართალდარღვევის შემთხვევაში, არაფორმალური პოლიტიკური იმუნიტეტის გაუქმება და ყველა დამნაშავის გათანაბრება კანონის წინაშე. აღსანიშნავია, რომ მინისტრის რიტორიკაში დასჯა არის წინ წამოწეული და მისი გამოყენება უნდა იყოს თანაბარი ნებისმიერი პოლიტიკური თუ სხვა კუთვნილების შემთხვევაში.

ირაკლი ღარიბაშვილი შს მინისტრობის პერიოდში სხვა განცხადებებშიც დეპოლიტიზაციას ზემოაღნიშნულ დატვირთვას აძლევდა. მისი მომდევნო მინისტრებიც მუდმივად აღნიშნავენ, რომ შსს-ში დეპოლიტიზაციის რეფორმა გატარდა და პოლიცია პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალია, თუმცა ამ ფორმით დეპოლიტიზაცია არ ითვალისწინებს პოლიციის დისკურსის დეპოლიტიზაციასაც, ის მხოლოდ მისი საქმიანობის ფარგლებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას და შერჩევითი სამართლის გამორიცხვას გულისხმობს. მაღალჩინოსნების დისკურსის შეუსაბამობა კი დეპოლიტიზაციის პოლიტიკის სრულყოფილად განხორციელებას აფერხებს. ინსტიტუციის ხელმძღვანელები მისი უმაღლესი წარმომადგენლები არიან და საუბრობენ მისი სახელით. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარში თავიანთ პოლიტიკურ იდენტობას რთავენ, ისინი მთელი ინსტიტუციის პოლიტიკებს ახდენენ. ამ ყველაფერს ამძაფრებს პოლიციისთვის დამახასიათებელი ორი თავისებურება:

- პოლიცია მონყოფის წესით მკაცრად იერარქიული და ცენტრალიზებულია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი მაღალჩინოსნების წარმოებულ დისკურსს რანგით დაბლამდგომებზე მაქსიმალური გავლენა ჰქონდეს.¹⁴²

- პოლიციის დისკურსს ექსკლუზიურად მხოლოდ მისი მაღალჩინოსნები აწარმოებენ. სტატუსიდან გამომდინარე, მათ მედიაზე ფართო წვდომა აქვთ, თუმცა, ამასთან ერთად, ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, პოლიციის დაბალი რანგის მოხელეები მაქსიმალურად ერიდებიან მედიასთან ურთიერთობას და ცდილობენ, ყურნალისტები პრესამსახურთან

142. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა მიზნად დისკურსის მხოლოდ მაკროდონის შესწავლას ისახავდა, მოცემული ინფორმაცია არ იძლევა უშუალოდ დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომებში წანარმოები დისკურსის გავლენის შესახებ მსჯელობის განვრცობის საშუალებას.

გადაამისამართონ. ეს ტენდენცია გაჩნდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში და ახალი ხელისუფლების პირობებშიც არ შეცვლილა.

ზემოთ განხილული საქმეები და ოფიციალური ფიგურების გამოსვლები დისკურსის ერთიანობაზე მიუთითებს – ანალიზის ყველა ეტაპზე, მათ შორის, აღწერითზეც, იკვეთება საერთო პატერნები, იქნება ეს ლექსიკური, ლოგიკური, იდეოლოგიური თუ სხვა. პოლიციის დისკურსის ასეთი ფორმა კი მას ხელს უშლის, აღიქმებოდეს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ინსტიტუციად, რომელსაც მიუკერძოებლად შესასრულებელი სოციალური ფუნქცია აკისრია. ამის საწინააღმდეგოდ ის ექცევა და იზღუდება სხვადასხვა კონტექსტში – ერთი მხრივ, პარტიულში (მმართველი პარტიის დისკურსის კვლავნარმოებით), ხოლო მეორე მხრივ, დროით კონტექსტში (თავისი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შემოსაზღვრით მხოლოდ ახალი ხელისუფლების პერიოდით და „წინამორბედისა“ და „ახლის“ შეპირისპირების გზით მანამდე არსებული გამოცდილებისა და სხვა რესურსების სრული მარგინალიზაციით).

* * *

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით წინამორბედი მაღალჩინოსნებისგან, ახლანდელი შს მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის, დისკურსში ეს ორი ძირითადი კონტექსტი (პარტიული და დროითი) შედარებით შერბილებულია. მომდევნო პარაგრაფში განხილულია მისი ნარატივი პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით, სადაც დისკურსის წარმოების უმთავრესი ინსტრუმენტი, შეპირისპირება დროის კონკრეტულ პერიოდთან (პირობითად, „9 წელთან“) ნაკლებ როლს თამაშობს.

გიორგი მღებრიშვილის ნარატივები პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით.

პოლიციის მიერ მოქალაქეზე ძალადობის ამსახველი კადრები

კონტექსტი: 2016 წლის 23 აპრილს „ტვ პირველმა“ გაავრცელა კადრები, რომლებზეც, ტელეკომპანიის ჟურნალისტის თქმით, ასახული იყო ორი პირის დაკავება 2016 წლის 16 აპრილს ქალაქ ბათუმში. სიუჟეტის დროს „ტვ პირველი“ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ დაკავებისას პოლიციელები ეჭვმიტანილს ექცეოდნენ უხეშად. სიუჟეტს ერქვა „პატრული ძალადობს მოქალაქეზე?“. კადრების შემდეგ გავრცელებულ ბრალდებებს პოლიციის ძალადობის თაობაზე შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი თავის „ფეისბუკ“ გვერდზე გამოქვეყნებული წერილით გამოეხმაურა.

გიორგი მღებრიშვილი:

„მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვაცხადებ, რომ მიმდინარეობს ქვეყნის პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია!

მე არ დავუშვებ ჩვენი პოლიციელების დაკნინების მცდელობას!... დიახ, ჩვენ გამოვუცხადეთ უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალს. ამ ბრძოლაში, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად, ჩვენი პოლიციელები მზად

არიან, საკუთარი სიცოცხლე გასწირონ. განსხვავებით წინა პერიოდისგან, საქართველოს შს სამინისტროს მხრიდან კრიმინალის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა არ ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასდროს ყოფილა საზოგადოებასა და დასავლურ სტანდარტებზე ისე ორიენტირებული, როგორც დღეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ძირეულად შეიცვალა ღირებულებები და ჩვენი ქვეყნის პოლიცია გახდა დეპოლიტიზებული, სრულად დაექვემდებარა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებითაც დადასტურდა.

სწორედ დასავლური ღირებულებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნაწილია, პატივი სცე და მხარი დაუჭირო შენი ქვეყნის პოლიციას.

თუმცა უკანასკნელ პერიოდში გახშირდა და სავარაუდოდ, წინასაარჩევნო ფონზე კიდევ უფრო გააქტიურდება მიზანმიმართული შეტევა პოლიციის იმიჯზე, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი დღეს მედიით გავრცელებული კადრებია. ამ კადრების მეშვეობით, ყურნალისტი ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ კონკრეტულ ვიდეოფირზე თანამედროვე პოლიციის მიერ მოქალაქეზე ძალადობის ფაქტია აღნუსხული.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვიდეომასალა არასახავს დღევანდელობას. ის გადაღებულია საპატრულო პოლიციის რებრენდინგამდე. ვიდეოში კარგად ჩანს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ძველი ფორმები აცვიათ. ასევე, ფიქსირდება ძველი მარკის და შეფერილობის ავტომანქანა „შკოდა“. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გამორიცხებულია, 23 აპრილს გავრცელებული ვიდეო 2016 წლის 16 აპრილს ქ. ბათუმში მოქალაქეების დაკავებას ასახავდეს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თითოეული პოლიციელის მხრიდან გადაცდომის შესაძლო ფაქტი პირად კონტროლზე მაქვს აყვანილი და შსს-ს გენერალური ინსპექცია, ასევე, პროკურატურა ამ კუთხით დიდ სამუშაოს სწევს. პირველ რიგში, ეს სწორედ ჩემი ინტერესია, რომ 38000-იან კოლექტივში ზუსტად გამოვავლინო სისტემისთვის ზიანის მომტანი, გამონაკლისი პირები, რათა მათ კანონის წინაშე პასუხი აგონ.

თუმცა, არამც და არამც დაუშვებ, რომ ათასობით კეთილსინდისიერ, გულანთებულ პოლიციელს... დაუსაბუთებლად, სამართლებრივად გამყარებული მტკიცებულებების გარეშე, ჩრდილი მიადგეთ ... დიახ, არ დაუშვებ, რომ ჩვენი საზოგადოება გახდეს კრიმინალების, მათი მხარდამჭერების ინსინუაციებისა და მავანთა არაჯანსაღი წინასაარჩევნო

კამპანიის მსხვერპლი!

ჩვენი პოლიცია აპოლიტიკური უწყებაა. მისი მთავარი ამოცანა ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და აღკვეთაა.

თუმცა, ეს ამოცანა ვერ შესრულდება წარმატებით, თუკი პოლიციას საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნა, თუკი საზოგადოებამ მკაფიოდ არ გამოიხსნა ერთმანეთისგან ტყუილი და მართალი. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ პოლიციის უსაფუძვლო დისკრედიტაცია და მისი დაკნინების მცდელობა - პირდაპირ სამიშროებას უქმნის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას. ეს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რაზეც ყოველ ჩვენგანს ადეკვატური პოზიცია უნდა გვექონდეს..."¹⁴³

მოცემულ წერილს მინისტრი იწყებს განცხადებით, რომ ქვეყანაში პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს, თუმცა, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მღებრიშვილის ნარატივში არ იკვეთება კონკრეტული აქტორი/აგენტი, რომელიც დისკრედიტაციას ახორციელებს: „მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვაცხადებ, რომ მიმდინარეობს ქვეყნის პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია!“ წინადადების ასეთი ფორმულირება გვხვდება სხვა შემთხვევაშიც, როდესაც დისკრედიტაციის სავარაუდო მიზეზი სახელდება: „თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა და სავარაუდოდ წინასაარჩევნო ფონზე კიდევ უფრო გააქტიურდება მიზანმიმართული შეტევა პოლიციის იმიჯზე, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი დღეს მედიით გავრცელებული კადრებია.“ წინამორბედების მსგავსად შს მინისტრის ნარატივშიც დისკრედიტაციის მიზეზი პოლიტიკური ხასიათისაა – წინასაარჩევნო პერიოდი, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, დისკრედიტაციის მიზეზზე გამომხატველობა არ არის უეჭველი. გამომხატველობის ასეთი ფორმითა და წინადადებაში აგენტის პასიური ფორმის შემოტანით მღებრიშვილი ირჩევს განსხვავებულ სტრატეგიას – არ ახდენს აგენტის ნომინალიზაციას. ეს სტრატეგია სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ასე მღებრიშვილი თავის თავს არ აყენებს ვინმეს ოპონენტის პოზიციაში. „ოპონენტი“ მისთვის არის ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული აბსტრაქტული ფიგურა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ ტექსტში დისკრედიტაციის მიზეზი მოცემული არაა. მართალია, წერილში აგენტები თითქმის არ ჩანან, თუმცა მღებრიშვილი მიუთითებს, რომ ისინი კრიმინალები არიან“: დიახ, არ დავუშვებ, რომ ჩვენი საზოგადოება გახდეს კრიმინალების, მათი მხარდამჭერების ინსინუაციებისა და მავანთა არაჯანსაღი წინასაარჩევნო კამპანიის მსხვერპლი!”

მღებრიშვილის ამ განცხადებაში შეპირისპირებულია ორი მხარე – დასავლური სტანდარტების ერთგული პოლიცია, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა

143. <https://www.facebook.com/MgebrishviliGiorgi/posts/548494965311723>

უსაფრთხოებას და კრიმინალები, რომლებიც პოლიციას დისკრედიტაციის გზით უსხმიან თავს, თავიანთი პირადი და წინასაარჩევნო მიზნებისათვის. მღებრიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დასავლური სტანდარტები ახალი ხელისუფლების პირობებში დაინერგა:

გ. მღებრიშვილი: „განსხვავებით წინა პერიოდისგან, საქართველოს შს სამინისტროს მხრიდან კრიმინალის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა არ ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასდროს ყოფილა საზოგადოებასა და დასავლურ სტანდარტებზე ისე ორიენტირებული, როგორც დღეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ძირულად შეიცვალა ღირებულებები და ჩვენი ქვეყნის პოლიცია გახდა დეპოლიტიზებული, სრულად დაექვემდებარა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებითაც დადასტურდა“.

ტექსტის ამ ნაწილში ვხვდებით ამჟამინდელი შს მინისტრის წინამორბედების მსგავს პოლიტიკურ განცხადებას, როდესაც ხდება ახალი და ძველი პოლიციის შედარება ახალი და ძველი ხელისუფლებების კონტექსტში. „წინა პერიოდი“ ტექსტში შეპირისპირებულია „ახალ ხელისუფლებასთან“, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ ფრაზაში წინამორბედი ხელისუფლება იგულისხმება. მღებრიშვილთან ახალი და ძველი ხელისუფლებების პირობებში ძველი და ახალი პოლიციის შეპირისპირება ხდება ადამიანის უფლებათა დაცვის, დასავლურ სტანდარტებზე ორიენტირებულობითა და პოლიტიზებულობის ხარისხის კუთხით, სადაც ძველი ამ თვალსაზრისით ახლის საპირისპიროა, ან მიღწევებში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მას. მართალია, მსგავს შედარებებს ჩვენ მიერ განხილულ სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით, თუმცა მღებრიშვილის ნარატივი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ მას აქვს მკაფიო ორიენტაცია ახალი პოლიციის მიღწევებზე და არა ძველის წარუმატებლობებზე/კრიმინალურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში მღებრიშვილის მონაწილის რესურსებში შს მინისტრის იდენტობასთან ერთად პოლიტიკური კუთვნილებაც იკვეთება, ის მეტწილად მიზნად ისახავს, რომ პოლიცია წარმოაჩინოს პოზიტიური კუთხით და ბრალდებები – ტყუილად. მისი მიმართება არის პოლიციაზე და არა ბრალმდებლებზე. სწორედ ეს პოზიტიური მიმართებაა მთავარი განსხვავება, რაც მღებრიშვილის დისკურსს მისი წინამორბედებისგან გამოარჩევს.

ამის კიდევ ერთი მაგალითია 2016 წლის 2 ივნისს მღებრიშვილის სიტყვით გამოსვლა¹⁴⁴ პოლიციის დღესთან დაკავშირებით, სადაც ის დეპოლიტიზაციის რეფორმის წარმატებულობაზე საუბრობს:

გ. მღებრიშვილი: „ჩვენ გამოვუცხადეთ უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალს და ამ ბრძოლაში თითოეული თქვენგანის სულისკვეთებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს... ჩემთვის მთავარი მონაპოვარი ის

144. <https://www.youtube.com/watch?v=-NuwnGXOjQ0>

არის, რომ საქართველოს პოლიცია ისე, როგორც არასდროს, არის საზოგადოებაზე ორიენტირებული. 2012 წლის შემდეგ პოლიცია გახდა სრულიად აპოლიტიკური. რაც სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებაა. დიახ, მე და თქვენ ვართ საქართველოს და მისი ყველა მოქალაქის პოლიციელი, მიუხედავად რასისა, სქესისა, ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა სახის კუთვნილებისა.”

თავის გამოსვლაში შს მინისტრი საუბრობს საზოგადოებაზე ორიენტირებულობის ღირებულებაზე, რომელიც სახელდება, როგორც „მთავარი მონაპოვარი“. ამ შემთხვევაშიც მღებრიშვილი აწარმოებს ნარატივს, რომლის მიხედვითაც, ახალი ხელისუფლების პირობებში, პოლიცია ბევრად უფრო პროგრესულია, თუმცა ამასთან ერთად, მღებრიშვილის განცხადებაში ე.წ. ტემპორალური მიმართება განსხვავებულია. თუ მისი წინამორბედი მინისტრებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების ნარატივში მათი თანამედროვე პოლიცია არის უკეთესი, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართველობის პირობებში, მღებრიშვილი შედარებას აკეთებს ზოგადად, წარსულ გამოცდილებასთან. ამ განცხადებაში ამაზე მიაწინებს ფრაზა „ისე, როგორც არასდროს“. ასეთივე მიმართება გვხვდება წინა განცხადებაშიც – „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასდროს ყოფილა საზოგადოებასა და დასავლურ სტანდარტებზე ისე ორიენტირებული, როგორც დღეს“ – ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის ცენტრალური სიტყვაა „არასდროს“ ზმნიზედა, რომელიც ტემპორალურ მიმართებას აჩვენებს ზოგადად წარსულთან და არა მის კონკრეტულ პერიოდთან.

თავი 3: შემაჯამებელი დასკვნა

სხვადასხვა ტექსტის (რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შინაგან საქმეთა სფეროს მაღალი თანამდებობის პირების სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციონირებას) დისკურსიულმა ანალიზმა, პოლიციის პოლიტიზებულობის თვალსაზრისით, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიციის დეპოლიტიზაციაში, ძირითადად, პოლიციის, როგორც სამთავრობო რესურსის,

პარტიულ-პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაზე უარის თქმას გულისხმობენ, თუმცა ცხადია, პოლიციის რესურსის პარტიული ინტერესებისათვის გამოყენებაზე უარის თქმა პოლიტიკური ნეიტრალობის ერთადერთი უზრუნველმყოფელი ფაქტორი არ არის. კვლევის ფარგლებში განხილულმა რამდენიმე საქმემ აჩვენა, რომ **პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები პოზიციონირებენ, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული ფიგურები.**

მართალია, პოლიციის მაღალჩინოსნები, როგორც მოქალაქეები და თუნდაც

ოფიციალური ფიგურები, პოლიტიკური პროცესებისგან სრულად დისტანცირებულები და აპოლიტიკურები ვერ იქნებიან (და, თავის მხრივ, პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენენ კიდევ, რადგან, პოლიტიკის ზოგიერთი გაგებით, თანამდებობის ფარგლებში მათი ქმედებები პოლიტიკურია), თუმცა „პოლიტიკულობაში“ არა ასეთი მდგომარეობის საპირისპირო რამ იგულისხმება, არამედ, მდგომარეობა, როდესაც ინდივიდი თავის ოფიციალურ სტატუსსა და პარტიულ იდენტობას სათანადოდ არ მიჯნავს.

ამგვარი აღრევა და პოზიციონირება ხდება ორგვარად:

ა) ერთ შემთხვევაში, თხრობაში (დისკურსში) შემოჰყავთ პოლიტიკური ოპონენტები, როგორც აქტიური სუბიექტები და ხდება მათზე მიმართვა (reference) (ან, საპირწონედ განხილვა); ამით მთხრობლები/დისკურსანტები პოლიტიკურ ველში თავიანთ პოზიციას ექსკლუზიურად ოპონენტებთან მიმართებით გამოკვეთენ. აქ მთავარი ისაა, რომ ოპონენტი თითქმის ყოველთვის „ნეგატიური ფონის“ როლში გამოდის, რამაც განსაკუთრებული პოზიტიურობით უნდა წარმოაჩინოს მისი ალტერნატივის ღირსება. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ხდება „მტრის ხატის“ უნივერსალიზაცია (ან უნივერსალიზაციის მცდელობა).

ბ) სხვა შემთხვევაში, პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები წინ წამოსწევენ თავიანთ პარტიულ კუთვნილებას, როგორც მონაწილის უმთავრეს რესურსს (MR)¹⁴⁵ და პოზიციას განსაზღვრავენ პოლიტიკური იდენტობის მეშვეობით.

თავის მხრივ, პოლიტიკურ ოპონენტებთან (რომელშიც „ნაციონალური მოძრაობა“ იგულისხმება) მიმართებას აქვს ორგვარი ფორმა ან კონტექსტი:

• ერთ შემთხვევაში, ხდება წინა და ახლანდელი ხელისუფლების პირობებში პოლიციის სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობისა და ქმედებების შეპირისპირება: ძველი ხელისუფლების პირობებში პოლიციის მხოლოდ რეპრესიულობასა და უსამართლობაზე, ახალი ხელისუფლების პირობებში კი მის დემოკრატიულობასა და დეპოლიტიკულობაზე ხაზგასმით. ეს შეპირისპირება პოლიტიკურად მოტივირებულია (მიკერძოებულია) ორი თვალსაზრისით: ა) წინა ხელისუფლების პირობებში, პოლიციის ინსტიტუტის განსჯა ხდება ჰოლისტურად უარყოფით კონტექსტში. არ არის იმის მცდელობა, რომ ერთმანეთისაგან გამიჯნოს დადებითი და უარყოფითი პრაქტიკა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი პოლიციის საქმიანობას უკავშირდება; ბ) პოლიცია განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი და პოლიტიკურ-პარტიულად ნეიტრალური სახელმწიფო ინსტიტუცია, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ასოცირებულ ორგანოდ, რომლის ცვლილება ან რეფორმირება მმართველი პარტიის „კეთილ ნებაზეა“ დამოკიდებული. სხვანაირად რომ ითქვას, ხშირად „ქართული ოცნების“ ხელისუფლების შსს მაღალჩინოსნები პოლიციაში მათ (ახალი ხელისუფლების) წვლილზე უფრო მეტად აპელირებენ, ვიდრე

145. იხ. მეთოდოლოგიის თავი

პოლიციის ობიექტურ ფუნქციაზე. პოლიციის მაღალჩინოსნების დისკურსიული თხრობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პოლიციის ინსტიტუტის ფუნქციონირების ადეკვატურობის მტკიცება ეფუძნება („დამაგრებელია“) ხელისუფლების პირველი პირების ადეკვატურობის მტკიცებას (პოლიცია კარგია არა იმიტომ, რომ იმ ფუნქციას ასრულებს, რომელიც უნდა შეასრულოს, არამედ იმიტომ, რომ კარგი მთავრობა გვყავს).

- ოპონენტებთან მიმართების სხვა ფორმა ასეთია: იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიცია, სხვადასხვა მიზეზის გამო, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის ან პოლიტიკური ოპოზიციის კრიტიკის საგანია, შსს-ს მაღალჩინოსნები, სრულად, ან ნაწილობრივ მაინც, სცდებიან თავიანთ ინსტიტუციურ სტატუსს და როგორც ფორმალურად, ისე შინაარსობრივად პოლიტიკურ პოლემიკაში ერთვებიან, სადაც ოპერირებენ იმავე ენითა და სემანტიკით, რითაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები.

ანგარიშში, კონკრეტული საქმეების დისკურსიული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების თითქმის ყველა შსს მინისტრის (ან მათი მოადგილეების) საჯარო პოზიციონირება შეზღუდულია ზემოაღნიშნული ორი კონტექსტით – დროით (ანუ, წარსულზე აპელირებული) და პარტიულით. პოლიტიზებულობის ამ მოდუსში პოზიციონირებენ: ი. ღარიბაშვილი, ა. ჭიკაძე, ვ. გომელაური, ლ. იზორია.

რამდენადმე (თუმცა არა არსებითად) განსხვავებულ მოდუსს ქმნის შინაგან საქმეთა მოქმედი მინისტრი, გ. მღებრიშვილი: მის საჯარო გამოსვლებში, პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით, დისკურსის წარმოების უმთავრეს ინსტრუმენტს აღარ წარმოადგენს ხისტი შეპირისპირება დროის კონკრეტულ პერიოდთან (პირობითად, „9 ნელთან“), თუმცა გ. მღებრიშვილი ვერ ახერხებს პარტიული კონტექსტისგან დისტანცირებას.



კოლიტიკური ნეიტრალიტეტი კოლიციის სისტემაში

(კოლიტიკის დოკუმენტები, კანონმდებლობა და პრაქტიკა)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2016